



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

პრაქტიკული სახელმძღვანელო  
დასაშვებობის კრიტერიუმების შესახებ

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2011 წელი

სახელმძღვანელო მომზადებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნოს კვლევითი განყოფილების მიერ და არ წარმოადგენს სასამართლოსათვის საგაუდებულო ძალის მქონე დოკუმენტს. ის თავდაპირველად გამოქვეყნდა 2010 წლის დეკემბერში, სასამართლოს ოფიციალურ ენებზე – ინგლისურსა და ფრანგულზე. განახლებული მეორე ვერსია, რომელიც ხელმისაწვდომია მისამართზე [www.echr.coe.int](http://www.echr.coe.int) (Case-law – Case-Law Information – Admissibility Guide), გამოიცა 2011 წლის დეკემბერში. წინამდებარე თარგმანი ქვეყნდება ევროპის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან შეთანხმებით. თარგმანზე პასუხისმგებელია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

# სარჩევი

<b>შესავალი .....</b>	<b>7</b>
<b>ა. ინდივიდუალური განაცხადი.....</b>	<b>9</b>
1. დებულების მიზანი.....	9
2. განაცხადის სტატუსი.....	10
3. განაცხადის წარდგენის უფლების განხორციელების თავისუფლება .....	11
4. მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულებები.....	13
ა) სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესი.....	13
ბ) ფაქტების დადგენა.....	13
გ) გამოძიება .....	14
<b>ბ. მსხვერპლის სტატუსი.....</b>	<b>14</b>
1. ცნება „მსხვერპლი“.....	15
2. უშუალო მსხვერპლი.....	15
3. ირიბი მსხვერპლი .....	16
4. მსხვერპლის გარდაცვალება .....	17
5. მსხვერპლის სტატუსის დაკარგვა .....	18
<b>I. დაუშვებლობის პროცესუალური საფუძვლები.....</b>	<b>19</b>
<b>ა. სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის საკითხი.....</b>	<b>19</b>
1. წესის მიზანი.....	20
2. წესის გამოყენება.....	21
ა) მოქნილობა .....	21
ბ) შესაბამისობა შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან და შეზღუდვებთან.....	21
გ) სამართლებრივი დაცვის რამდენიმე საშუალების არსებობა.....	22
დ) არსებით მხარესთან დაკავშირებული საჩივარი.....	22
ე) არსებობა და შესაბამისობა.....	23
ვ) ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა .....	23
3. წესის გამოყენების შეზღუდვა.....	24
4. მტკიცების ტვირთის განაწილება .....	25
5. პროცესუალური ასპექტები.....	27
6. სამართლებრივი დაცვის ახალი საშუალებების შექმნა.....	27
<b>ბ. შესაბამისობა ექსთვიანი ვადის დაცვის წესთან .....</b>	<b>29</b>
1. წესის მიზანი.....	29
2. ექსთვიანი ვადის ათვლის საწყისი თარიღი.....	30
ა) საბოლოო გადაწყვეტილება.....	30
ბ) ექსთვიანი ვადის ათვლის წერტილი .....	31
გ) გადაწყვეტილების მიწოდება .....	31
დ) გადაწყვეტილების მიუწოდებლობა.....	31
ე) სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმიუწვდომლობა .....	32
ვ) ექსთვიანი ვადის გამოთვლა .....	32
ზ) განგრძობითი სიტუაცია.....	32
3. განაცხადის წარდგენის თარიღი .....	33
ა) პირველი წერილი.....	33
ბ) განსხვავება განაცხადის დაწერისა და ფოსტით გაგზავნის თარიღებს შორის.....	33
გ) გაგზავნა ფაქსის მეშვეობით .....	33
დ) პირველი შეტყობინების შემდგომი ინტერვალი.....	33
ე) საჩივრის კვალიფიკაცია.....	34
ვ) შემდგომი საჩივრები.....	34
4. მაგალითები.....	34
ა) კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულებების შეზღუდვა დროის ფაქტორით.....	34
ბ) ექსთვიანი ვადის წესის გამოყენება დაკავების მრავალჯერადი მონაკვეთების შემთხვევაში, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ფარგლებში.....	35

<b>გ. ანონიმური განაცხადი.....</b>	<b>35</b>
1. ანონიმური განაცხადი.....	35
2. არაანონიმური განაცხადი.....	36
<b>დ. განმეორებითი განაცხადი .....</b>	<b>36</b>
1. იდენტური განმცხადებლები.....	36
2. იდენტური საჩივრები.....	37
3. იდენტური ფაქტები.....	38
<b>ე. განაცხადი, რომელიც უკვე წარდგენილია სხვა საერთაშორისო ორგანოში .....</b>	<b>38</b>
1. საერთაშორისო ორგანოს ცნება.....	39
ა) ორგანოს უნდა ჰქონდეს საჯარო ბუნება.....	39
ბ) ორგანო უნდა იყოს საერთაშორისო.....	39
გ) ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი.....	39
დ) პროცედურა უნდა იყოს სასამართლო.....	39
2. საპროცესო გარანტიები.....	39
ა) შეჯიბრებითი საქმისწარმოება.....	39
ბ) სასამართლო ორგანოსათვის დაკისრებული მოთხოვნები.....	40
3. ორგანოს როლი.....	40
ა) პროცედურა უნდა იძლეოდეს პასუხისმგებლობის განსაზღვრის შესაძლებლობას.....	40
ბ) მიზანი უნდა იყოს დარღვევის აღკვეთა.....	41
გ) პროცედურის ეფექტურობა.....	41
<b>დ. განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენება .....</b>	<b>42</b>
1. ზოგადი განსაზღვრება.....	42
2. სასამართლოს შეცდომაში შეყვანა.....	42
4. მეგობრული მორიგების პროცედურის კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევა.....	43
5. აშკარად შეურაცხმყოფელი ან რეალურ მიზანს მოკლებული განაცხადი.....	45
6. სხვა შემთხვევები .....	45
7. მოპასუხე მთავრობის მიერ გამოსაყენებელი მიდგომა.....	45
<b>II. განაცხადის დაუშვებლად ცნობის საფუძვლები, რომლებიც უკავშირდება სასამართლოს იურისდიქციას.....</b>	<b>46</b>
<b>ა) <i>ratione personae</i> პრინციპთან შეუსაბამობა.....</b>	<b>46</b>
1. პრინციპები .....	46
2. იურისდიქცია.....	47
3. პასუხისმგებლობა და შერაცხადობა .....	47
4. კონვენციის წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც უკავშირდება მათ მოქმედებასა და უმოქმედობას და გამომდინარეობს სახელმწიფოს საერთაშორისო ორგანიზაციაში წევრობიდან .....	49
<b>ბ. <i>Ratione loci</i> პრინციპთან შეუსაბამობა .....</b>	<b>51</b>
<b>გ. <i>Ratione temporis</i> პრინციპთან შეუსაბამობა .....</b>	<b>53</b>
1. ზოგადი პრინციპები.....	54
2. ზემოაღნიშნული პრინციპების პრაქტიკული გამოყენება.....	54
ა) საკვანძო თარიღი კონვენციის რატიფიკაციასა ან კონვენციის ორგანოების იურისდიქციის აღიარებასთან მიმართებაში.....	54
ბ) დეკლარაციის ძალაში შესვლამდე ან ძალაში შესვლის შემდგომ მომხდარი მყისიერი ფაქტები.....	55
3. განსაკუთრებული შემთხვევები.....	57
ა) განგრძობადი ხასიათის დარღვევები.....	57
ბ) სახელმწიფოს “განგრძობითი” პროცედურული ვალდებულება გამოიძიოს საკვანძო თარიღამდე მომხდარი გაუჩინარების საქმეები.....	58
გ) გარდაცვალების ფაქტის გამოძიების მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულება: საქმისწარმოება სასამართლოს <i>ratione temporis</i> იურისდიქციის მიღმა.....	58
დ) საკვანძო თარიღამდე მომხდარი ფაქტების გათვალისწინება სასამართლოს მიერ.....	59
ე) მიმდინარე საქმისწარმოება ან დაკავება .....	59
ვ) უკანონო პატიმრობის გამო კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.....	60

<b>დ. Ratione materiae პრინციპთან შეუსაბამობა.....</b>	<b>60</b>
1. სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ცნება.....	62
ა) მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის გამოყენების ძირითადი მოთხოვნები.....	62
ბ) ტერმინი “დავა”.....	62
გ) სადავო უფლების არსებობა ეროვნულ კანონმდებლობაში.....	64
დ) უფლების “სამოქალაქო” ხასიათი.....	66
ე) უფლების კერძო ბუნება: ფინანსური განზომილება.....	66
ვ) კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედების გაერცელება სხვა დავებზე.....	67
ზ) გამომრიცხავი გარემოებები.....	69
თ) მე-6 მუხლის გამოყენება საქმისწარმოების დროს (გარდა ძირითადი საქმისწარმოებისა).....	70
2. “სისხლისსამართლებრივი ბრალდების” ცნება.....	72
ა) ზოგადი პრინციპები.....	72
ბ) ძირითადი პრინციპების გამოყენება.....	74
დისციპლინური საქმისწარმოება.....	74
საქმისწარმოება ადმინისტრაციული, საგადასახადო, საბაჟო და კონკურენციის სამართლის სფეროში.....	75
პოლიტიკური საკითხები.....	76
გაძევება და ექსტრადიცია.....	77
სისხლისსამართლებრივი წარმოების, დამატებითი საქმისწარმოების სხვადასხვა ეტაპები და შემდგომი სამართლებრივი დაცვის საშუალებები.....	77
გ) კავშირი კონვენციის ან მისი ოქმების დანარჩენ მუხლებთან.....	80
3. “პირადი ცხოვრებისა” და “ოჯახური ცხოვრების” არსი.....	80
ა) მე-8 მუხლის გამოყენების ფარგლები.....	81
ბ) “პირადი ცხოვრების” სფერო.....	81
გ) “ოჯახური ცხოვრების” სფერო.....	84
მშობლად გახდომის უფლება.....	85
ბავშვების შესახებ.....	85
წყვილების შესახებ.....	86
სხვა ურთიერთობების შესახებ.....	87
მატერიალური ინტერესები.....	87
4. „საცხოვრისისა“ და „მიმოწერის“ ცნებები.....	87
ა) მე-8 მუხლის გამოყენების ფარგლები.....	88
ბ) „საცხოვრისის“ ცნების სფერო.....	88
გ) ჩარევის მაგალითები.....	89
დ) “კორესპონდენციის” ცნების ფარგლები.....	90
5. “საკუთრების” ცნება.....	90
ა) დაცული საკუთრება.....	91
ბ) ავტონომიური მნიშვნელობა.....	91
გ) არსებული ქონება.....	91
დ) მოთხოვნები და ვალები.....	92
ე) საკუთრების აღდგენა.....	92
ვ) მიუღებელი შემოსავალი.....	93
ზ) პროფესიული კლიენტურა.....	93
თ) ლიცენზია საქმიანობის განხორციელებაზე.....	93
ი) ინფლაცია.....	94
კ) ინტელექტუალური საკუთრება.....	94
ლ) კომპანიის წილი.....	94
მ) სოციალური დაცვით მიღებული სარგებელი.....	94

**III. დაუშვებლობა არსებითი ნაწილის საფუძველზე..... 94**

<b>ა. აშკარად დაუსაბუთებელი.....</b>	<b>94</b>
1. ზოგადი შესავალი.....	95
2. “მეოთხე ინსტანცია”.....	96
3. დარღვევის ნათელი და აშკარა არარსებობა.....	98
ა) სახეზე არ არის თვითნებობა ან უსამართლობა.....	98
ბ) პროპორციულობა მიზანსა და საშუალებას შორის.....	99
გ) არსებით მხარესთან დაკავშირებული სხვა, შედარებით ცხადი, საკითხები.....	101
4. დაუსაბუთებელი საჩივრები: მტკიცებულებათა ნაკლებობა.....	101

5. დამაბნეველი ან არარეალური საჩივრები .....	102
<b>ბ. მნიშვნელოვანი ზიანის არარსებობა .....</b>	<b>102</b>
1. ინფორმაცია ახალი კრიტერიუმის შესახებ .....	103
2. მოქმედების ფარგლები .....	103
3. განიცადა თუ არა განმცხადებელმა მნიშვნელოვანი ზიანი.....	104
4. ორი დამცავი დებულება .....	105
ა) მოითხოვს თუ არა ადამიანის უფლებათა დაცვა საქმის არსებით განხილვას .....	105
ბ) იყო თუ არა საქმე სათანადოდ განხილული ეროვნული სასამართლოს მიერ.....	106

## შესავალი

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (“კონვენცია”) შექმნილი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სისტემა ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს. კონვენციის გამოყენების უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა, კონვენციის წევრ სახელმწიფოებს ეკისრება; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (“სასამართლო”) მხრიდან ჩარევას ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოები ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ ზედამხედველობა, ძირითადად, იმ ინდივიდუალური განაცხადების საფუძველზე ხორციელდება, რომლებიც კონვენციის წევრი სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ არის შეტანილი; შესაბამისად, პოტენციურ განმცხადებელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია: ევროპის რვაას მილიონ მკვიდრსა და მესამე მსოფლიოს მოქალაქეებს, რომლებიც ევროპაში ცხოვრობენ ან ტრანზიტით იმყოფებიან, ემატება მილიონობით ასოციაცია, ფონდი, პოლიტიკური პარტია, კომპანია და ა.შ. (რომ აღარაფერი ვთქვათ იმ პირებზე, რომლებიც კონვენციის წევრი სახელმწიფოების მიერ საკუთარი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ განხორციელებული ექსტრატერიტორიული ქმედებების შედეგად, ამ სახელმწიფოთა იურისდიქციაში ექცევიან).

უკვე არაერთი წელია, მრავალი ფაქტორის გამო, სასამართლოში ურიცხვი ინდივიდუალური განაცხადი შედის (2010 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, სასამართლოში 130, 000-ზე მეტი მიმდინარე განაცხადი იყო). ამ განაცხადების დიდი უმრავლესობა (95%-ზე მეტი) სასამართლოს მიერ უარყოფილ იქნა საქმის არსებითი განხილვის გარეშე, კონვენციით დადგენილ დასაშვებობის კრიტერიუმებთან შეუსაბამობის გამო. ეს ვითარება ორ პრობლემას წარმოშობს: ერთი მხრივ, ვინაიდან სასამართლოს მოეთხოვება რეაგირება მოახდინოს თითოეულ განაცხადზე, მას აღარ აქვს შესაძლებლობა გონივრულ ვადაში გადაწყვიტოს საქმეები, რომლებიც არსებით განხილვას საჭიროებენ; მეორე მხრივ, ათი ათასობით განმცხადებელი იღებს უარს საკუთარ მოთხოვნაზე, წლობით ლოდინის შემდეგ.

2. კონვენციის წევრი სახელმწიფოები, ასევე, სასამართლო და მისი სამდივნო მუდმივად ეძებდნენ აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლის გზებს და მართლმსაჯულების ეფექტურობის უზრუნველყოფის მეთოდებს. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ქმედება [კონვენციის №14 ოქმის](#) მიღება გახლდათ. აღნიშნული ოქმით, სხვა საკითხებთან ერთად, განისაზღვრა, რომ აშკარად დაუშვებელი განაცხადების საკითხს, მომავალში სამი მოსამართლისაგან შემდგარი კომიტეტის ნაცვლად, გადაწყვეტს ერთი მოსამართლე არასასამართლო მომსახურებლის დახმარებით; №14 ოქმმა, რომელიც ძალაში 2010 წლის 1 ივნისს შევიდა, ასევე, განსაზღვრა განმცხადებლისათვის მიყენებული ზიანის ხარისხთან დაკავშირებული დასაშვებობის ახალი კრიტერიუმი, რაც მიზნად ისახავს განაცხადების შეტანის თავიდან აცილებას იმ პირობებში, რომელთაც მნიშვნელოვანი ზიანი არ განუცდიათ.

2010 წლის 19 თებერვალს, სასამართლოს მომავლის საკითხზე მსჯელობის მიზნით, ევროპის საბჭოს ორმოცდაშვიდი წევრი სახელმწიფოს (ყველა მათგანისათვის კონვენცია შესასრულებლად სავალდებულოა) წარმომადგენელი შევიცარიაში, ინტერლაკენში შეიკრიბა. მათი მსჯელობის საგანს წარმოადგენდა იმ განუხილველ საქმეთა რიგი, რომელიც დაუშვებელი განაცხადების დიდი რაოდენობის შედეგად დადგა. ოფიციალურ დეკლარაციაში სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი სასამართლოს ცენტრალურ როლს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ევროპულ სისტემაში, აიღეს ვალდებულება გაეზარდათ მისი ეფექტურობა და იმავდროულად, შეენარჩუნებინათ ინდივიდუალური განაცხადის პრინციპი.

პოტენციური განმცხადებლისათვის განაცხადის შეტანის პროცედურებისა და დასაშვებობის კრიტერიუმების შესახებ სრულყოფილი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდების იდეა საგანგებოდ არის ხაზგასმული ინტერლაკენის დეკლარაციის 6-ნ (ა) და (ბ) პუნქტებში. წინამდებარე პრაქტიკული სახელმძღვანელო, ინდივიდუალურ განაცხადთა დასაშვებობის კრიტერიუმების შესახებ, ამავე კონტექსტში უნდა იქნას განხილული; მისი მიზანია დასაშვებობის პირობების უფრო ნათელი და დეტალური წარმოჩენა, რათა, პირველ რიგში, შეძლებისდაგვარად შემცირდეს იმ განაცხადთა რაოდენობა, რომლებიც უპერსპექტივოა საქმის არსებითი მხარის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის კუთხით, და იმავდროულად, უზრუნველყოფილ იქნას იმ განაცხადთა მიერ დასაშვებობის ტესტის გავლა, რომლებიც ექვემდებარებიან არსებით განხილვას. ამჟამად, საქმეთა უმრავლესობაში, რომლებმაც გადალახეს ეს ტესტი, დასაშვებობა და არსებითი მხარე განიხილება ერთდროულად, რითაც გაცილებით მარტივი და სწრაფი ხდება პროცედურა.

წინამდებარე მოცულობითი დოკუმენტი ძირითადად გამიზნულია პრაქტიკოსი იურისტებისა და, განსაკუთრებით, ადვოკატებისათვის, რომლებსაც, შესაძლოა, ეთხოვოთ სასამართლოში განმცხადებელთა წარმომადგენლობა. გაცილებით მცირე ზომის და ნაკლებად ტექნიკური ტერმინოლოგიით შედგენილი დოკუმენტი მკითხველთა უფრო ფართო და შედარებით ნაკლებად ინფორმირებული წრისთვისაა განკუთვნილი.

კონვენციის 34-ე (ინდივიდუალური განაცხადები) და 35-ე (დასაშვებობის კრიტერიუმები) მუხლებით განსაზღვრული დასაშვებობის ყველა კრიტერიუმი განხილულია სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ჭრილში. ბუნებრივია, ზოგიერთი ცნება, როგორცაა ექსთენიანი ვადა და, უფრო ნაკლები მოცულობით, სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა, გაცილებით ადვილად განსაზღვრადია, სხვა ისეთ კრიტერიუმებთან შედარებით, როგორცაა, მაგალითად “აშკარად დაუსაბუთებელი” (რისი დეფინიციაც შესაძლოა, უსასრულობამდე გაგრძელდეს) ან სასამართლოს *ratione materiae* ან *ratione personae* იურისდიქცია. გარდა ამისა, განმცხადებლები ზოგიერთ მუხლს უფრო ხშირად ეყრდნობიან, ვიდრე სხვა დანარჩენებს, რიგი სახელმწიფოების მიერ არ მომხდარა კონვენციის ყველა დამატებითი ოქმის რატიფიცირება, ხოლო ზოგიერთმა სახელმწიფომ კონკრეტული დებულებების მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით დათქმა გააკეთა. სახელმწიფოთაშორისი განაცხადების იშვიათი შემთხვევები არ არის გათვალისწინებული დოკუმენტში, ვიდაიდან ისინი საკმაოდ განსხვავებულ

მიდგომას საჭიროებენ. რაც შეეხება დასაშვებობის ახალ კრიტერიუმებს, იმის გათვალისწინებით, რომ №14 ოქმი ახლახანს შევიდა ძალაში, ჯერ საკმაოდ ადრეა ამ კუთხით სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ზუსტი სურათის წარმოდგენა. აქედან გამომდინარე, ამ სახელმძღვანელოს არ აქვს ამბიციის იყოს ამომწურავი, ის ფოკუსირებულია ყველაზე ხშირად განვითარებულ სცენარებზე.

4. სახელმძღვანელო მომზადებულია სასამართლოს იურისკონსულტის დეპარტამენტის მიერ. შესაბამისად, დასაშვებობის კრიტერიუმების წინამდებარე ინტერპრეტაციას სავალდებულო ძალა არ აქვს სასამართლოსთვის. სახელმძღვანელოს განახლება მოხდება რეგულარულად. იგი შედგენილია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე და მისი თარგმნა იგეგმება სხვა ენებზეც. პრიორიტეტი მიენიჭება იმ სახელმწიფოთა ოფიციალურ ენებს, რომელთა წინააღმდეგ ყველაზე ხშირია განაცხადები.

5. ინდივიდუალური განაცხადისა და მსხვერპლის სტატუსის ცნებების განსაზღვრის შემდეგ სახელმძღვანელო მიმოიხილავს დაუშვებლობის პროცედურულ საფუძვლებს (I), სასამართლოს იურისდიქციასთან (II) და საქმის არსებით მხარესთან (III) დაკავშირებულ საფუძვლებს.

## ა. ინდივიდუალური განაცხადი

### **მუხლი 34 - ინდივიდუალური განაცხადები**

„სასამართლოს შეუძლია, მიიღოს განაცხადები ნებისმიერი ფიზიკური პირისგან, არასამთავრობო ორგანიზაციისაგან ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლების დარღვევის მსხვერპლი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას.“

### 1. დებულების მიზანი

6. 34-ე მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოსათვის ინდივიდუალური განაცხადით მიმართვის უფლებას, პირებს ანიჭებს რეალურ უფლებას, განახორციელონ სამართლებრივი ქმედება საერთაშორისო დონეზე. იგი ასევე წარმოადგენს კონვენციის სისტემის ეფექტურობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ გარანტიას - ადამიანის უფლებათა დაცვის „მექანიზმის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს“ (*Loizidou v. Turkey*<sup>1</sup> (პირველადი პრეტენზიები), § 70, და *Mamatkulov and Askarov v. Turkey* [GC], §§ 100 და 122).

<sup>1</sup> ბმულების მეშვეობით შეგიძლიათ იხილოთ განხილების ან გადაწყვეტილების ორგინალი ტექსტი ინგლისურად ან ფრანგულად (სასამართლოს ორ ოფიციალურ ენაზე). სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ HUDOC – ის მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს სასამართლოს განჩინებებსა და გადაწყვეტილებებს ინგლისურად და/ან ფრანგულად და მათ თარგმანს სხვა ენებზე, მათ შორის გერმანულად.

7. კონვენცია ცოცხალი ინსტრუმენტია და მისი განმარტება დღევანდელ დღეს არსებული რეალობის კონტექსტში უნდა მოხდეს. ამ კუთხით სასამართლოს კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართალი ისეთ პროცედურულ დებულებებზეც ვრცელდება, როგორიცაა მაგალითად 34-ე მუხლი (*Loizidou v. Turkey* (პირველადი პრეტენზია), §71).

## 2. განაცხადის სტატუსი

8. **მოქმედების სფერო:** ნებისმიერი ფიზიკური პირი უფლებამოსილია, დაეყრდნოს კონვენციის მიერ გარანტირებულ დაცვას, როდესაც სავარაუდო დარღვევა განხორციელდა კონვენციის წევრი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, კონვენციის 1-ლი მუხლის შესაბამისად (*Van der Tang v. Spain*, §53). მსხვერპლი ვალდებული არ არის დააკონკრეტოს, რომელი მუხლის დარღვევას ჰქონდა ადგილი (*Guzzardi v. Italy*, § 61).

9. **უფლებამოსილი პირები:** ინდივიდუალური განაცხადის უფლების გამოყენება შეუძლია ნებისმიერ *ფიზიკურ ან იურიდიულ პირს*, მიუხედავად ეროვნებისა, საცხოვრებელი ადგილისა, სამოქალაქო სტატუსისა, მდგომარეობისა თუ ქმედუნარიანობისა. დედისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევის შესახებ, იხილეთ *Scozzari and Giunta v. Italy*, [GC], § 138; არასრულწლოვნების შესახებ, იხილეთ *A. v. the United Kingdom*; მეურვის თანხმობის არმქონე ქმედუნარო პირის შესახებ, იხილეთ *Zehentner v. Austria*, §§39 და ა.შ.

განაცხადის წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ *არასამთავრობო ორგანიზაციას* ფართო გაგებით, ანუ ყველას იმ ორგანიზაციების გარდა, რომლებიც ახორციელებენ სახელისუფლებო უფლებამოსილებას. რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სახელისუფლებო უფლებამოსილება, იხილეთ *Holy Monasteries v. Greece*, §49 და *Radio France and Others v. France* (dec.), §§24-26; იმ ორგანიზაციათა შესახებ, რომლებიც სახელმწიფოსგან სამართლებრივად და ფინანსურად დამოუკიდებელი არიან, იხილეთ *Islamic Republic of Iran Shipping Lines v. Turkey*, §§80-81, და *Unédic v. France*, §§48-59.

მეორე მხრივ, მუნიციპალიტეტს (*Ayuntamiento de Mula v. Spain* (dec.)) ან მუნიციპალიტეტის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ნაწილობრივ მონაწილეობს საჯარო ხელისუფლების განხორციელებაში (*Municipal Section of Antilly v. France* (dec.)), არ აქვს უფლება წარადგინოს განაცხადი 34-ე მუხლის საფუძველზე (იხილეთ ასევე *Döşemealtı Belediyesi v. Turkey* (dec.)).

*ფიზიკურ პირთა ნებისმიერი ჯგუფს*, ანუ როგორც წესი, დროებითი ხასიათის, რამდენიმე პირისაგან შემდგარ არაფორმალურ გაერთიანებებს („ბელგოური ლინგვისტიკის“ საქმე). თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოსა თუ ნებისმიერ სხვა სახელისუფლებო ორგანოს არ აქვს უფლება წარადგინოს განაცხადი ფიზიკურ პირთა მეშვეობით, რომლებიც თავად არიან ამ ორგანოს შემადგენლობაში ან წარმოადგენენ მას ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც დასჯადია იმ სახელმწიფოს მიერ, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან და რომლის სახელითაც ახორციელებენ საჯარო ხელისუფლებას (*Demirbaş and Others v. Turkey* (dec.)).

10. 34-ე მუხლი არ ცნობს კონვენციის დარღვევის თაობაზე *in abstractio* განაცხადებს. განმცხადებლები არ არიან უფლებამოსილნი, გაასაჩივრონ ეროვნული კანონმდებლობის რომელიმე დებულება მხოლოდ იმის გამო,

რომ იგი ეწინააღმდეგება კონვენციას (*Monnat v. Switzerland*, §§31-32), კონვენცია, ასევე, არ იცნობს *actio popularis*-ის ინსტიტუტს (*Klass and Others v. Germany*, §33; *The Georgian Labour Party v. Georgia* (dec); და *Burden v. the United Kingdom* [GC], §33).

11. **წარმომადგენლის მეშვეობით წარდგენილი განაცხადები:** იმ შემთხვევაში, როდესაც პირი განაცხადის უშუალოდ შეტანას ამჯობინებს ჰყავდეს კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლოს რეგამენტის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის თანახმად, იგი ვალდებულია, წარმოადგინოს *სათანადო წესით ხელმოწერილი წერილობითი მინდობილობა*. წარმომადგენლებმა აუცილებლად უნდა აჩვენონ, რომ მათ მიღებული აქვთ სპეციფიური და პირდაპირი მითითებები საგარეო მსხვერპლისაგან (34-ე მუხლის განმარტებით), რომლის სახელითაც ისინი გამოდიან სასამართლოს წინაშე (*Post v. the Netherlands* (dec.)). მინდობილობის ნამდვილობის შესახებ, იხილეთ *Aliiev v. Georgia*, §§44-49. განაცხადის ავთენტურობის შესახებ, იხილეთ *Velikova v. Bulgaria*, §§48-52.

12. **ინდივიდუალური განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენება:** რაც შეეხება განმცხადებლის ქცევას, რომელიც განაცხადის უფლების მიზანს ეწინააღმდეგება, იხილეთ **ინდივიდუალური განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენების განმარტება** კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად (*Miroļubovs and Others v. Latvia*, §§48-52, §§62).

### 3. განაცხადის წარდგენის უფლების განხორციელების თავისუფლება

13. სასამართლოში განაცხადის შეტანის უფლება აბსოლუტურია. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებისათვის რაიმე დაბრკოლების შექმნა. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს კონვენციით შექმნილ ორგანოებთან ურთიერთობის თავისუფლებას (თავისუფლების აღკვეთის პერიოდში მიმოწერასთან დაკავშირებით, იხილეთ *Peers v. Greece*, §84 და *Kornakovs v. Latvia*, §§157 და ა.შ.). აღნიშნულთან დაკავშირებით, ასევე, იხილეთ, 1996 წლის ევროპული შეთანხმება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წარმოებაში მონაწილე პირთა შესახებ (CETS No. 161).

14. ეროვნულმა ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს განაცხადის გამოტანის ან მასში ცვლილებების შეტანის მიზნით განმცხადებელზე რაიმე სახის ზეწოლის განხორციელებისაგან. სასამართლოს განმარტების თანახმად, ზეწოლა შესაძლოა მოიცავდეს განმცხადებლის ან პოტენციური განმცხადებლების, მათი ოჯახების ან მათი წარმომადგენლების როგორც პირდაპირ იძულებას და აშკარა დაშინებას, ასევე მათ მიმართ განხორციელებულ არასათანადო ირიბ ქმედებებს ან კონტაქტს (*Mamatkulov and Askarov v. Turkey*, [GC], §102).

ასეთ შემთხვევებში, სასამართლო ახდენს იმ საკითხის შესწავლას, თუ როგორია ინდივიდუალური განაცხადის წარდგენის უფლების განხორციელებაზე ზემოქმედების გავლენა (*Colibaba v. Moldova*, §68).

გათვალისწინებული უნდა იყოს განმცხადებლის მოწყვლადობა და ხელისუფლების მიერ მასზე გავლენის მოხდენის რისკი (*Iambor v. Romania* (no.1), §212). განმცხადებლები შესაძლოა იყვნენ განსაკუთრებით დაუცველნი, როდესაც იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში და

შეზღუდული აქვთ კონტაქტი ოჯახთან ან გარე სამყაროსთან (*Cotlet v. Romania*, § 71).

15. რამდენიმე საყურადღებო მაგალითი:

- განაცხადთან დაკავშირებით, ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული დაკითხვის შესახებ, იხილეთ: *Akdivar and Others v. Turkey*, §105 და *Tanrikulu v. Turkey* [GC], §131;
- განმცხადებლის ადვოკატის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მუქარასთან დაკავშირებით, იხილეთ *Kurt v. Turkey*, §§159-165; შიდასახელმწიფოებრივი საქმისწარმოების პროცესში ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ განმცხადებლის ადვოკატის წინააღმდეგ საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით, იხილეთ: *McShane v. the United Kingdom*, §151.
- პოლიციის მიერ, სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნასთან დაკავშირებით განმცხადებლის ადვოკატის და თარჯიმნის დაკითხვის შესახებ, იხილეთ *Fedotova v. Russia*, §§49-51; მთავრობის წარმომადგენლის ბრძანების საფუძველზე განხორციელებული გამოძიების შესახებ, იხილეთ: *Ryabov v. Russia*, §§ 53-65;
- ადვოკატსა და ექიმთან შეხვედრის შესაძლებლობის არქონასთან დაკავშირებით, იხილეთ: *Boicenco v. Moldova*, §§ 158-159;
- შეხვედრების ოთახში განმცხადებელსა და ადვოკატს შორის საუბრის კონფიდენციალურობის დარღვევის შესახებ, იხილეთ: *Oferta Plus SRL v. Moldova*, § 156;
- ციხის ადმინისტრაციის მხრიდან მუქარის შესახებ, იხილეთ: *Petra v. Romania*, § 44;
- სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის მოტივით, ციხის ადმინისტრაციის მხრიდან განაცხადის სასამართლოსათვის მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ, იხილეთ: *Nurmagomedov v. Russia*, § 61;
- ევროპული სასამართლოს განსახილველ საქმეში დაკავების პირობების თაობაზე მოწმის მიმართ განხორციელებული ზეწოლის შესახებ, იხილეთ *Novinskiy v. Russia*, §§ 119 და ა.შ.;
- ციხის ადმინისტრაციის მხრიდან გადარწმუნების მცდელობისა და პატიმრის საწერი საშუალებებით, ასევე სასამართლოში განაცხადის შეტანისათვის საჭირო დოკუმენტებით, უზრუნველყოფის გაუმართლებელი გაჭიანურებისა და მისი მოთხოვნების უგულვებელყოფის შესახებ, იხილეთ: *Gagiu v. Romania*, §§ 94 და ა.შ.;
- ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ პატიმრობაში მყოფი განმცხადებლისათვის სასამართლოს წინაშე წარსადგენი განაცხადისათვის საჭირო დოკუმენტების ასლების მიწოდებაზე უარის შესახებ, იხილეთ: *Naydyon v. Ukraine*, § 68;
- ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, სასამართლოში არსებულ საქმესთან დაკავშირებით, განმცხადებლის დაშინებასა და მასზე ზეწოლის შესახებ იხილეთ: *Lopata v. Russia*, §§ 154-60.

16. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური განაცხადის წარდგენის უფლების განხორციელებაში სავარაუდო ჩარევა შესაძლოა იყოს ნაკლებად სერიოზული (*Sisojeva and Others v. Latvia* (ამორიცხვა) [GC], §§118 და ა.შ.) იხილეთ ასევე *Holland v. Sweden* (dec.), რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ განაცხადის შეტანის ექვსთვიანი ვადის ამოწურვამდე სასამართლო სხდომების აუდიო ჩანაწერების შევადეთის კანონმდებლობის

შესაბამისად განადგურება ხელს არ უშლიდა განმცხადებელს განაცხადის წარდგენის უფლების ეფექტურ განხორციელებაში. ასევე, საქმეში *Farcaș v. Romania* (dec.), სასამართლომ მიიჩნია, რომ ფიზიკურად უნარშეზღუდული განმცხადებლის სავარაუდო უუნარობა ამოეწურა სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები იმის გამო, რომ არ არსებობდა სპეციალური მექანიზმები, რაც ხელმისაწვდომს გახდიდა მისთვის საჯარო მომსახურებას, ხელს არ უშლიდა განმცხადებელს განაცხადის წარდგენის უფლების ეფექტურ განხორციელებაში.

#### 4. მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულებები

##### ა) სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესი

17. სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დროებითი ღონისძიებების დაკისრება (*Mamatkulov and Askarov v. Turkey*, §§ 99-129). 34-ე მუხლი დარღვევულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარის ხელისუფლება არ მიიღებს ყველა გონივრულ ზომას, რაც სასამართლოს მიერ დაკისრებული ღონისძიებების შესასრულებლად არის საჭირო (*Paladi v. Moldova* [GC], §§87-92).

18. რამდენიმე უახლესი მაგალითი:

- შემთხვევა, როდესაც, მიუხედავად სასამართლოს მიერ, 39-ე წესის საფუძველზე, დროებითი ღონისძიების დაკისრებისა, არ იქნა უზრუნველყოფილი დროული შეხვედრა თავისუფლებადაკეტილ თავშესაფრის მაძიებელსა და ადვოკატს შორის: *D.B. v. Turkey*, § 67;
- დაკისრებული დროებითი ღონისძიებების საწინააღმდეგოდ, დაკავებულთა ერაყის ხელისუფლებისათვის გადაცემა: *Al-Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom*, §§ 162-65;
- დროებითი ღონისძიებების საწინააღმდეგოდ, პირველი განმცხადებლის გაძევება: *Kamaliyevy v. Russia*, §§ 75-79.

19. დროებითი ღონისძიების შესრულების შესაბამისობის შემოწმება სასამართლოს პრეროგატივაა. თუ სახელმწიფო მიიჩნევს, რომ ფლობს მასალებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია დაარწმუნოს სასამართლო, გააუქმოს დროებითი ღონისძიება, მან აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს სასამართლოს (*Paladi v. Moldova* [GC], §§ 90-92; *Olaechea Cahuas v. Spain*, § 70; და *Groni v. Albania*, §§ 181 და ა.შ.).

მხოლოდ ის ფაქტი, რომ არსებობს 39-ე წესის გამოყენების მოთხოვნა, არ არის საკმარისი, რომ სახელმწიფომ შეაჩეროს ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება (*Al-Moayad v. Germany* (dec.), §§122 და ა.შ.; ასევე, იხილეთ მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულება კეთილსინდისიერად ითანამშრომლოს სასამართლოსთან).

##### ბ) ფაქტების დადგენა

20. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტების დადგენაზე პასუხისმგებელია სასამართლო, მხარეები ვალდებული არიან აქტიური დახმარება გაუწიონ მას და მიაწოდონ ყველა საჭირო ინფორმაცია. მათი ქმედება შესაძლოა მხედველობაში იქნას მიღებული მტკიცებულებათა მოძიების დროს (*Ireland v. the United Kingdom*, §161).

ინდივიდუალური განაცხადის სისტემის კონტექსტში, მნიშვნელოვანია განაცხადის ეფექტური განხილვისათვის საჭირო დახმარების უზრუნველყოფა სახელმწიფოთა მიერ. დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტების გარეშე, მთავრობის მხრიდან მის ხელთ არსებული ინფორმაციის მიწოდების შეფერხებას შესაძლოა მოჰყვეს დასკვნა არა მარტო ვარაუდების საფუძვლიანობის შესახებ (*Maslova and Nalbandov v. Russia*, §§ 120-121), არამედ კონვენციის 38-ე მუხლთან დაკავშირებითაც (პოლიციაში დაკავების ჩანაწერების ხელმისაწვდომობის პრობლემა: *Timurtaş v. Turkey*, §66; გამოძიების მასალების ხელმისაწვდომობის პრობლემა: *Imakayeva v. Russia*, §201). საიდუმლო ანგარიშის სასამართლოსათვის მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ, იხილეთ *Nolan and K. v. Russia*, §§56 და ა.შ.

ადვოკატისათვის კლიენტის სამედიცინო ისტორიის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, რომელიც შეიცავს განსახილველი განაცხადისათვის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას, 34-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, მიჩნეულია ინდივიდუალური განაცხადის წარდგენის უფლების დარღვევად (*Boicenco v. Moldova*, § 158). ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებით მოთავსებული განმცხადებლისა და ადვოკატის შეხვედრის შესახებ, იხილეთ *Shtukaturov v. Russia*, §§ 138 და ა.შ. შედარებისათვის იხილეთ ხელისუფლების მხრიდან გარკვეული დამატებითი ინფორმაციის მიწოდების გაჭიანურების შემთხვევა, რომელიც მიჩნეულ იქნა „სამწუხაროდ“, თუმცა, არ ჩაითვალა 34-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური განაცხადის უფლების განხორციელებისათვის დაბრკოლების შექმნად. (*Öcalan v. Turkey* [GC], § 201). 34-ე და 38-ე მუხლებს შორის არსებული კავშირის შესახებ იხილეთ *Bazorkina v. Russia*, §§170 და ა.შ., §175. 34-ე მუხლი, რომელიც ინდივიდუალური განაცხადის წარდგენის უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად არის გამიზნული, წარმოადგენს *lex generalis*-ს, ხოლო 38-ე მუხლი სახელმწიფოებისაგან გამიზნულად მოითხოვს სასამართლოსთან თანამშრომლობას.

სასამართლომ შესაძლოა დაადგინოს 38-ე მუხლის დარღვევის ფაქტი დასაშვებობის შესახებ ცალკე გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევაშიც კი (29 მუხლი, მე-3 პარაგრაფი), იხილეთ *Enukidze and Girgvliani v. Georgia*, § 295.

## გ) გამოძიება

21. მოპასუხე სახელმწიფო, ასევე, ვალდებულია, დახმარება გაუწიოს გამოძიებას (38-ე მუხლი), რადგან სახელმწიფომ უნდა მოახდინოს განაცხადის ეფექტური შესწავლისათვის „აუცილებელი საშუალებების“ უზრუნველყოფა (*Çakıcı v. Turkey* [GC], §76). ფაქტების გამორკვევის მიზნით დაგეგმილი ვიზიტისათვის დაბრკოლების შექმნა წარმოადგენს 38-ე მუხლის დარღვევას (*Shamayev and Others v. Georgia and Russia*, §504).

## ბ. მსხვერპლის სტატუსი

### მუხლი 34 – ინდივიდუალური განაცხადები

„სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი ფიზიკური პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისაგან ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი...“

22. 34-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოში განაცხადის შეტანის უფლება ენიჭებათ მხოლოდ იმ განმცხადებლებს, რომლებიც თავს კონვენციის დარღვევის მსხვერპლად მიიჩნევენ. კონვენციის ნებისმიერი სავარაუდოდ დარღვეული უფლების აღდგენის ვალდებულება, პირველ რიგში, ეროვნულ ხელისუფლებას ეკისრება. შესაბამისად, საკითხი, შეუძლია თუ არა განმცხადებელს ამტკიცოს, რომ ის არის დარღვევის მსხვერპლი, ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების ყველა ეტაპზე აქტუალურია (*Scordino v. Italy (no. 1)* [GC], §179).

### 1. ცნება „მსხვერპლი“

23. ცნების „მსხვერპლი“ განმარტება ხორციელდება ავტონომიურად და დამოუკიდებლად იმ შიდასახელმწიფოებრივი ნორმებისაგან, რომლებიც ეხება ქმედების განხორციელების ინტერესს ან შესაძლებლობას (*Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*, §35). ეს ცნება არ გულისხმობს ზიანის არსებობას (*Brumărescu v. Romania*, [GC], § 50) და შესაძლოა საკმარისი იყოს ქმედება, რომელსაც მხოლოდ დროებითი სამართლებრივი შედეგი აქვს (*Monnat v. Switzerland*, §33).

24. ტერმინის „მსხვერპლი“ განმარტება უნდა მოხდეს თანამედროვე საზოგადოებაში არსებული გარემოებების გათვალისწინებით და მისი გამოყენება უნდა განხორციელდეს გადაჭარბებული ფორმალობის გარეშე (*Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*, §38; *Monnat v. Switzerland*, §§30-33; *Stukus and Others v. Poland*, §35; და *Ziętal v. Poland*, §§54-59). სასამართლომ დაადგინა, რომ მსხვერპლის სტატუსი შესაძლოა დაკავშირებული იყოს საქმის არსებით მხარესთან (*Siliadin v. France*, §63).

### 2. უშუალო მსხვერპლი

25. ჩადენილი მოქმედება ან უმოქმედობა უშუალო ზიანს უნდა აყენებდეს განმცხადებელს (*Amuur v. France*, §36). თუმცა, აღნიშნული კრიტერიუმი არ უნდა იქნას გამოყენებული მექანიკური და მკაცრად განსაზღვრული სახით (*Karner v. Austria*, §25).

26. კონკრეტულ საქმეებში სასამართლომ მიიღო განაცხადები „პოტენციურ“ მსხვერპლთაგან, ანუ პირებისაგან, რომლებსაც არ შეეძლოთ ეჩივლათ პირდაპირი დარღვევის გამო.

27. რამდენიმე მაგალითი: განჩინება სატელეფონო მოსმენის შესახებ გერმანიაში (*Klass and Others v. Germany*, § 34); ექსტრადიციასთან დაკავშირებული საქმის შესახებ, იხილეთ: *Soering v. the United Kingdom*; რეპროდუქციული ასაკის ქალებში აბორტზე ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვასთან დაკავშირებული ზომების შესახებ, იხილეთ *Open Door and Dublin Well Woman v. Ireland*, §44.

28. თუმცა, დაზარალებულის სტატუსის დასადგენად მხოლოდ ეჭვი ან გარაუდო საკმარისი არ არის. გაძევების ოფიციალური ორდერის არარსებობის შესახებ, იხილეთ *Vijayanathan and Pusparajah v. France*, §46; საპარლამენტო მოხსენების სავარაუდო შედეგების შესახებ, იხილეთ *The Christian Federation of Jehovah's Witnesses in France v. France* (dec.); მოსარჩელე კომპანიაზე ჯარიმის პოტენციურად დაკისრების შესახებ, იხილეთ *Senator*

*Lines GmbH v. fifteen Member States of the European Union*, (dec.), კომაში მყოფი მესამე მხარის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების საგარაუდო შედეგების საკითხზე, იხილეთ: *Rossi and Others v. Italy* (dec.). მოსარჩელეს არ შეუძლია ამტკიცოს, რომ არის მსხვერპლი, თუ იგი ნაწილობრივ პასუხისმგებელია საგარაუდო დარღვევაზე (*Paşa and Erkan Erol v. Turkey*).

29. ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით, ფიზიკურმა პირებმა შესაძლოა განაცხადონ, რომ კანონი არღვევს მათ უფლებებს, მისი განხორციელების ინდივიდუალური ღონისძიების არარსებობის შემთხვევაში, თუ ეს კანონი მათ აიძულებს შეცვალონ საკუთარი ქცევა ან დაექვემდებარონ სისხლისსამართლებრივ დევნას (*Norris v. Ireland*; *Bowman v. the United Kingdom*), ან თუ ისინი არიან პირთა ჯგუფის წარმომადგენელი, რომლებსაც კანონმდებლობიდან გამომდინარე, უშუალო ზიანის საფრთხე ემუქრებათ (*Burden v. the United Kingdom* [GC], §34; *Johnston and Others v. Ireland*). სახელმწიფოს კონსტიტუციასთან დაკავშირებული საქმის შესახებ, იხილეთ *Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina* [GC], § 29.

### 3. ირიბი მსხვერპლი

30. სასამართლოს შეუძლია მიიღოს ინდივიდუალური განაცხადი პირისაგან, რომელიც ითვლება ირიბ მსხვერპლად, როდესაც არსებობს პირადი და სპეციფიური კავშირი უშუალო მსხვერპლსა და განმცხადებელს შორის.

31. მაგალითები: მე-2 მუხლის ფარგლებში, მსხვერპლის მეუღლის (*McCann and Others v. the United Kingdom* [GC]) და გარდაცვლილის ძმისშვილის (*Yaşa v. Turkey*, §66) განაცხადი. მე-3 მუხლის ფარგლებში, დედის განაცხადი, რომლის შვილიც პატიმრობაში ყოფნის დროს გაუჩინარდა (*Kurt v. Turkey*); თუმცა, მსხვერპლად არ იქნა მიჩნეული გაუჩინარებული პიროვნების ძმა (*Çakıcı v. Turkey* [GC], §§98-99). მე-5 მუხლის მე-5 პარაგრაფის ფარგლებში, იხილეთ საქმე განმცხადებლის ქმრის შესახებ, რომელიც იძულებით იქნა მოთავსებული ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (*Houtman and Meeus v. Belgium*, §30). მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის კონტექსტში (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება), იხილეთ *Grădinar v. Moldova* (სასამართლოს მიუკერძოებლობა); *Brudnicka and Others v. Poland*, §§26 და ა.შ. (გარდაცვლილი მეუღლის რეპუტაციის დაცვის უფლება); და *Marie-Louise Loyer and Bruneel v. France* (საქმისწარმოების ხანგრძლივობა და სამართლიანობა). მე-6 მუხლის მ-2 პარაგრაფის ფარგლებში, იხილეთ ბრალდებულის ქვრივის საქმე, რომლის ქმარიც უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის მსხვერპლი გახდა (*Nölkenbockhoff v. Germany*, § 33). მე-10 მუხლის ფარგლებში, იხილეთ *Dalban v. Romania*, [GC], §39, განმცხადებლის ქვრივის ინტერესების შესახებ. თუმცა, კომპანიის აქციონერები არ არიან უფლებამოსილი მოითხოვონ მსხვერპლის სტატუსი კომპანიის უფლებების დარღვევის გამო 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის ფარგლებში. (*Agrotexim and Others v. Greece*, §§62 და 64), გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (*Camberrow MM5 AD v. Bulgaria* (dec.)).

#### 4. მსხვერპლის გარდაცვალება

32. განაცხადის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ცოცხალი პირების მიერ ან მათი სახელით; გარდაცვლილი პირის წარმომადგენელს არ შეუძლია განაცხადის გარდაცვლილის სახელით შეტანა (*Kaya and Polat v. Turkey*, (dec.)). თუმცა, მსხვერპლის გარდაცვალება არ ნიშნავს მოცემული საქმის განსახილველ საქმეთა სიიდან ავტომატურ ამორიცხვას.

33. ზოგადად, თავდაპირველი განმცხადებლის ოჯახს, სათანადო დაინტერესების შემთხვევაში, შეუძლია განაგრძოს სამართალწარმოება, თუკი თავდაპირველი განმცხადებელი გარდაიცვლება სასამართლოში განაცხადის შეტანის შემდეგ. მემკვიდრეებთან ან ისეთ ახლო ნათესავებთან, როგორცაა ქვრივი და შვილები, დაკავშირებული საქმეების შესახებ, იხილეთ *Raimondo v. Italy*, § 2 და *Stojkovic v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"*, §25; მშობლების შესახებ, იხილეთ *X v. France*, §26; განსხვავებული საქმეების შესახებ, იხილეთ *Malhous v. the Czech Republic* (dec.) [GC]. ასევე, საპირისპიროდ, იხილეთ განჩინება საქმეში *Scherer v. Switzerland*, §§31-32; მემკვიდრის შესახებ, რომელსაც ნათესაური კავშირი არ ჰქონდა გარდაცვლილთან, იხილეთ საქმე *Thévenon v. France* (dec.); ასევე, იხილეთ *Léger v. France* [GC], (განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხვა), §§ 50-51.

34. თუმცა, განსხვავებული ვითარებაა იმ შემთხვევაში, როდესაც უშუალო მსხვერპლი გარდაიცვლება სასამართლოში განაცხადის შეტანამდე (*Fairfield v. the United Kingdom* (dec.)).

ახლო ნათესავის გარდაცვალებასთან დაკავშირებული პრეტენზიების შესახებ, იხილეთ *Velikova v. Bulgaria* (dec.); ახლო ნათესავის გაუჩინარებასთან დაკავშირებით, იხილეთ *Varnava and Others v. Turkey* [GC], §112.

მე-6 მუხლის საფუძველზე წარდგენილ პრეტენზიებთან დაკავშირებით იხილეთ *Micallef v. Malta* [GC], §§48 და ა.შ., ასევე, განჩინებაში ციტირებული წყაროები.

გარდაცვლილის მიმართ არსებული საქმისწარმოებისა და ფაქტების შესახებ, მე-8-დან მე-11 მუხლების ჩათვლით და 1-ლი ოქმის მე-3 მუხლის საფუძველზე, ახლო ნათესავების მიერ მოთხოვნების წარდგენასთან დაკავშირებით, იხილეთ: *Gakiyev and Gakiyeva v. Russia*, §§164-68 და განჩინებაში ციტირებული წყაროები. თემაზე გადაცემას დაქვემდებარებული პრეტენზიები იხილეთ *Sanles Sanles v. Spain* (dec.).

35. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს, მართებულია თუ არა საქმის განხილვის გაგრძელება ადამიანის უფლებების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე (*Karner v. Austria*, §§25 და ა.შ.) ეს უფლებამოსილება უკავშირდება ზოგადი ინტერესის არსებობას. (ibid., § 27, *Marie-Louise Loyen and Bruneel v. France*, §29). აღნიშნულმა შესაძლოა თავი იჩინოს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც განაცხადი შეეხება მოპასუხე სახელმწიფოში არსებულ კანონმდებლობას, სამართლებრივ სისტემას ან პრაქტიკას (იხილეთ, *Karner v. Austria*, §§26 და 28; ასევე იხილეთ, *Léger v. France* [GC] (განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხვა), §51).

### 5. მსხვერპლის სტატუსის დაკარგვა

36. განმცხადებელმა უნდა შეძლოს, დაასაბუთოს საკუთარი, როგორც მსხვერპლის, სტატუსი საქმისწარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში (*Burdov v. Russia*, § 30).

37. მიუხედავად ამისა, განაჩენის შემსუბუქება ან ეროვნული ხელისუფლების მიერ განმცხადებლის სასარგებლო ზომის მიღება გამოიწვევს განმცხადებლისათვის მსხვერპლის სტატუსის მოხსნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა პირდაპირ, ან უკიდურეს შემთხვევაში, არსებითად იქნება აღიარებული და უფლება შესაბამისად აღდგენილი (*Scordino v. Italy (no. 1)* [GC], §§ 178 და ა.შ., და § 193). აღნიშნული გარემოება, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია სავარაუდოდ დარღვეული უფლების ბუნებაზე, გადაწყვეტილების გამოტანის მიზეზებზე (*Jensen v. Denmark* (dec)) და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პირის მიმართ არასასურველი შედეგების განგრძობითობაზე (*Freimanis and Līdums v. Latvia*, § 68).

38. მაგალითები: *Dalban v. Romania* [GC], §44 (მე-10 მუხლი); *Brumărescu v. Romania* [GC], §50 (1 ოქმი, 1 მუხლი და მე-6 მუხლი). მე-6 მუხლიდან გამომდინარე პრეტენზიების შესახებ, რომლებიც ეხება შემდგომში გაუქმებულ საქმისწარმოებას ან გამამართლებელი განაჩენით დასრულებულ სამართალწარმოებას, იხილეთ *Oleksy v. Poland* (dec) (და შეადარეთ საჩივარს აღნიშნული სამართალწარმოების ხანგრძლივობის შესახებ); შედარებისათვის, იხილეთ *Arat v. Turkey*, §47 და *Bouglame v. Belgium* (dec); სხვა სპეციფიური შემთხვევების შესახებ, იხილეთ *Constantinescu v. Romania*, §§40-44; *Guisset v. France*, §§66-70; *Chevol v. France*, §§30 და ა.შ., *Moskovets v. Russia*, §50 (დაკავება); *Moon v. France*, §§29 (ჯარიმა); *D.J. and A.-K. R. v. Romania* (dec), §§77, (მე-4 ოქმის მე-2 მუხლი); *Sergey Zolotukhin v. Russia* [GC], § 115 (მე-7 ოქმის, მუხლი 4).

39. უფლების აღდგენა უნდა მოხდეს სათანადო და საკმარისი ფორმით. აღნიშნული დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს თავად დარღვევის ბუნებაზე (*Gäfgen v. Germany* [GC], §116.)

40. პირის მიერ მსხვერპლის სტატუსის შენარჩუნება ასევე დამოკიდებულია ეროვნული სასამართლოების მიერ გაცემული კომპენსაციის ოდენობასა და სამართლებრივი დაცვის იმ საშუალების ეფექტურობაზე (მათ შორის, დროულობაზე), რომელიც საფუძვლად უდევს კომპენსაციის მიღებას (*Normann v. Denmark* (dec) და *Scordino v. Italy (no. 1)* [GC], § 202; ასევე იხილეთ, *Jensen and Rasmussen v. Denmark* (dec), *Gäfgen v. Germany* [GC], §§ 118 და 119).

41. პრეცედენტები:

კონვენციის მე-2 მუხლის კონტექსტში ეროვნული ხელისუფლების მიერ მიღებული ზომების შესაბამისობის შესახებ, იხილეთ *Nikolova and Velichkova v. Bulgaria*, §§49-64.

კონვენციის მე-3 მუხლის შესახებ, იხილეთ *Gäfgen v. Germany* [GC], §§115-129. *Kopylov v. Russia*, § 150. დაკავების პირობებიდან გამომდინარე, მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ, იხილეთ *Shilbergs v. Russia*, §§66-79. ასევე, იხილეთ *Ciorap v. Moldova (no. 2)*, §§ 23-25, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს კვლავ ჰქონდა მსხვერპლის სტატუსი 34-ე

მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, რადგან ეროვნული სასამართლოს მიერ გაცემული კომპენსაციის ოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლები იყო იმ მინიმალურ ოდენობაზე, რომელსაც, სტრასბურგის სასამართლო, როგორც წესი, განსაზღვრავდა მე-3 მუხლის დარღვევის დადგენის შემთხვევებში.

მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესახებ (სამართალწარმოების ხანგრძლივობა), იხილეთ *Scordino v. Italy (no. 1)* (ნომერი 1) [GC], §§182-207; *Cocchiarella v. Italy* [GC], §§84-107; *Delle Cave and Corrado v. Italy*, §§26 და ა.შ. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურების შესახებ იხილეთ, *Kudić v. Bosnia and Herzegovina*, §§7-18, და *Burdov v. Russia (no. 2)*.

42. შესაძლებელია, საქმე ამორიცხოს სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა სიიდან იმის გამო, რომ მოსარჩელეს შეუწყდა მსხვერპლის სტატუსი/*locus standi*. დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ეროვნულ დონეზე საქმის გადაწყვეტის შესახებ იხილეთ *Ohlen v. Denmark* (განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხვა); იმ უფლებათა გადაცემის შესახებ შეთანხმების მიღწევის საკითხი, რომლებსაც ეხებოდა სასამართლოს წინაშე არსებული განაცხადი, განხილულია საქმეში *Dimitrescu v. Romania*, §§33-34.

43. სასამართლო, ასევე, განიხილავს, ამორიცხულ უნდა იქნას თუ არა ესა თუ ის განაცხადი სიიდან კონვენციის 37-ე მუხლით დადგენილი ერთი ან მეტი პირობის საფუძველზე, განაცხადის შეტანის შემდეგ განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს შესაძლოა კვლავ ქონდეს პრეტენზია „მსხვერპლის“ სტატუსზე (*Pisano v. Italy* [GC], (ამორიცხვა), § 39), ან თუნდაც მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა განმცხადებელს უფლება კვლავ პრეტენზია მსხვერპლის სტატუსზე. იურისდიქციის დიდი პალატისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომი მოვლენების თაობაზე, იხილეთ საქმე *El Majjaoui and Stichting Touba Moskee v. the Netherlands* [GC], (ამორიცხვა), §§ 28-35; განაცხადის დაუშვებლად ცნობის შემდეგ განვითარებული მოვლენების შესახებ, იხილეთ *Shevanova v. Latvia* (ამორიცხვა) §§44; პალატის განჩინების შემდეგ განვითარებული მოვლენების შესახებ, იხილეთ *Sisojeva and Others v. Latvia*, (ამორიცხვა) [GC], § 96.

## I. დაუშვებლობის პროცესუალური საფუძვლები

### ა. სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის საკითხი

#### **მუხლი 35, §1 – დასაშვებობის წინაპირობები**

“სასამართლოს შეუძლია საქმე განსახილველად მიიღოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურება სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების თანახმად, და თუ გასული არ არის ექვსი თვე, საქმეზე შიდასახელმწიფოებრივი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან.”

44. როგორც 35-ე მუხლის ტექსტშია აღნიშნული, ეს მოთხოვნა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ეფუძნება. სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის ვალდებულება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილს წარმოადგენს, აღიარებულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში (მაგალითად, საქმეში *Interhandel (Switzerland v. the United States)*, 1959 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება). აღნიშნული პირობა ასევე ფიგურირებს ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებში, როგორცაა: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 41(1)(გ)) და მის დამატებით ოქმში (მუხლი 2 და მუხლი 5(2)(ბ)), ადამიანის უფლებების ამერიკული კონვენცია (მუხლი 46) და ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია (მუხლები 50 და 56(5)). როგორც სასამართლომ დაადგინა საქმეში *De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium*, სახელმწიფომ შესაძლოა უარი თქვას სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის პირობის დადებით შედეგზე, ამ მხრივ ხანგრძლივი საერთაშორისო პრაქტიკა არსებობს (§55).

45. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიზანია, შეასრულოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სისტემების სუბსიდიარული ორგანოს როლი. შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობის საკითხების გადაწყვეტა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა უნდა იყოს (*A, B and C v. Ireland* [GC], § 142). (თუ განაცხადი შემდგომში მაინც მოხვდება სტრასბურგში, ევროპულ სასამართლოს უნდა წარედგინოს ეროვნული სასამართლოების შეხედულებები, რადგან ამ უკანასკნელთ პირდაპირი და უწყვეტი კავშირი აქვთ საკუთარი ქვეყნის სასიცოცხლო ძალებთან *Burden v. the United Kingdom* [GC], § 42).

46. საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, სამართლებრივი დაცვის კონკრეტული საშუალება შიდასახელმწიფოებრივია თუ საერთაშორისო. თუ საშუალება შიდასახელმწიფოებრივია, აუცილებელია, განაცხადის სასამართლოში წარდგენამდე მოხდეს მისი ამოწურვა, ხოლო თუ იგი საერთაშორისოა, განაცხადი შესაძლოა უარყოფილ იქნას კონვენციის 35-ე მუხლის მე-2(ბ) პარაგრაფის შესაბამისად (იხილეთ ქვეთავი I.ე). სასამართლოს ევალება დაადგინოს, კონკრეტული ორგანო შიდასახელმწიფოებრივია თუ საერთაშორისო, რასაც წინ უნდა უსწრებდეს ყველა შესაბამისი ფაქტორის, მათ შორის იურიდიული ბუნების, დამფუძნებელი დოკუმენტის, კომპეტენციის, არსებულ სამართლებრივ სისტემაში მისი ადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დაფინანსების გათვალისწინება (*Jeličić v. Bosnia and Herzegovina* (dec.); *Peraldi v. France* (dec.)) (იხილეთ ქვეთავი I.ე).

### 1. წესის მიზანი

47. სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამოწურვის წესის მიზანია, ეროვნულ ხელისუფლებას, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოს, მისცეს საშუალება, აღკვეთოს ან გამოასწოროს კონვენციის სავარაუდო დარღვევის ფაქტი. იგი ეფუძნება მე-13-ე მუხლში ასახულ ვარაუდს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემა უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებას კონვენციით

გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში. ეს წესი წარმოადგენს კონვენციის მექანიზმის სუბსიდიარული ბუნების მნიშვნელოვან ასპექტს: (*Selmouni v. France* [GC], § 74; *Kudła v. Poland* [GC], § 152; *Andrášik and Others v. Slovakia* (dec.)). იგი გამოიყენება მიუხედავად იმისა, არის თუ არა კონვენციის დებულებები ინკორპორირებული ეროვნულ კანონმდებლობაში (*Eberhard and M. v. Slovenia*). სასამართლომ ახლახანს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტორს, რომ სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა კონვენციით გათვალისწინებული დაცვის სისტემის მოქმედების აუცილებელი ნაწილია და იგი წარმოადგენს ფუძემდებლურ პრინციპს (*Demopoulos and Others v. Turkey* (dec.) [GC], §§ 69 and 97).

## 2. წესის გამოყენება

### ა) მოქნილობა

48. ამოწურვის წესი შესაძლოა აღწერილ იქნას, როგორც ოქროსაგან დამზადებული და არა ქვაში ნაკვეთი. კომისიასა და სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავთ ამ წესის გარკვეული მოქნილობითა და ზედმეტი ფორმალურობის გარეშე გამოყენების საჭიროება, ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტიდან გამომდინარე (*Ringeisen v. Austria* § 89; *Lehtinen v. Finland* (dec)). ამოწურვის წესი არ არის აბსოლუტური, ასევე, დაუშვებელია მისი ავტომატურად გამოყენება (*Kozacioğlu v. Turkey* [GC], §40). მაგალითად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არამართებულად ფორმალური იქნებოდა განმცხადებლისათვის სამართლებრივი დაცვის ისეთი საშუალების გამოყენება მოეთხოვა, რომლის გამოყენებაც თავად ეროვნული სასამართლოს უმაღლეს ინსტანციას არ მოუთხოვია (*D.H. and Others v. the Czech Republic*, §§ 116-18). ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში მხედველობაში მიიღო მკაცრი ვადები, რომლებიც დადგენილი იყო განმცხადებლებისაგან პასუხის მისაღებად და ხაზი გაუსვა “სინქარეს” რომლითაც უნდა ყოფილიყო შეტანილი მათი წარდგინებები (იხილეთ *Financial Times Ltd and Others v. the United Kingdom*, §§ 43-44). თუმცა, სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომი საშუალებების გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ ფორმალურ კრიტერიუმებთან შესაბამისობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როდესაც საქმე ეხება სამართლებრივი სიზუსტისა და უსაფრთხოების პრინციპებს (*Saghinadze and Others v. Georgia*, §§ 83-84).

### ბ) შესაბამისობა შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან და შეზღუდვებთან

49. განმცხადებლები ვალდებული არიან, დაემორჩილონ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის ნორმებსა და პროცედურებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი განაცხადები წინააღმდეგობაში მოვა 35-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებთან (*Ben Salah Adraqui and Dhaima v. Spain* (dec.); *Merger and Cros v. France*; *MPP Golub v. Ukraine* (dec.); *Agbovi v. Germany* (dec.)). 35-ე მუხლის 1-ლ პარაგრაფთან შესაბამისობა არ იქნება უზრუნველყოფილი, როდესაც განაცხადი მიუღებელი ხდება განხილვისათვის განმცხადებლის მიერ პროცედურული შეცდომის დაშვების გამო (*Gäfgen v. Germany* [GC], § 143).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლო შეისწავლის საჩივრის არსებით მხარეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი შემდგომ დაუშვებლად ცნობს საჩივარს, 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის მოთხოვნები შესრულებულად ჩაითვლება (*Voggenreiter v. Germany*). აღნიშნული ასევე შეეხება იმ განმცხადებლებს, რომლებიც უგულვებელყოფენ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ წესებს, მაგრამ კომპეტენტური უწყების მიერ მაინც იქნა შესწავლილი მათი საჩივრის არსებითი მხარე (*Vladimir Romanov v. Russia*, §52). ზემოაღნიშნული ასევე ვრცელდება ზედაპირულად შედგენილ საჩივრებზე, რომლებიც თითქმის ვერ აკმაყოფილებენ სამართლებრივ მოთხოვნებს, თუმცა, ეროვნულ სასამართლოს ნამსჯელი აქვს საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით, თუნდაც მოკლედ (*Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland (no. 2)* [GC], §§43-45).

### გ) სამართლებრივი დაცვის რამდენიმე საშუალების არსებობა

50. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ერთზე მეტი პოტენციურად ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, განმცხადებელს მოეთხოვება მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის გამოყენება (*Moreira Barbosa v. Portugal* (dec); *Jeličić v. Bosnia and Herzegovina*, (dec); *Karakó v. Hungary*, §14; *Aquilina v. Malta* [GC], §39). ანუ, იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელმა უკვე სცადა სამართლებრივი დაცვის ერთი საშუალების გამოყენება, სხვა არსებითად იმავე მიზნის მქონე საშუალების გამოყენება სავალდებულო აღარ არის (*Riad and Idiab v. Belgium*, §84; *Kozacioğlu v. Turkey* [GC], §§40 და ა.შ.; *Micallef v. Malta* [GC], §58). განმცხადებელს თავად შეუძლია შეარჩიოს სამართლებრივი დაცვის ის საშუალება, რომელიც მის შემთხვევაში ყველაზე მეტად შესაფერისია. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ თუ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართლებრივი დაცვის რამდენიმე საშუალების არსებობას სამართლის სხვადასხვა დარგში, განმცხადებელი, რომელიც შეეცდება დარღვეული უფლების აღდგენას რომელიმე ამ საშუალების გამოყენებით, არ არის ვალდებული გამოიყენოს სხვა საშუალებებიც, რომლებიც არსებითად იგივე მიზანს ემსახურებიან (*Jasinskis v. Latvia*, §§ 50 ანდ 53-54).

### დ) არსებით მხარესთან დაკავშირებული საჩივარი

51. არ არის აუცილებელი, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლება პირდაპირ იქნას დასახელებული შიდასახელმწიფოებრივ დონეზე საქმისწარმოების დროს, იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ინიცირებულია, „როგორც მინიმუმ, არსებით მხარესთან დაკავშირებით“ (*Castells v. Spain*, §32; *Ahmet Sadik v. Greece*, §33; *Fressoz and Roire v. France*, §38; *Azinas v. Cyprus* [GC], §§ 40-41). მაშასადამე, თუ განმცხადებელი არ დაეყრდნო კონვენციის დებულებებს, მას წამოჭრილი უნდა ქონდეს იგივე ან მსგავსი შედეგის მქონე არგუმენტები ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, იმისათვის რომ მისცეს ეროვნულ სასამართლოებს შესაძლებლობა, პირველ რიგში, თავად გამოასწორონ დარღვევა (*Gäffgen v. Germany* [GC], §§ 142, 144 and 146; *Karapanagiotou and Others v. Greece*, §29; ისეთ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც საერთოდ არ ყოფილა წამოჭრილი, თუნდაც არაპირდაპირი სახით,

სამართალწარმოების ბოლო საფეხურზეც კი, იხილეთ *Association Les témoins de Jéhovah v. France* (dec.).

#### ე) არსებობა და შესაბამისობა

52. განმცხადებლები ვაღიარებენ არიან, ამოწურონ სამართლებრივი დაცვის მხოლოდ ის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, რომლებიც თეორიულად და პრაქტიკულად არსებობს შესაბამისი მომენტისათვის და რომელთა გამოყენებაც მათ თავად შეუძლიათ, ანუ ის საშუალებები, რომლებიც ხელმისაწვდომია, დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობას იძლევა და წარმატების მიღწევის გონივრული პერსპექტივა გააჩნია (*Sejdovic v. Italy* [GC], § 46; *Paksas v. Lithuania* [GC], § 75).

53. სამართლებრივი დაცვის დისკრეციული ან განსაკუთრებული საშუალებების გამოყენება არ არის სავალდებულო, მაგალითად, სასამართლოსათვის საკუთარი გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით მიმართვა (*Çınar v. Turkey* (dec); *Prystavka v. Ukraine* (dec)), ან საქმისწარმოების განახლების მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, მაგალითად, როდესაც ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, ამგვარი მოთხოვნა თავად წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას (*K.S. and K.S. AG v. Switzerland* (dec.)); ან როდესაც კანონიერ ძალაში შესული განჩინების გაუქმება წარმოადგენს ერთადერთ ღონისძიებას, რომლითაც მოპასუხე სახელმწიფოს შეუძლია გამოასწოროს მდგომარეობა საკუთარი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში (*Kiiskinen v. Finland* (dec.); *Nikula v. Finland* (dec.)). საჩივარი ზემდგომ ორგანოში არ წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას (*Horvat v. Croatia*, §47; *Hartman v. the Czech Republic*, §66); იგივე ეხება სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომელიც განმცხადებლისათვის არ არის პირდაპირ ხელმისაწვდომი და დამოკიდებულია შუამავლის მიერ საკუთარი დისკრეციის განხორციელებაზე (*Tănase v. Moldova* [GC], §122). იმ საჩივრის ეფექტურობის შესახებ, რომლის გამოყენება, როგორც წესი, სავალდებულო არ არის (ომბუდსმენი), იხილეთ მსჯელობა განჩინებაში *Egmez v. Cyprus*, §§66-73. და ბოლოს, სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალება, რომელიც რაიმე კონკრეტულ ვადებით არ არის შემოსაზღვრული და შესაბამისად ქმნის გაურკვევლობას არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურად (*Williams v. the United Kingdom* (dec.), და მასში ციტირებული წყაროები).

თუ განმცხადებელმა უკვე გამოიყენა სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც სასამართლომ მიიჩნია არასათანადოდ, ამ საშუალების გამოყენებაზე დახარჯული დრო არ შეაჩერებს ექვსთვიანი ვადის დინებას, რომელსაც შესაძლოა მოყვეს განაცხადის უკუგდება ვადის გასვლის გამო (*Rezgui v. France* (dec.) და *Prystavska v. Ukraine* (dec.)).

#### ვ) ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა

54. სამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობა საკმარისად აშკარა უნდა იყოს არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკაშიც. იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა კონკრეტული საშუალება ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის კრიტერიუმებს, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ინდივიდუალური საქმის კონკრეტული გარემოებები (იხილეთ ქვემოთ მე-4 პუნქტი). ეროვნული სასამართლოების პოზიცია უნდა

იყოს საკმარისად კონსოლიდირებული შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაში. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ზედა ინსტანციის სასამართლოსათვის მიმართვა აღარ არის “ეფექტური” თუ აღნიშნული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არაერთგვაროვანია და ამგვარი განსხვავებები კვლავაც სახეზეა (*Ferreira Alves v. Portugal (no. 6)*, §§28-29).

ევროპულმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არა მარტო ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში არსებული სამართლებრივი დაცვის ფორმალური საშუალებები, არამედ ასევე ზოგადი სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც ისინი მოქმედებენ, ისევე როგორც განმცხადებლის პიროვნული გარემოებები (*Akdivar and Others v. Turkey* §§ 68-69; *Khashiyev and Akayeva v. Russia*, §§116-17). საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, სასამართლომ უნდა განიხილოს, განახორციელა თუ არა განმცხადებელმა ყველა შესაძლო ქმედება, რომლის განხორციელებაც მისგან გონივრულად იყო მოსალოდნელი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის მიზნით (*D.H. and Others v. the Czech Republic* [GC], §§ 116-22).

უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საზღვრები არ წარმოადგენს *per se* დაბრკოლებას შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის კუთხით; ზოგადი წესის თანახმად, განმცხადებლები, რომლებიც კონვენციის წევრი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ არ არიან გათავისუფლებული მოცემულ სახელმწიფოში სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის ვალდებულებისაგან, მიუხედავად პრაქტიკული შეფერხებებისა ან გასაგები მიზეზების გამო ქმედების განხორციელების სურვილის არქონისა (*Demopoulos and Others v. Turkey* (dec.) [GC], §§98 და 101 იმ განმცხადებელთა შესახებ, რომლებიც თავიანთი სურვილით არ დამორჩილდნენ მოპასუხე სახელმწიფოს იურისდიქციას).

### 3. წესის გამოყენების შეზღუდვა

55. „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების” თანახმად, შესაძლოა არსებობდეს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ათავისუფლებს განმცხადებელს ვალდებულებისაგან გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები (*Sejdovic v. Italy* [GC], §55) (იხილეთ ქვემოთ მე-4 პუნქტი).

აღნიშნული წესი ასევე არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც მოიცავს კონვენციასთან შეუსაბამო ქმედებების ერთობლიობასა და სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ოფიციალურ შემწყნარებლობას, და როდესაც ამგვარი პრაქტიკა, საკუთარი ხასიათიდან გამომდინარე, უსარგებლოს ან არაეფექტურს ხდის საქმისწარმოებას (*Aksoy v. Turkey*, §52). იმ შემთხვევებში როდესაც განმცხადებლისათვის კონკრეტული საშუალების გამოყენების მოთხოვნა პრაქტიკაში არაგონივრული იქნება და იქცევა კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური განაცხადის წარდგენის უფლების განხორციელების არაპროპორციულ დაბრკოლებად, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებელი არ არის ვალდებული შეასრულოს ეს მოთხოვნა (*Veriter v. France*, § 27; *Gaglione and Others v. Italy*, §22).

როდესაც საჩივარს შედეგად მოყვება ჯარიმის დაკისრება, მიუხედავად იმისა რომ ადგილი არ ჰქონია უფლების ბოროტად გამოყენებას, სამართლებრივი დაცვის ამგვარი საშუალების ამოწურვა სავალდებულო არ არის (*Principe v. Monaco*, §§ 95-97).

#### 4. მტკიცების ტვირთის განაწილება

56. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო აცხადებს, რომ სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები არ არის ამოწურული, მას ეკისრება ტვირთი დაამტკიცოს, რომ განმცხადებელს არ გამოუყენებია საშუალება, რომელიც იყო როგორც ეფექტური, ისე ხელმისაწვდომი. ნებისმიერი ამგვარი საშუალების ხელმისაწვდომობა საკმარისად სარწმუნო უნდა იყოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში (*Scavuzzo-Hager and Others v. Switzerland* (dec.); *Norbert Sikorski v. Poland*, § 117; *Sürmeli v. Germany* [GC], §§110-12). სამართლებრივი დაცვის საშუალება უნდა იძლეოდეს განმცხადებლის პრეტენზიების დაკმაყოფილების შესაძლებლობას და უნდა გააჩნდეს წარმატების გონივრული პერსპექტივა (*Scoppola v. Italy (no. 2)* [GC], §71). ამგვარი საშუალების არსებობა და ხელმისაწვდომობა, მათ შორის მისი ფარგლები და გამოყენება, უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული და დადასტურებული პრაქტიკით ან პრეცედენტული სამართლით (*Mikolajová v. Slovakia*, §34). ეს ეხება ასევე საერთო სამართლის სისტემის მიმდევარ ქვეყნებს, სადაც არსებობს დაწერილი კონსტიტუციები და მათში ნაგულისხმევია უფლება, რომელსაც ეყრდნობა განმცხადებელი (*McFarlane v. Ireland* [GC], §117 სამართლებრივი დაცვის იმ საშუალებასთან დაკავშირებით, რომელიც თეორიაში დაახლოებით 25 წლის განმავლობაში არსებობდა, თუმცა, არასდროს ყოფილა გამოყენებული).

ხელისუფლების არგუმენტებს უფრო მეტი წონა ექნება, თუ ის წარადგენს მაგალითებს ეროვნული პრეცედენტული სამართლიდან (*Doran v. Ireland*; *Andrášik and Others v. Slovakia* (dec.); *Di Sante v. Italy* (dec.); *Giummarra and Others v. France* (dec.); *Paulino Tomás v. Portugal* (dec.); *Johtti Sappmelacat Ry and Others v. Finland* (dec.)), რომლებიც რელევანტურია მოცემულ შემთხვევაში (*Sakhnovskiy v. Russia* [GC], §§43-44).

57. თუ ხელისუფლება აცხადებს, რომ განმცხადებელი პირდაპირ კონვენციაზე დაყრდნობით უნდა წარმდგარიყო ეროვნული სასამართლოს წინაშე, სამართლებრივი დაცვის ამგვარი საშუალების სარწმუნოების ხარისხი კონკრეტული მაგალითების მეშვეობით უნდა დადასტურდეს (*Slavgorodski v. Estonia* (dec.)).

58. სასამართლოსათვის შედარებით ადვილად მისაღები აღმოჩნდა არგუმენტები, როდესაც ეროვნულმა საკანონმდებლო ორგანომ შექმნა სამართლებრივი დაცვის ახალი საშუალება გაჭიანურებული საქმისწარმოების პრობლემის მოსაგვარებლად. (*Brusco v. Italy* (dec.); *Slaviček v. Croatia* (dec.). *Scordino v. Italy (no. 1)* [GC], §§ 136-48. საპირისპიროდ: *Merit v. Ukraine*, § 65.)

59. თუ ხელისუფლება შეასრულებს მტკიცების ვალდებულებას და დადასტურებს სათანადო და ეფექტური საშუალების ხელმისაწვდომობას განმცხადებლისთვის, ამ უკანაკნელმა უნდა აჩვენოს, რომ:

- სამართლებრივი დაცვის საშუალება რეალურად გამოყენებული იყო (*Grässer v. Germany* (dec.)); ან

- საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, სამართლებრივი დაცვის საშუალება არაადეკვატური და არაეფექტური იყო რაიმე მიზეზის გამო (*Selmouni v. France* [GC], § 76 – მაგალითად, გამოძიების გაჭიანურებული ვადების შემთხვევაში – *Radio France and Others v. France* (dec.), §34; ან როდესაც სამართლებრივი დაცვის საშუალება, როგორცაა საკასაციო საჩივარი, ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია, მაგრამ მსგავს საქმეებში არაეფექტური აღმოჩნდა კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე: *Scordino v. Italy* (dec.); *Pressos Compania Naviera S.A. and Others v. Belgium*, §§26 და 27, მაშინაც კი, როდესაც შესაბამისი გადაწყვეტილებები ახალი მიღებულია (*Gas and Dubois v. France* (dec.)). იგივე მიდგომა ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც განმცხადებელს არ შეეძლო პირდაპირ მიემართა შესაბამისი სასამართლოსათვის (*Tănase v. Moldova* [GC], §122). ზოგიერთი სპეციფიური გარემოების არსებობისას, შესაძლოა არსებობდეს ერთსა და იმავე მდგომარეობაში მყოფი რამდენიმე განმცხადებელი, რომელთაგან ზოგს არ მიუმართავს ეროვნული სასამართლოსათვის, თუმცა, ისინი გათავისუფლებულნი არიან ამგვარი მოვალეობისაგან, რადგან სხვების მიერ უკვე გამოყენებული სამართლებრივი დაცვის საშუალება არაეფექტური აღმოჩნდა პრაქტიკაში და მათ კონკრეტულ შემთხვევაშიც იგივე შედეგი დადგებოდა (*Vasilkoski and Others v. “the former Yugoslav Republic of Macedonia”*, §§45-46; *Laska and Lika v. Albania*, §§45-48). თუმცა, ამგვარი მიდგომა მხოლოდ ძალიან სპეციფიურ საქმეებში გამოიყენება (შედარებისათვის იხილეთ, *Saghinadze and Others v. Georgia*, §§ 81-83); ან

- სახეზე იყო განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ათავისუფლებს განმცხადებელს ამ ვალდებულებისაგან (*Akdivar and Others v. Turkey*, §§68-75; *Sejdovic v. Italy* [GC], §55; *and Veriter v. France*, §60).

60. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი შესაძლოა იყოს ეროვნული ხელისუფლების სრული პასიურობა, როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიმართ არსებობს სერიოზული პრეტენზიები, მათ მიერ არასათანადო ქმედების განხორციელების ან ზიანის მიყენების შესახებ. მაგალითად, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები არ ჩაატარებენ გამოძიებას ან არ შესთავაზებენ განმცხადებელს დახმარებას. ამგვარი გარემოებების არსებობისას, შესაძლებელია ითქვას, რომ მტკიცების ტვირთი უკვე გადადის მოპასუხე მთავრობაზე და მან უნდა აჩვენოს, რა ზომები იქნა მიღებული გაპროტესტებული საქმეების ფარგლებისა და სერიოზულობის გათვალისწინებით (*Demopoulos and Others v. Turkey* (dec.) [GC], §70).

61. თუ განმცხადებელს სამართლებრივი დაცვის კონკრეტული საშუალების ეფექტურობის შესახებ გააჩნია ეჭვები, მხოლოდ ამგვარი ეჭვების არსებობა არ ათავისუფლებს მას ვალდებულებისაგან სცადოს მოცემული საშუალების გამოყენება (*Epözdemir v. Turkey* (dec.); *Milošević v. the Netherlands* (dec.); *Pellegriti v. Italy* (dec.); *MPP Golub v. Ukraine* (dec.)). განმცხადებლის ინტერესებში შედის შესაბამისი ეროვნული სასამართლოსათვის მიმართვა, რათა მისცეს მას შესაძლებლობა განმარტების საფუძველზე განავითაროს არსებული უფლებები (*Ciupercescu v. Romania*, §169). სამართლებრივ სისტემაში, სადაც ძირითადი უფლებების კონსტიტუციური დაცვაა უზრუნველყოფილი, პირს ეკისრება ვალდებულება შეამოწმოს ამგვარი დაცვის ხარისხი, ხოლო საერთო სამართლის სისტემაში, მისცეს საშუალება ეროვნულ სასამართლოებს განავრცონ ეს უფლებები ინტერპრეტაციის გზით (*A, B and C v. Ireland* [GC], §142). მაგრამ იმ

შემთხვევაში, თუ კონკრეტული საშუალება არ სთავაზობს განმცხადებელს წარმატების გონივრულ პერსპექტივას, მაგალითად, ეროვნული პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, განმცხადებლის მიერ მისი გამოუყენებლობა არ ჩაითვლება დაბრკოლებად განაცხადის დასაშვებობისათვის (*Pressos Compania Naviera S.A. and Others v. Belgium*, § 27; *Carson and Others v. the United Kingdom* [GC], §58).

### 5. პროცესუალური ასპექტები

62. განმცხადებლისათვის სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის მოთხოვნა, როგორც წესი უკავშირდება იმ თარიღს, როდესაც განაცხადი შეტანილ იქნა სასამართლოში (*Baumann v. France*, §47), გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რაც შესაძლოა დასაბუთებული იყოს საქმის კონკრეტული გარემოებებით (იხილეთ ქვემოთ მე-6 პუნქტი). მიუხედავად ამისა, სასამართლოსათვის მისაღებია ის შემთხვევებიც, როდესაც სამართლებრივი დაცვის ამგვარი საშუალებების ბოლო ეტაპის ამოწურვა ხდება განაცხადის შეტანიდან ხანმოკლე დროის გასვლის შემდეგ მაგრამ მანამდე, სანამ გადაწყდება დასაშვებობის საკითხი (*Karoussiotis v. Portugal*, §57).

63. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლებას განზრახული აქვს პრეტენზია განაცხადოს იმის გამო, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალებების არ იყო ამოწურული, მან ეს უნდა გააკეთოს სასამართლოსადმი წარდგენილ მიმოხილვაში, დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ პრეტენზიების ხასიათი და საქმის გარემოებები იძლევა ამის შესაძლებლობას. თუმცა, შესაძლოა არსებობდეს გამონაკლისი გარემოებები, რაც ათავისუფლებს მთავრობას ამგვარი ვალდებულებისაგან (*Mooren v. Germany* [GC], §57 და მასში მითითებული წყაროები, §§ 58-59).

შესაძლებელია შეპასუხება სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამოწურვის შესახებ წარდგენილ იქნას საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებულ მოსაზრებებთან ერთად, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება პროცესუალურ მოვალეობებს ან გარანტიებს, მაგალითად, განაცხადებს მე-2 ან მე-3 მუხლების პროცედურული ნაწილის შესახებ (*Dink v. Turkey*, §§ 56-58), მე-6 მუხლთან დაკავშირებით (*Scoppola v. Italy (no. 2)* [GC], §126), მე-8 მუხლთან დაკავშირებით (*A, B and C v. Ireland* [GC], §155); და მე-13 მუხლთან დაკავშირებით (*Sürmeli v. Germany* [GC], §78, and *M.S.S. v. Belgium and Greece* [GC], §336).

### 6. სამართლებრივი დაცვის ახალი საშუალებების შექმნა

64. შეფასება იმისა, ამოწურულ იქნა თუ არა სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები ჩვეულებრივ ხორციელდება სასამართლოში განაცხადის შეტანის თარიღისათვის საქმისწარმოების მდგომარეობის გათვალისწინებით. თუმცა, აღნიშნული წესიდან შესაძლოა არსებობდეს გამონაკლისები, სამართლებრივი დაცვის ახალი საშუალებების შექმნის დროს (*İçyer v. Turkey* (dec.), §§72 და ა.შ.). ევროპულმა სასამართლომ დაუშვა გამონაკლისი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, რომლებიც ეხებოდა საქმისწარმოების ხანგრძლივობას (*Predil Anstalt v. Italy* (dec.); *Bottaro v. Italy* (dec.); *Andrášik and Others v. Slovakia* (dec.); *Nogolica v. Croatia* (dec.); *Brusco v. Italy*

(dec.); *Korenjak v. Slovenia* (dec.), §§ 66-71), საკუთრების უფლებაში ჩარევასთან დაკავშირებული სამართლებრივი დაცვის ახალი საშუალების შექმნას (*Charzyński v. Poland* (dec.); *Michalak v. Poland* (dec.); *Demopoulos and Others v. Turkey* (dec.) [GC]), დაცვის ახალი საშუალებების შექმნას ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის (*Nagovitsyn and Nalgiyev v. Russia* (dec.), §§ 36-40) და ციხის გადატვირთულობის გამო (*Latak v. Poland* (dec.)).

სასამართლო ითვალისწინებს სამართლებრივი დაცვის ზემდგომ საშუალებათა ეფექტურობასა და ხელმისაწვდომობას (*Demopoulos and Others v. Turkey* (dec.) [GC], §88).

სამართლებრივი დაცვის ახალი საშუალების არაეფექტურობის შესახებ, იხილეთ *Parizov v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"*, §§41-47. სამართლებრივი დაცვის ახალი კონსტიტუციური საშუალების ეფექტურობის შესახებ, იხილეთ *Cvetković v. Serbia*, §41.

რაც შეეხება თარიღს, რომლიდანაც განმცხადებელს მოეთხოვება შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო სისტემაში, პრეცედენტული სამართლის ცვლილების შედეგად, ახლად შემოტანილი სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენება, იხილეთ *Depauw v. Belgium* (dec.), უფრო ზოგადად იხილეთ *McFarlane v. Ireland* [GC], §117; პილოტური განჩინების შემდეგ ახლად შექმნილი სამართლებრივი დაცვის საშუალების შესახებ იხილეთ: *Fakhretdinov and Others v. Russia* (dec.), §§36-44, ხოლო შიდასახელმწიფოებრივი პრეცედენტული სამართლიდან გადახვევის შესახებ იხილეთ: *Scordino v. Italy (no. 1)* [GC], § 147.

საქმეებში *Scordino v. Italy (no. 1)* [GC] და *Cocchiarella v. Italy* [GC] სასამართლომ გააკეთა მინიშნება იმ მახასიათებლებზე, რომლებიც უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივ საშუალებებს იმისათვის, რომ ისინი ჩაითვალოს ეფექტურად საქმისწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ შემთხვევებში (იხილეთ, ასევე, შედარებით ახალი საქმე *Vassilios Athanasiou and Others v. Greece*, §§ 54-56). როგორც წესი, განმცხადებელი ვაძღებელი არ არის გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელსაც არ მოყვება შედეგად პრევენცია ან კომპენსაცია (*Puchstein v. Austria*, §31). საქმისწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დაცვის საშუალება უნდა მოქმედებდეს გაჭიანურების გარეშე და იძლეოდეს უფლების აღდგენის სათანადო შესაძლებლობას (*Scordino v. Italy (no. 1)* [GC], §§ 195 და 204-07).

65. თუ სასამართლო გამოავლენს სტურქტურულ ან ზოგად ნაკლს ეროვნულ კანონმდებლობაში ან პრაქტიკაში, მას შეუძლია მოსთხოვოს სახელმწიფოს შეისწავლოს სიტუაცია და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს ეფექტური ზომები მსგავსი სახის საქმეებთან დაკავშირებული განაცხადების სასამართლოში შეტანის პრევენციისათვის (*Lukenda v. Slovenia*, §98). სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ სახელმწიფომ უნდა შეცვალოს სამართლებრივი დაცვის არსებულ საშუალებათა არეალი, ან დაამატოს ახალი საშუალებები იმისათვის, რომ უზურნველყოს კონვენციით დაცული უფლებების ჭეშმარიტად ეფექტური აღდგენა (იხილეთ, მაგალითად, პილოტური განჩინებები საქმეებში (*Xenides-Arestis v. Turkey*, §40; და *Burdov v. Russia (no. 2)*, §§42, 129 და ა.შ., და 140). განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სამართლებრივი დაცვის ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი

საშუალებების უზრუნველყოფის აუცილებლობა (იხილეთ პილოტური გადაწყვეტილება საქმეში *Vassilios Athanasiou and Others v. Greece*, §41).

როდესაც მოპასუხე სახელმწიფო ქმნის სამართლებრივი დაცვის ახალ საშუალებას, სასამართლო ავასებს აღნიშნული საშუალების ეფექტურობას (მაგალითად, *Robert Lesjak v. Slovenia*, §§ 34-55; *Demopoulos and Others v. Turkey* (dec.) [GC], §87). თუ დადასტურდა ეფექტურობა, სასამართლო ადგენს, რომ მსგავს საქმეებში, სხვა განმცხადებლებს მოეთხოვებათ გამოიყენონ სამართლებრივი დაცვის აღნიშნული საშუალება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ დროის ფაქტორის გამო ეს შესაძლებლობა შეზღუდული ჰქონდათ. სასამართლომ, 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის საფუძველზე, დაუშვებლად გამოაცხადა ამგვარი განაცხადები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი შეტანილი იყო სამართლებრივი დაცვის ახალი საშუალების შექმნამდე (*Grzinčič v. Slovenia*, §§102-10; *İçyer v. Turkey* (dec.), §§74 და ა.შ.).

აღნიშნული ეხება სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდა განაცხადის შეტანის შემდგომ. შეფასება იმისა, არსებობდა თუ არა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ავალდებულებდა განმცხადებელს ესარგებლათ ამ საშუალებით მოხდეს იმის გათვალისწინებით, თუ როგორია ახალი რეგულაციების ბუნება და კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც მოხდა მათი დანერგვა (*Fakhretdinov and Others v. Russia* (dec.), § 30). ცოტა ხნის წინ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მისი პილოტური განჩინების მოთხოვნის საფუძველზე შექმნილი სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება უნდა იქნას გამოყენებული მანამდე, სანამ განმცხადებლები მიმართავენ სასამართლოს. სასამართლომ ასევე დააზუსტა 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის გამოყენების პირობები განაცხადის შეტანის თარიღის შესაბამისად (*ibid.*, §§31-33; იხილეთ ასევე *Nagovitsyn and Nalgiyev v. Russia* (dec.), §§ 29 და ა.შ., და 42).

## ბ. შესაბამისობა ექსთეიანი ვადის დაცვის წესთან

### **მუხლი 35, §1 – დასაშვებობის კრიტერიუმები**

“სასამართლოს შეუძლია საქმე მიიღოს განსახილველად მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურება სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების თანახმად, და თუ გასული არ არის ექვსი თვე საქმეზე შიდასახელმწიფოებრივი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან.”

### *1. წესის მიზანი*

66. ექსთეიანი ვადის დაცვის წესის მიზანია ხელი შეუწყოს კანონის უსაფრთხოებას, უზრუნველყოს კონვენციის შესაბამისად წამოჭრილი საკითხების გონივრულ ვადაში განხილვა და ხელისუფლებისა და სხვა პირების ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაურკვეველ ვითარებაში ყოფნისაგან დაცვა (*P.M. v. the United Kingdom* (dec.)).

67. აღნიშნული ნორმა სავარაუდო განმცხადებელს აგრეთვე უზრუნველყოფს შესაბამისი დროით, რითაც მას ეძლევა საშუალება

მოიფიქროს შეიტანოს თუ არა განცხადი, დადებით გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განსაზღვროს მოთხოვნები და არგუმენტაცია (*O'Loughlin and Others v. the United Kingdom* (dec.)), და ხელი შეუწყოს საქმის დეტალების დადგენას და წამოჭრილი საკითხების სამართლიან განხილვას (*Nee v. Ireland* (dec.)).

68. ექვსთვიანი ვადის დაცვის წესი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობის და, როგორც ფიზიკური პირებისათვის, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთათვის, მიცემული გაფრთხილებების ვადებს, რომლის შემდგომაც ამგვარი ზედამხედველობის განხორციელება შეუძლებელია (*İpek v. Turkey* (dec.); *Di Giorgio and Others v. Italy* (dec.)).

69. სასამართლოს არ შეუძლია გვერდი აუაროს ექვსთვიანი ვადის დაცვის წესის გამოყენების მოთხოვნას (მაგალითად იმ შემთხვევაში, როდესაც სამთავრობო მიმოხილვა არ განიხილავს აღნიშნულ საკითხს) (*Belaousof and Others v. Greece*, §38).

70. ექვსთვიანი ვადის დაცვის წესის თანახმად, განმცხადებელს არ მოეთხოვება სასამართლოში განაცხადის შეტანა მანამ, სანამ მის საქმეზე ეროვნულ დონეზე საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნება გამოტანილი (*Varnava and Others v. Turkey* [GC], §157).

## 2. ექვსთვიანი ვადის ათვლის საწყისი თარიღი

### ა) საბოლოო გადაწყვეტილება

71. ექვსთვიანი ვადის ათვლა იწყება სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვისას საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ (*Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom* (dec.)). განმცხადებლის მიერ ჩვეულებრივ უნდა იქნას გამოყენებული სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, რომლებიც საკმარისი და ეფექტურია (*Moreira Barbosa v. Portugal* (dec.)).

72. გათვალისწინებული უნდა იქნას სამართლებრივი დაცვის მხოლოდ ჩვეულებრივი და ეფექტური საშუალებები, ვინაიდან განმცხადებელს არ შეუძლია კონვენციით დაწესებული მკაცრი ვადის გახანგრძლივება მაშინ, როდესაც ეცდება შეიტანოს შეუსაბამო და არასწორი განაცხადები იმ ორგანოებსა და დაწესებულებებში, რომელთაც არ აქვთ კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებზე, დარღვეული უფლების აღდგენის უფლებამოსილება ან კომპეტენცია (*Fernie v. the United Kingdom* (dec.)).

73. ვერ იქნება გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ის საშუალებები, რომელთა გამოყენებაც დამოკიდებულია თანამდებობის პირთა დისკრეციულ უფლებამოსილებაზე და რომელიც განმცხადებლისათვის არ არის პირდაპირ ხელმისაწვდომი. ანალოგიურად, განუსაზღვრელი ვადის მქონე სამართლებრივი დაცვის საშუალებები ქმნიან გაურკვეველობას და 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებულ ექვსთვიან ვადას აქცევენ უმოქმედოდ (*Williams v. the United Kingdom* (dec.)).

74. როგორც წესი, 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი განმცხადებლებისაგან არ მოითხოვს საქმისწარმოების განახლების შესახებ განაცხადის წარდგენას ან ანალოგიური განსაკუთრებული საშუალებების გამოყენებას. აღნიშნული მუხლი არ ითვალისწინებს ექვსთვიანი ვადის გაგრძელებას დაცვის ამგვარი საშუალებების გამოყენებისას (*Berdzenishvili v. Russia* (dec.); *Tucka v. the United*

*Kingdom (no. 1)* (dec.)). თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებული საშუალება წარმოადგენს განმცხადებლისათვის ხელმისაწვდომ ერთადერთ სასამართლო საშუალებას, ექვსთვიანი ვადის ათვლა შესაძლებელია დაიწყოს სამართლებრივი დაცვის ამ საშუალების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან (*Ahtinen v. Finland* (dec.)).

განაცხადი, რომლის ევროპულ სასამართლოში წარდგენა მოხდა იმ გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში, რომელიც უარყოფს მოთხოვნას საქმისწარმოების განახლების შესახებ, დაუშვებელია, ვინაიდან ამგვარი გადაწყვეტილება არ მიიჩნევა “საბოლოო გადაწყვეტილებად” (*Sapeyan v. Armenia*, § 23).

განახლებული საქმისწარმოების ან საბოლოო გადაწყვეტილების გადასინჯვის შემთხვევაში, ექვსთვიანი ვადის მიმდინარეობა პირველად საქმისწარმოებასთან ან საბოლოო გადაწყვეტილებასთან მიმართებაში შეჩერდება კონვენციით გათვალისწინებულ მხოლოდ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოყენებული იყო ამგვარი განხილვის ან საქმისწარმოების განახლების საფუძვლად და წარმოადგენდა განხილვის საგანს გასაჩივრების განსაკუთრებული ორგანოსათვის (*Sapeyan v. Armenia*, § 24).

## ბ) ექვსთვიანი ვადის ათვლის წერტილი

75. ექვსთვიანი ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც განმცხადებელი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი იღებენ სათანადო ინფორმაციას შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ (*Koç and Tosun v. Turkey* (dec.)).

76. განმცხადებლის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღების თარიღის დადგენა უნდა მოხდეს თავად სახელმწიფოს მიერ, რომელიც წამოწვეს საკითხს ექვსთვიანი ვადის წესის შეუსრულებლობის თაობაზე (*Şahmo v. Turkey* (dec.)).

## გ) გადაწყვეტილების მიწოდება

77. გადაწყვეტილების მიწოდება განმცხადებლისათვის: თუ განმცხადებელი უფლებამოსილია საბოლოო გადაწყვეტილების ასლი ავტომატურად მიიღოს, 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის ამოცანა და მიზანი შესრულებულად ჩაითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მიღების დღიდან ექვსთვიანი ვადის ათვლით (*Worm v. Austria*, § 33).

78. გადაწყვეტილების მიწოდება ადვოკატისათვის: ექვსთვიანი ვადის ათვლა დაიწყება იმ დღიდან, როდესაც განმცხადებლის ადვოკატისთვის ცნობილი გახდება იმ საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ, რომლითაც სრულდება სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება მოგვიანებით (*Çelik v. Turkey* (dec.)).

## დ) გადაწყვეტილების მიწოდებლობა

79. როდესაც ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიწოდების ვალდებულებას, სასურველია, რომ ათვლის წერტილად გამოყენებულ იქნას გადაწყვეტილებისათვის საბოლოო სახის

მიცემის თარიღი, როდესაც მხარეებს შეეძლებათ მისი შინაარსის მოპოვება (*Papachelas v. Greece* [GC], § 30).

80. განმცხადებელმა და მისმა ადვოკატმა უნდა გამოიჩინონ სათანადო გულმოდგინება გადაწყვეტილების ასლის მისაღებად სასამართლოს კანცელარიიდან (*Ölmez v. Turkey* (dec.)).

#### ე) სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმიუწვდომლობა

81. როდესაც დასაწყისიდანვე აშკარაა, რომ განმცხადებელს არ აქვს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები, ექვსთვიანი ვადის ათვლა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც ადგილი ჰქონდა გასაჩივრებულ ქმედებებს, ან იმ დღიდან, როდესაც განმცხადებელს პირდაპირ მიაღვა ზიანი ან მისთვის ცნობილი გახდა ამგვარი ქმედების ან ქმედების უარყოფითი შედეგის შესახებ (*Dennis and Others v. the United Kingdom* (dec.); *Varnava and Others v. Turkey* [GC], §157).

82. როდესაც განმცხადებელი ისარგებლებს სამართლებრივი დაცვის აშკარად არსებული საშუალებებით და მისთვის მხოლოდ მოგვიანებით გახდება ცნობილი გარემოებების შესახებ, რომელიც ამ საშუალებას არაეფექტურს ხდის, უპრიანი იქნება თუ ექვსთვიანი ვადის ათვლა დაიწყება იმ დღიდან, როდესაც განმცხადებლისათვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა გამხდარიყო ამ ვითარებების შესახებ (*Varnava and Others v. Turkey* [GC], § 158).

#### ვ) ექვსთვიანი ვადის გამოთვლა

83. დროის ათვლა იწყება საბოლოო გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების დღეს ან შემდგომ დღეს, ან იმ დღიდან, როდესაც განმცხადებელს ან მის წარმომადგენელს ეცნობა აღნიშნულის შესახებ, და დასრულდება 6 კალენდარული თვის შემდგომ, მიუხედავად ამ კალენდარული თვეების ფაქტობრივი ხანგრძლივობისა (*Otto v. Germany* (dec.)). ექვსთვიან ვადასთან შესაბამისობა განისაზღვრება კონვენციისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმებით და არა მოპასუხე მხარის ეროვნული კანონმდებლობით (*Benet Praha, spol. s r.o., v. the Czech Republic* (dec.); *Büyükdere and Others v. Turkey*, § 10).

84. ექვსთვიანი ვადის ამოწურვის თარიღს განსაზღვრავს სასამართლო, თუ მოპასუხე მხარის მიერ მითითებულია განსხვავებული თარიღი (*Ipek v. Turkey* (dec.)).

#### ზ) განგრძობითი სიტუაცია

85. ტერმინი “განგრძობითი სიტუაცია” ეხება ისეთ ვითარებას, რომელიც სახელმწიფოს მერ ან მისი სახელით განხორციელებული განგრძობადი მოქმედებების შედეგად განმცხადებელს აქცევს მსხვერპლად. ის ფაქტი, რომ მოვლენამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი შედეგები დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, არ მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნულმა მოვლენამ გამოიწვია “განგრძობითი სიტუაციის” არსებობა (*Iordache v. Romania*, § 49).

86. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო დარღვევა წარმოადგენს განგრძობით სიტუაციას, რომლის საწინააღმდეგოდ არ არსებობს სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი

საშუალებები, ექსთვიანი ვადის ათვლა დაიწყება განგრძობითი სიტუაციის დასრულებისთანავე (*Ülke v. Turkey* (dec.)). აღნიშნული სიტუაციის მიმდინარეობისას ექსთვიანი ვადა არ გამოიყენება (*Jordache v. Romania*, § 50). აგრეთვე იხილეთ *Varnava and Others v. Turkey* [GC], §§ 161 და ა.შ.).

### 3. განაცხადის წარდგენის თარიღი <sup>2</sup>

#### ა) პირველი წერილი

87. კონვენციის ორგანოებში დამკვიდრებული პრაქტიკისა და სასამართლოს რეგლამენტის 47-ე მუხლის მე-5 პარაგრაფის შესაბამისად, განაცხადის წარდგენის თარიღად, როგორც წესი, განიხილება განმცხადებლის პირველი კომუნიკაციის თარიღი, როდესაც იგი წარადგენს განაცხადს – თუნდაც მის მოკლე შინაარსს – იმ პირობით, რომ შესაბამისი წესით შევსებული განაცხადი წარმოდგენილი იქნება სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში (*Kemevuako v. the Netherlands* (dec.)).

88. განაცხადის წარდგენის თარიღად ითვლება განაცხადის გაგზავნისას მასზე საფოსტო მარკის განთავსების თარიღი და არა თავად განაცხადზე მითითებული მიღების დრო (*Kipritci v. Turkey*, § 18). განსაკუთრებული გარემოებებისათვის, რომლებმაც შესაძლოა გაამართლონ განსხვავებული მიდგომა, იხილეთ *Bulinwar OOD and Hrusanov v. Bulgaria*, §§ 30 და ა.შ.

#### ბ) განსხვავება განაცხადის დაწერისა და ფოსტით გაგზავნის თარიღებს შორის

89. წერილის დაწერისა და მისი გაგზავნის თარიღებს შორის ერთ დღეზე მეტი ინტერვალის შემთხვევაში, შესაბამისი განმარტების არარსებობისას, განაცხადის წარდგენის თარიღად ჩაითვლება მისი გაგზავნის თარიღი (*Arslan v. Turkey* (dec.); *Růžičková v. the Czech Republic* (dec.)).

აღნიშნული წესი აგრეთვე გამოიყენება იმ საკითხის დასადგენად, იყო თუ არა განაცხადი გაგზავნილი აუცილებელი რვა კვირიანი პერიოდის განმავლობაში (*Kemevuako v. the Netherlands* (dec.), § 24); ფაქსით გაგზავნის შემთხვევისათვის, იხილეთ (*Otto v. Germany* (dec.)).

#### გ) გაგზავნა ფაქსის მეშვეობით

90. განაცხადის ფორმის გაგზავნა მხოლოდ ფაქსის მეშვეობით არ არის საკმარისი. განაცხადის ფორმის დედანი სათანადო ვადაში უნდა მიეწოდოს სასამართლოს (*Kemevuako v. the Netherlands* (dec.), §§ 22 და ა.შ.).

#### დ) პირველი შეტყობინების შემდგომი ინტერვალის

91. თუ განაცხადზე კონვენციით გათვალისწინებული სამართალწარმოების დაწყება შესაძლებელი იქნება ნებისმიერი პირველადი შეტყობინების მეშვეობით, ხოლო განაცხადი შემდგომში დარჩება უმოქმედო

<sup>2</sup> იხილეთ სასამართლოს რეგლამენტი და პრაქტიკული ღირეკტივა საქმისწარმოების დაწყების შესახებ.

განუსაზღვრელი და შეუზღუდავი დროის განმავლობაში, აღნიშნული შეეწინააღმდეგება ექსთვიანი ვადის ნორმის არსსა და მიზანს. ამრიგად, განმცხადებლებმა განაცხადი სასამართლოში უნდა წარადგინონ გონივრულად მოკლე ვადაში, ნებისმიერი პირველადი კონტაქტის შემდგომ (*P.M. v. the United Kingdom* (dec.)). რვა კვირიანი ვადის დაუცველობა (იხილეთ სასამართლოს რეგლამენტის 17-ე მუხლის მე-5 პარაგრაფი და საქმისწარმოების დაწყების შესახებ პრაქტიკული დირექტივის მე-4 მუხლი) სასამართლოს მიიყვანს იმ გადაწყვეტილებამდე, რომ წარდგენის თარიღად მიჩნეულ იქნება განაცხადის შევსებული ფორმის შეტანის თარიღი (*Kemevuako v. the Netherlands* (dec.), §§ 22-24).

#### ე) საჩივრის კვალიფიკაცია

92. საჩივარი კვალიფიცირდება მასში მოცემული ფაქტებით და არა მხოლოდ იმ სამართლებრივი საფუძვლებითა და არგუმენტებით, რომელზეც დაფუძნებულია იგი (*Scoppola v. Italy* (no. 2) [GC], § 54).

#### ვ) შემდგომი საჩივრები

93. რაც შეეხება საჩივრებს, რომლებიც არ არის წარმოდგენილი პირველად განაცხადში, აღსანიშნავია, რომ ექსთვიანი ვადის მიმდინარეობა არ იქნება შეჩერებული კონვენციის ორგანოსათვის განაცხადის მიწოდების თარიღამდე (*Allan v. the United Kingdom* (dec.)).

94. ექსთვიანი ვადის ამოწურვის შემდგომ წარდგენილი საჩივრების განხილვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ ვადის დაცვით შეტანილი პირველადი საჩივრების განსაკუთრებულ ასპექტებს (*Sâmbata Bihor Greco-Catholic Parish v. Romania* (dec.)).

95. ფაქტი, რომ განმცხადებელი განაცხადში ეყრდნობა მე-6 მუხლს, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეს გახდეს საფუძველი ყველა შემდგომი საჩივრის წარსადგენად აღნიშნული დებულების ფარგლებში, თუ თავდაპირველად არ ყოფილა წარმოდგენილი მითითებები საჩივრის ფაქტობრივი საფუძვლისა და სავარაუდო დარღვევის არსის შესახებ (*Allan v. the United Kingdom* (dec.); *Adam and Others v. Germany* (dec.)).

96. შიდასახელმწიფოებრივი საქმისწარმოების დოკუმენტაციის მიწოდება არ არის საკმარისი, რომ ეს ჩაითვალოს ამ საქმისწარმოებაზე დაფუძნებული ყველა შემდგომი საჩივრის წარდგენად. საჩივრის წარდგენისა და ამრიგად, მიმდინარე ექსთვიანი ვადის შესაჩერებლად საჭიროა გარკვეული, თუნდაც მოკლე, მითითებები კონვენციის სავარაუდო დარღვევის არსის შესახებ (*Božinovski v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"* (dec.)).

### 4. მაკალითები

#### ა) კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულებების შეზღუდვა დროის ფაქტორით

97. როდესაც სახეზეა გარდაცვალების შემთხვევა, განმცხადებელთა ნათესავებმა თვალყური უნდა ადევნონ საგამოძიებო პროცესის მიმდინარეობას. მათ უნდა შეიტანონ განაცხადი დროულად მას შემდეგ რაც

შეიტყობენ ან უნდა შეეცნოთ, რომ გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე არაეფექტურია. (*Varnava and Others v. Turkey* [GC], §§158 და 162).

98. გაუჩინარების შემთხვევაში სავალდებულოა, რომ დაკარგული პირის ნათესავმა არ გააჭიანუროს გამოძიების არაეფექტურობის ან ამგვარი გამოძიების არასრულყოფილების შესახებ საჩივრის სასამართლოში შეტანა. გაუჩინარების შემთხვევაში სტრასბურგში ჩასვლამდე განმცხადებლები ვერ მოიცდიან განუსაზღვრელი დროით. მათ უნდა მოახდინონ გულმოდგინებისა და ინიციატივის დემონსტრირება და წარმოადგინონ პრეტენზიები დაუყოვნებლივ (*Varnava and Others v. Turkey* [GC], § 165, ხოლო დაგვიანების შესახებ იხილეთ §§ 162-66).

**ბ) ექვსთვიანი ვადის წესის გამოყენება დაკავების მრავალჯერადი მონაკვეთების შემთხვევაში, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ფარგლებში**

99. დაკავების მრავალი, მიმდევრობითი მონაკვეთი განხილული უნდა იქნას როგორც ერთი მთლიანი. ასეთ შემთხვევაში, ექვსთვიანი ვადის ათვლა დაიწყება დაკავების მხოლოდ ბოლო მონაკვეთიდან (*Solmaz v. Turkey*, § 36).

**გ. ანონიმური განაცხადი**

**35-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი, ა) პუნქტი – დასაშვებობის კრიტერიუმები**

“2. სასამართლო არ განიხილავს 34-ე მუხლის საფუძველზე წარმოდგენილ განაცხადს, რომელიც  
ა) ანონიმურია ...”<sup>3</sup>

**1. ანონიმური განაცხადი**

100. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლოს წინაშე წარდგენილი განაცხადი ჩაითვლება ანონიმურად იმ შემთხვევაში, თუ საქმეში არ არის მოცემული არც ერთი ელემენტი, რომლის შესაბამისადაც სასამართლო შესძლებს განმცხადებლის იდენტიფიცირებას (*“Blondje” v. the Netherlands* (dec.)). წარმოდგენილ ფორმებში ან დოკუმენტებში არ არის აღნიშნული სახელი, მოცემულია მხოლოდ აღნიშვნები და ზედმეტსახელი და მინდობილობა ხელმოწერილია “X”-ის მიერ; განმცხადებლის ვინაობა არ არის გამოვლენილი.

101. დაუდგენელი პირების სახელით, გაერთიანების მიერ წარდგენილი განაცხადი, რომელშიც გაერთიანება არ სცნობს საკუთარ თავს დაზარალებულად, თუმცა ასაჩივრებს დაუდგენელ პირთა პირადი ცხოვრების უფლებების დარღვევას, რომლებიც ამგვარად გახდნენ განმცხადებლები,

<sup>3</sup> 35-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ანონიმური განაცხადი განსხვავდება განმცხადებლის ვინაობის გაუმჟღავნელობისაგან, რაც ხორციელდება ევროპული სასამართლოს საქმისწარმოების შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობის ზოგადი წესისაგან გამონაკლისის სახით, ასევე სასამართლოს წინაშე კონფიდენციალურობის დაცვის მოთხოვნისაგან (იხილეთ თანდართული სასამართლოს რეგლამენტისა და პრაქტიკული დირექტივის წესი 33 და წესი 47§3).

მიხნეულ იქნა ანონიმურად: (*Federation of French Medical Trade Unions and the National Federation of Nurses v. France* (dec.)).

## 2. არაანონიმური განაცხადი

102. განაცხადის ხელმოწერილი ფორმა, რომელიც შეიცავს შესაბამის პირად მონაცემებს, რაც გამორიცხავს განმცხადებლის ვინაობის შესახებ რაიმე ეჭვს და რასაც თან მოსდევს განმცხადებლის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი კორესპონდენცია, არ ჩაითვლება ანონიმურად (*Kuznetsova v. Russia* (dec.)).

103. გამოგონილი სახელით წარმოდგენილი განაცხადი: პირები, რომლებიც იყენებენ ფსევდონიმს და განუმარტავენ სასამართლოს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში მათი ოჯახის წევრებისა და მეგობრების დაცვა აიძულებს მათ არ გამოააშკარავონ ნამდვილი სახელი. “გასაგები მიზეზების გამო რეალური სახელის დაფარვისას, როდესაც იდენტიფიცირება შესაძლებელია სახელის გარდა სხვა საკმარისი რაოდენობის მინიშნებებით...” და “განმცხადებლისა და განსახილველ მოვლენებს შორის მჭიდრო კავშირის” დადგენის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ განაცხადი არ განიხილება როგორც ანონიმური (*Shamayev and Others v. Georgia and Russia* (dec.)). აგრეთვე, იხილეთ *Shamayev and Others v. Georgia and Russia*, §275.

104. განაცხადი წარმოდგენილი საეკლესიო ორგანოს ან რელიგიური და ფილოსოფიური გაერთიანების მიერ, რომლის წევრების ვინაობაც არ არის გამხელბილი, არ განიხილება ანონიმურად (კონვენციის მე-9, მე-10 და მე-11 მუხლები). იხილეთ *Omkananda and the Divine Light Zentrum v. Switzerland* (dec.).

## დ. განმეორებითი განაცხადი

### 35-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი, ბ) პუნქტი – დასაშვებობის კრიტერიუმები

„2. სასამართლო არ განიხილავს 34-ე მუხლის საფუძველზე წარმოდგენილ განაცხადს, რომელიც...

ბ) არსებითად იგივეა და სასამართლოს მიერ უკვე განხილულია...“<sup>4</sup>

105. განაცხადი განიხილება როგორც “არსებითად იგივე” როდესაც მხარეები, საჩივრები და ფაქტები იდენტურია (*Pauger v. Austria* (dec.); *Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland (no. 2)* [GC], §63).

აღნიშნულის დადგენის შემთხვევაში, განაცხადი დაუშვებლად იქნება ცნობილი.

### 1. იდენტური განმცხადებლები

106. განაცხადები, რომლებსაც ერთი და იგივე დავის საგანი აქვთ, მაგრამ წარმოდგენილია ერთობლივად ფიზიკური პირებისა და იმ გაერთიანების მიერ, რომელმაც საჩივარი წარადგინა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში, ვერ ჩაითვლება როგორც იმავე განმცხადებლების

<sup>4</sup> ეს დებულება ადრე მოცემული იყო 27-ე მუხლში.

მიერ წარმოდგენილი განაცხადი (*Folgerø and Others v. Norway* (dec.)), იგივე ვრცელდება გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრისათვის არასამთავრობო ორგანიზაციის და არა განმცხადებლის მიერ წარდგენილი კომუნიკაციაზე: *Celniku v. Greece*, §§ 36-41, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ თვითნებური დაკავებების სამუშაო ჯგუფისათვის წარდგენილ მოთხოვნებზე და მოთხოვნებზე, რომლებიც წარდგენილია განმცხადებლების მიერ (*Illiu and Others v. Belgium* (dec.)).

107. ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი სახელმწიფოთაშორისი განაცხადი არ ართმევს ინდივიდუალურ განმცხადებლებს უფლებას, რომ შეიტანონ ან მისდიონ საკუთარ საჩივრებს (*Varnava and Others v. Turkey* [GC], § 118).

## 2. იდენტური საჩივრები

108. საჩივრის არსი განიმარტება როგორც მოთხოვნის მიზანი ან სამართლებრივი საფუძველი.

აღნიშნულის კვალიფიკაცია ხდება მასში მითითებული სავარაუდო ფაქტებით და არა სამართლებრივი საფუძველითა და იმ არგუმენტებით, რომლებსაც ეყრდნობა თავად განმცხადებელი (*Guerra and Others v. Italy*, § 44; *Scoppola v. Italy (no. 2)* [GC], § 54; და *Previti v. Italy* (dec.), § 293).

109. სასამართლო ანალიზს ახორციელებს კონკრეტული საჩივრის მიხედვით. 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად, დაუშვებლად იქნება ცნობილი მხოლოდ ის საჩივრები, რომლებიც არსებითად იგივეა, რაც სასამართლოს მიერ სხვა განაცხადის ტრილში უკვე განხილული საჩივრები (*Dinç v. Turkey* (dec.)).

110. განმცხადებლის მიერ წინა განაცხადში წარმოდგენილი საჩივრების გამეორების შემთხვევაში, აღნიშნული განაცხადი დაუშვებლად იქნება ცნობილი (*X v. Federal Republic of Germany* (dec.); *Duclos v. France* (dec.); *Clinique Mozart Sarl v. France* (dec.); *Rupa v. Romania* (dec.), § 52; და *Coscodar v. Romania* (dec.), § 27).

111. თუ დავის საგანი შეეხება სხვა საცხოვრებელს და სხვა დამქირავებელს იმავე საცხოვრებელ კორპუსში, იმავე განმცხადებლის მიერ წარსულში დაუშვებლად ცნობილი განაცხადის საკითხების ახალ განაცხადში წამოჭრა და წარსულში ფორმულირებული საჩივრების გამეორება ახალი მტკიცებულებების გარეშე, არსებითად იგივეა, რაც პირველადი განაცხადი და დაუშვებლად იქნება ცნობილი (*X v. Federal Republic of Germany* (dec.)).

112. ქვემოთ იხილეთ განაცხადების მაგალითები, რომლებიც არ არის არსებითად იგივე:

- დავა დროებითი დაკავების იზოლატორში განმცხადებლის დაკავების პირობების შესახებ არ არის იგივე, რაც დავა, რომელიც ეხება ეროვნული უშიშროების სასამართლოს მიერ მის მსჯავრდებას ან საპარლამენტო თანამდებობის ჩამორთმევას იმ პარტიის დაშლის შედეგად, რომლის წევრებიც იყვნენ განმცხადებლები (*Sadak v. Turkey*, §§ 32-33);

- დავა დროებითი დაკავების იზოლატორში განმცხადებლის დაკავების პირობებისა და ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოს მიერ მისი მსჯავრდების შესახებ არ არის იგივე, რაც დავა, რომელიც ეხება საპარლამენტო თანამდებობის ჩამორთმევას (*Yurttas v. Turkey*, §§ 36-37).

113. სასამართლო ახდენს კანონის მიხედვით ფაქტების კლასიფიცირებას და არ იზღუდება განმცხადებლისა და მთავრობის მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაციით. შესაბამისად, როდესაც განაცხადი შეტანილია სხვა განაცხადში მოცემული ფაქტების ხელახალი განხილვის მიზნით, კონვენციის განსხვავებული დებულებების ფარგლებში, ითვლება, რომ აღნიშნული განაცხადი ეხება იმავე საჩივარს და დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი (*Previti v. Italy* (dec.), §§ 293-94).

### 3. იდენტური ფაქტები

114. ის ფაქტი, რომ საჩივარი სხვა საჩივრის იდენტურია არ არის გამომრიცხველი გარემოება განაცხადის დაშვებულად ცნობისათვის, თუ წარმოდგენილი იქნება ახალი ინფორმაცია.

115. როდესაც განმცხადებელი წარმოადგენს ახალ ინფორმაციას, განაცხადი არ იქნება არსებითად წინა განაცხადის იდენტური. იხილეთ *Chappex v. Switzerland* (dec.) და *Patera v. the Czech Republic* (dec.) (სხვა საერთაშორისო ორგანოს წინაშე წარდგენილი საჩივრები დაუშვებლად იქნება ცნობილი, თუმცა, ახალი ინფორმაცია მოგვიანებით მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით გადალახავს დასაშვებობის სტადიას).

116. სხვა შემთხვევაში, განაცხადი დაუშვებლად იქნება ცნობილი (*Hokkanen v. Finland* (dec.); *Adesina v. France* (dec.); *Bernardet v. France* (dec.); *Gennari v. Italy* (dec.); და *Manuel v. Portugal* (dec.)).

## ე. განაცხადი, რომელიც უკვე წარდგენილია სხვა საერთაშორისო ორგანოში

### 35-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის ბ) პუნქტი – დასაშვებობის კრიტერიუმები

„2. სასამართლო არ განიხილავს 34-ე მუხლის საფუძველზე წარმოდგენილ განაცხადს, რომელიც...

ბ) არსებითად იგივეა და სასამართლოს მიერ უკვე განხილულია, ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა ინსტანციას და არ შეიცავს შესატყვის ახალ ინფორმაციას.“

117. წინამდებარე დებულების მიზანია თავიდან აიცილოს ერთსადამივე საკითხთან დაკავშირებული საერთაშორისო საქმისწარმოების სიმრავლე.

118. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის პირობები კუმულაციურია:

- განაცხადი არ უნდა იყოს არსებითად იგივე, რაც სხვა განაცხადია, ე.ი. ფაქტები, მხარეები და საჩივრები არ უნდა იყოს იდენტური (იხილეთ პუნქტი I.დ.), და

- განაცხადი არ უნდა იყოს წარსულში წარდგენილი საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა ორგანოში.

119. თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ საქმის არსებით ნაწილზე გამოტანილი გადაწყვეტილების არსებობის საფუძველზე 35-ე მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული პირობები დაკმაყოფილებულია, ის განაცხადი, რომელიც წარსულში სხვა საერთაშორისო ორგანოს მიერ უკვე იყო განხილული, დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი.

120. 35-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის (ბ) პუნქტის მოქმედების ფარგლებში მოქცევის მიზნით, საქმეში წარმოდგენილი უნდა იყოს მახასიათებლები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა აღნიშნული განაცხადი განხილული იქნას, როგორც ინდივიდუალური განაცხადი 34-ე მუხლის მიზნებისათვის.

### 1. საერთაშორისო ორგანოს ცნება

#### ა) ორგანოს უნდა ჰქონდეს საჯარო ბუნება

121. პარლამენტაშორისი კავშირის ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომელიც წარმოადგენს კერძო გაერთიანებას, არის არასამთავრობო ორგანიზაცია, იმის გათვალისწინებით, რომ კონვენციის 27-ე მუხლი (ამჟამად 35-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი) შეეხება სახელმწიფოთაშორის უწყებებსა და პროცედურებს (*Lukanov v. Bulgaria* (dec.)).

#### ბ) ორგანო უნდა იყოს საერთაშორისო

122. ბოსნია-ჰერცეგოვინის ადამიანის უფლებათა პალატა არ წარმოადგენს საერთაშორისო ორგანოს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩამოყალიბებულია საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე და მისი რანდენიმე წევრი არის საერთაშორისო წევრი (*Jeličić v. Bosnia and Herzegovina* (dec.)).

#### გ) ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი

123. მაგალითად შეიძლება დასახელდეს გაეროს სამუშაო ჯგუფი თვითნებური დაკავების საკითხებზე, ვინაიდან ის შედგება ცნობილი დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან ადამიანის უფლებების სფეროში (*Peraldi v. France* (dec.)).

124. თუმცა, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის “1503 პროცედურა” წარმოადგენს მთავრობათაშორის უწყებას, რომელიც შედგება სახელმწიფოების წარმომადგენლებისგან. აღნიშნული არ ითვლება “საერთაშორისო გამოძიების სხვა ორგანოდ” (*Mikolenko v. Estonia* (dec.)).

#### დ) პროცედურა უნდა იყოს სასამართლო

125. განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს სასამართლო ან კვაზი-სასამართლო ორგანოში (*Zagaria v. Italy* (dec.)).

126. წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), რომელსაც აკისრია პრევენციული როლი, არ წარმოადგენს ამგვარ უწყებას. ზემოაღნიშნული უწყების მიერ მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალურია. ფიზიკურ პირებს არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ პროცედურაში ან შეიტყონ კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე მანამ, სანამ აღნიშნული გადაწყვეტილება არ იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი (*Zagaria v. Italy* (dec.); *Annunziata v. Italy* (dec.); *Genovese v. Italy* (dec.); და *Stolder v. Italy*, §§ 16-19).

### 2. საპროცესო გარანტიები

#### ა) შეჯიბრებითი საქმისწარმოება

127. პირები, რომლებიც წარადგენენ შეტყობინებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის წინაშე 1503-ე პროცედურის შესაბამისად, არ არიან უფლებამოსილი მონაწილეობა მიიღონ პროცედურაში, რადგან იგი კონფიდენციალურია. მათ არ ეცნობებათ იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა გატარებული იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული განხორციელება საჯაროდ. შესაბამისად, ამგვარი პროცედურა არ შეიძლება მიხნეულ იქნას სხვა ორგანოდ 34-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური განაცხადის კონტექსტში (*Celniku v. Greece*, §§39-41).

### ბ) სასამართლო ორგანოსათვის დაკისრებული მოთხოვნები

128. შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, უნდა მოხეს მისი მხარეებისთვის მიწოდება და გამოქვეყნება (*Peraldi v. France* (dec.)).

### 3. ორგანოს როლი

129. პრევენციული როლის მქონე უწყება ვერ განიხილება საერთაშორისო ორგანოდ (*Zagaria v. Italy* (dec.); *De Pace v. Italy*; ან *Gallo v. Italy* (dec.) (CPT-ს შესახებ). უფრო მეტიც, აღნიშნული უწყების მიერ შეგროვებული ინფორმაცია კონფიდენციალურია; ცალკეულ პირებს არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საქმისწარმოებაში, ან შეიტყონ ამ უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე მანამ, სანამ აღნიშნული გადაწყვეტილება არ იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი.

130. იგივე ვრცელდება საქმის საერთო ვითარების შემსწავლელ ორგანოზე (*Mikolenko v. Estonia* (dec.)), ან სპეციალურად დანიშნულ მომხსენებელზე, რომელმაც უნდა მოამზადოს მოხსენება დაკავებულთა უფლებების თაობაზე (*Yağmurdereli v. Turkey* (dec.)).

ფიზიკური პირების მიერ ევროკომისიაში საჩივრის შეტანა იმ კანონმდებლობასთან ან პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება წევრ სახელმწიფოს არ წარმოადგენს საერთაშორისო გამოძიების თუ მოგვარების პროცედურას. იგი ანიჭებს კომისიას განახორციელოს “დარღვევასთან დაკავშირებული საქმისწარმოება” ან “დავის წინარე საქმისწარმოება”, რომლის ერთადერთი მიზანია უზრუნველყოს ევროკავშირის სამართლის დაცვა წევრი ქვეყნების მიერ, ან ევროკავშირის სამართლის დარღვევის საპასუხოდ განახორციელოს ქმედება, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენს ინდივიდუალური საკითხის მოგვარება. ასეთი ხასიათის საჩივარი შეუძლებელია განხილულ იქნას კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური განაცხადის მსგავსად, როგორც პროცესუალური, ისე განაცხადის პოტენციური შედეგების თვალსაზრისით. შესაბამისად, კომისიის პროცედურა ვერ იქნება მიხნეული “საერთაშორისო გამოძიებად ან მოგვარებად” (*Karoussiotis v. Portugal*, §§ 62-77).

### ა) პროცედურა უნდა იძლეოდეს პასუხისმგებლობის განსაზღვრის შესაძლებლობას

131. ამგვარი შემთხვევა სახეზე არ გვაქვს:

- კვიპროსში დაკარგულ პირთა კომიტეტის შემთხვევაში, ვინაიდან თურქეთი არ წარმოადგენს კომიტეტში არსებული პროცედურების მონაწილე მხარეს და კომიტეტი ვერ ახორციელებს პასუხისმგებლობის შერაცხვას დაკარგულ პირთა გარდაცვალებისათვის (*Varnava and Others v. Turkey* (dec.));
- იძულებითი ან არანებაყოფლობითი გაუჩინარების საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა სამუშაო ჯგუფის შემთხვევაში, ვინაიდან იგი ვერ მოახდენს პასუხისმგებლობის დაკისრებას დაკარგულ პირთა გარდაცვალების ფაქტებზე ან გააკეთებს დასკვნებს მათი საქმეების შესახებ (*Malsagova and Others v. Russia* (dec.)).

132. თვითნებური დაკავების სამუშაო ჯგუფი, რომლის რეკომენდაციის თანახმადაც სახელმწიფო პასუხისმგებლობა შესაძლოა გამოყენებული იქნას თვითნებური დაკავების საქმეებთან მიმართებაში, შესაძლოა განხილული იქნას, როგორც საერთაშორისო გამოძიების ორგანო (*Peraldi v. France* (dec.)).

### ბ) მიზანი უნდა იყოს დარღვევის აღკვეთა

133. თვითნებური დაკავების სამუშაო ჯგუფის მიერ მთვარობებისათვის გაგზავნილი რეკომენდაციების მიზანია გასაჩივრებული ვითარების აღკვეთა (*Peraldi v. France* (dec.); *Illi and Others v. Belgium* (dec.)).

134. დარღვევის მსხვერპლს უნდა შეეძლოს დარღვეული უფლების აღდგენა. აღნიშნული არ შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების კომისიის (*Mikolenko v. Estonia* (dec.)) ან იძულებით გაუჩინარების ჯგუფის (*Malsagova and Others v. Russia* (dec.)) კომპეტენციაში.

### გ) პროცედურის ეფექტურობა

135. გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს: წამების საწინააღმდეგო კომიტეტში (CPT), ცალკეულ პირებს არ აქვთ უფლება შეიტყონ მიღებული რეკომენდაციების თაობაზე მანამ, სანამ აღნიშნული გადაწყვეტილება არ იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი (*Zagaria v. Italy* (dec.); *De Pace v. Italy*).

136. თვითნებურ დაკავებაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამუშაო ჯგუფის პროცედურის თანახმად, დასკვნა, რეკომენდაციებთან ერთად, რომელიც ეგზავნება მთავრობებს, შესაძლებელია თან დაერთოს წლიურ ანგარიშს ადამიანის უფლებათა კომისიაში, რომელიც შემდგომ წარადგენს რეკომენდაციას გაეროს გენერალურ ასამბლეაში. მისი პოტენციურ შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული პროცედურა შესაძლებელია მიჩნეულ იქნას როგორც ინდივიდუალური განაცხადი (*Peraldi v. France* (dec.)).

137. “სხვა საერთაშორისო ორგანოებად” განიხილებიან:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი (*Calcerrada Fornieles and Cabeza Mato v. Spain* (dec.); *Pauger v. Austria* (dec.); *C.W. v. Finland* (dec.));
- შეკრების თავისუფლების კომიტეტი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში (*Cereceda Martín and Others v. Spain* (dec.));
- გაეროს სამუშაო ჯგუფი თვითნებური დაკავების შესახებ (*Peraldi v. France* (dec.)).

## დ. განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენება

### 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის ა) პუნქტი – დასაშვებობის კრიტერიუმები

“3. სასამართლო დაუშვებლად ცნობს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადს, თუ ის მიიჩნევს, რომ:  
(ა) განაცხადი შეუთავსებელია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად უსაფუძვლოა ან წარმოადგენს განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებას...”

### 1. ზოგადი განსაზღვრება

138. “ბოროტად გამოყენების” ცნება 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის მიზნებისათვის გაგებულ უნდა იქნას სამართლის ზოგად თეორიაში დამკვიდრებული ჩვეულებრივი მნიშვნელობით. კერძოდ, აღნიშნული წარმოადგენს უფლების საზიანოდ გამოყენებას, არა იმ მიზნებისთვის, რისთვისაც იგი არის განკუთვნილი. შესაბამისად, განმცხადებლის ნებისმიერი ქცევა, რომელიც კონვენციით განსაზღვრული ინდივიდუალური განაცხადის წარდგენის უფლების მიზანს აშკარად ეწინააღმდეგება და ხელს უშლის სასამართლოს ჯეროვან ფუნქციონირებას ან სასამართლო პროცესების ჯეროვნად წარმართვას, წარმოადგენს განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტს (*Miroļubovs and Others v. Latvia*, §§62 და 65).

139. ტექნიკური თვალსაზრისით, 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფიდან გამომდინარე ნათელია, რომ განაცხადის უფლების ბოროტად გამოყენებით წარდგენილი განაცხადი დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი და არა ამოირიცხოს საქმეთა ნუსხიდან. უდავოა, რომ სასამართლომ აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ განაცხადის უარყოფა განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენების გამო გამონაკლის ზომას წარმოადგენს (*Miroļubovs and Others v. Latvia*, §62). ის საქმეები, რომლებშიც სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენება, შეიძლება ხუთ ტიპურ კატეგორიად დაიყოს: შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდება, შეურაცხყოფელი სიტყვების გამოყენება, მეგობრული გზით მოგვარების პროცესის კონფიდენციალურობის შენახვის ვალდებულების დარღვევა; განაცხადი, რომელიც აშკარად მოკლებულია რეალურ მიზანს და ყველა სხვა შემთხვევა, რომელთა ამომწურავად ჩამოთვლა შეუძლებელია.

### 2. სასამართლოს შეცდომაში შეყვანა

140. განაცხადი წარმოადგენს განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებას, თუკი იგი გაცნობიერებულად ეყრდნობა არასწორ ფაქტებს, რათა შეცდომაში შეიყვანოს სასამართლო (*Varbanov v. Bulgaria*, § 36). პირველ რიგში, ამგვარი დარღვევის ყველაზე მძიმე და აშკარა მაგალითს წარმოადგენს განაცხადის შეტანა ყალბი პირადი მონაცემების საფუძველზე (*Drijfhout v. the Netherlands* (dec.), §§27-29), და სასამართლოსათვის გაყალბებული

დოკუმენტაციის გაგზავნა (*Jian v. Romania* (dec.); *Bagheri and Maliki v. the Netherlands* (dec.); და *Poznanski and Others v. Germany* (dec.)). განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებას, შესაძლოა, უმოქმედობის შემთხვევაშიც ჰქონდეს ადგილი, როდესაც განმცხადებელი დასაწყისშივე არ ატყობინებს სასამართლოს საქმის განხილვისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტორის თაობაზე (*Al-Nashif v. Bulgaria*, §89 და *Kerechashvili v. Georgia* (dec)). ამგვარად, თუ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდა ახალ მნიშვნელოვან მოვლენას და თუკი, რეგლამენტით მასზე მკაცრად დაკისრებული ვალდებულების მიუხედავად, განმცხადებელი არ აწვდის სასამართლოს აღნიშნულ ინფორმაციას, და შესაბამისად, ხელს უშლის ფაქტების სრულყოფილი ცოდნის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებაში, მისი განაცხადი შესაძლებელია დაუშვებლად იქნას ცნობილი განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენების გამო (*Hadrabová and Others v. the Czech Republic* (dec.), და *Predescu v. Romania*, §§ 25-27).

141. სასამართლოს შეცდომაში შეყვანის განზრახვა ყოველთვის საკმარისად ცხადი უნდა იყოს (*Melnik v. Ukraine*, §§58-60; *Nold v. Germany*, §87; და *Miszczynski v. Poland* (dec.)).

### 3. შეურაცხყოფელი ენა

142. განაცხადის წარდგენის უფლება ბოროტად იქნება გამოყენებული, თუ განაცხადის შემტანი პირი, თავის კორესპონდენციაში სასამართლოსთან, გამოიყენებს ძალიან გამაღიზიანებელ, შეურაცხყოფელ, მუქარის ან პროვოკაციის შემცველ ენას, როგორც მოპასუხე მთავრობის, მისი წარმომადგენლის, მოპასუხე სახელმწიფოს უფლებამოსილი პირების, თავად სასამართლოს, მისი მოსამართლეების თუ სამდივნოს, ასევე მათი წევრების წინააღმდეგ (*Řehák v. the Czech Republic* (dec.); *Duringer and Grunje v. France* (dec.); და *Stamoulakatos v. the United Kingdom* (dec.)).

143. შეურაცხყოფად დაკვალიფიცირებისათვის საკმარისი არ არის განაცხადის შემტანი პირის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია იყოს პოლემიკური ან სარკასტული; იგი უნდა აღემატებოდეს “ნორმალურ, სამოქალაქო და სამართლიანი კრიტიკის საზღვრებს” (*Di Salvo v. Italy* (dec.); ამის საპირისპიროდ, იხილეთ *Aleksanyan v. Russia*, §§ 116-18). იმ შემთხვევაში, თუ სამართალწარმოების პროცესში განაცხადის შემტანი პირი შეწყვეტს შეურაცხყოფელი შენიშვნების გამოყენებას, სასამართლოს მიერ მისი ფორმალურად გაფრთხილების შემდეგ, ამგვარ ტერმინოლოგიაზე უარის თქმის, ან, უფრო მეტიც, ბოდიშის მოხდის საფუძველზე, განაცხადი აღარ ჩაითვლება განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებად (*Chernitsyn v. Russia*, §§25-28).

### 4. მეგობრული მორიგების პროცედურის კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევა

144. განაცხადის შემტანი პირის მიერ კონვენციის 38-ე მუხლის მე-2 პარაგრაფითა და სასამართლოს რეგლამენტის 62-ე წესის მე-2 პარაგრაფით მხარეებზე დაკისრებული მეგობრული მორიგების კონფიდენციალურობის ვალდებულების განზრახ დარღვევა მიჩნეული იქნება განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებად და გამოიწვევს განაცხადის დაუშვებლად

ცნობას (*Miroļubovs and Others v. Latvia*, § 66; *Hadrabová and Others v. the Czech Republic* (dec.); და *Popov v. Moldova*, § 48).

145. იმის დასადგენად, დაარღვია თუ არა განაცხადის შემტანმა პირმა კონფიდენციალურობის ვალდებულება, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს ასეთი ვალდებულების ზღვარი. აღნიშნულის ინტერპრეტაცია ყოველთვის უნდა მოხდეს კონფიდენციალურობის ზოგადი მიზნის ფარგლებში, რაც წარმოადგენს მეგობრული მორიგების ხელშეწყობას შესაძლო ზეწოლისაგან მხარეებისა და სასამართლოს დაცვის გზით. შესაბამისად, ის ფაქტორი, რომ მეგობრულ მორიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების შინაარსის შეტყობინება მესამე მხარისათვის, თეორიულად, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის ფარგლებში, განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებას შეიძლება წარმოადგენდეს, არ გულისხმობს იმას, რომ მესამე მხარისთვის ასეთი დოკუმენტის ჩვენებაზე ან მასთან ასეთ დოკუმენტებზე საუბარზე აბსოლუტური და უპირობო აკრძალვა ვცეკლდება. ასეთი ფართო და მკაცრი ინტერპრეტაცია რისკის ქვეშ დააყენებს განაცხადის შემტანი პირის კანონიერი ინტერესების დაცვას – მაგალითად, როდესაც პიროვნება ეძებს ერთჯერად ინფორმირებულ რჩევას იმ შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელზეც ის არის უფლებამოსილი წარსდგეს სასამართლოს წინაშე. უფრო მეტიც, სასამართლოსთვის იქნება რთული, შეუძლებელი თუ არა, თვალყური ადევნოს ასეთ აკრძალვასთან შესაბამისობას. კონვენციის 38-ე მუხლის მე-2 პარაგრაფითა და სასამართლოს რეგლამენტის 62-ე მუხლის მე-2 პარაგრაფით მხარეებს ეკრძალებათ განსახილველი ინფორმაციის გამოქვეყნება, მაგალითად მედიის საშუალებით, კორესპონდენციაში, რომელიც ხელმისაწვდომია ხალხის ფართო ნაწილისთვის ან სხვა გზებით (*Miroļubovs and Others v. Latvia*, §68). ამგვარი მოქმედება, თუ საკითხი განსაკუთრებულად სერიოზულია, არის განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენება.

146. იმისათვის, რომ განაცხადის წარდგენა მიხნეულ იქნას აღნიშნული უფლების ბოროტად გამოყენებად, კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელება წინასწარ უნდა იყოს განზრახული. გავრცელებასთან დაკავშირებით განაცხადის შემტანი პირის პირდაპირი პასუხისმგებლობა ყოველთვის დაფუძნებული უნდა იყოს საკმარის მტკიცებულებებზე; მხოლოდ ეჭვი არ არის საკმარისი (*Miroļubovs and Others v. Latvia*, §66). აღნიშნული პრინციპით განაცხადის წარდგენის კონკრეტული მაგალითისთვის, იხილეთ, საქმე, რომელშიც განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი: *Hadrabová and Others v. the Czech Republic* (dec.). ამ საქმეში განაცხადის შემტანმა პირებმა განზრახ მოახდინეს ციტირება მეგობრული მორიგების წინადადებებისა, რომელიც ფორმულირებული იყო სასამართლოს სამდივნოს მიერ მათი ქვეყნის იუსტიციის სამინისტროსთან მიმოწერაში, რის გამოც განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენების საფუძველზე. მაგალითისთვის, სადაც განაცხადი დაშვებულად იქნა ცნობილი, იხილეთ *Miroļubovs and Others v. Latvia*, რომელშიც დანამდვილებით არ იყო დადგენილი, რომ სამივე განმცხადებელი პასუხისმგებელი იყო კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებაზე, შედეგად კი სასამართლომ უარყო ხელისუფლების წინასწარი პრეტენზია.

## 5. აშკარად შეურაცხყოფელი ან რეალურ მიზანს მოკლებული განაცხადი

147. განმცხადებელი ბოროტად იყენებს განაცხადის წარდგენის უფლებას, თუ სასამართლოში განმეორებით წარადგენს შეურაცხყოფელ და აშკარად დაუსაბუთებელ განაცხადს, რაც არის იმ განაცხადის ანალოგი, რომელიც მან შეიტანა წარსულში და რომელიც უკვე დაუშვებლად იქნა ცნობილი (*M. v. the United Kingdom* (dec.), და *Philis v. Greece* (dec.)).

148. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენება, თუ განაცხადი ნათლად მოკლებულია რეალურ მიზანს და/ან დაკავშირებულია ფულადი სახსრების საკმაოდ მცირე რაოდენობასთან. საქმეზე *Bock v. Germany* (dec.) განმცხადებელმა გაასაჩივრა სამოქალაქო სამართალწარმოების ხანგრძლივობა, რომელიც მან დაიწყო ექიმის მიერ დიეტური დანამატის გამოწერის ღირებულების, კერძოდ 7.99 ევროს ანაზღაურების მიზნით. სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი გადატვირთული იყო დიდი ოდენობით მიმდინარე განაცხადებით, რომლებიც დაკავშირებული იყო ადამიანის უფლებების სერიოზულ საკითხებთან და რომ არსებობდა არათანაზომიერება ფაქტების უმნიშვნელობასა და კონვენციის მიერ დაწესებული დაცვის სისტემების გამოყენებას შორის, განაცხადი დაკავშირებული იყო უმნიშვნელო თანხასთან (მაშინაც კი, როდესაც მოხდა განმცხადებლის ხელფასთან შედარება) და ფაქტთან, რომ პროცესი ეხებოდა არა ფარმაცევტულ პროდუქტს, არამედ დიეტურ დანამატს. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ ასეთი პროცესები ხელს უწყობდნენ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე სასამართლოების გადატვირთულობას, რაც წარმოადგენს სამართალწარმოების მეტისმეტად გაჭიანურების ერთ-ერთ მიზეზს. სწორედ ამიტომ, განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი მისი წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენების საფუძველით. 2010 წლის 1 ივნისს, მე-14 დამატებითი ოქმის ძალაში შესვლის მომენტიდან სასამართლო უფრო ადვილად წყვეტს მსგავსი ტიპის განაცხადების საკითხს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის ბ) პუნქტის შესაბამისად (უმნიშვნელო ზიანი).

## 6. სხვა შემთხვევები

149. ზოგჯერ სასამართლოს განჩინებები და გადაწყვეტილებები, და მიმდინარე საქმეები, წევრ სახელმწიფოებში ეროვნულ დონეზე პოლიტიკური გამოსვლების მიზნებისათვის გამოიყენება. განაცხადი, რომელიც მიზნად ისახავს პოპულარიზაციას ან პროპაგანდას, მხოლოდ ამ მიზეზის გამო ვერ ჩაითვლება განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებად (*McFeeley and Others v. the United Kingdom* (dec.), ასევე *Khadzhaliyev and Others v. Russia*, §§66-67). თუმცა, შესაძლებელია უფლების ბოროტად გამოყენებად იქნას მიჩნეული ისეთი შემთხვევა, როდესაც განმცხადებელი, რომელიც მოტივირებულია პოლიტიკური ინტერესებით, მისცემს ინტერვიუს პრესას ან ტელევიზიას, რომელშიც გამოხატავს სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების მიმართ უპასუხისმგებლო და არასერიოზული დამოკიდებულებას (*Georgian Labour Party v. Georgia*).

## 7. მოპასუხე მთავრობის მიერ გამოსაყენებელი მიდგომა

150. თუ მოპასუხე მთავრობა მიიჩნევს, რომ განმცხადებელი ბოროტად იყენებს განაცხადის წარდგენის უფლებას, მაშინ მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ეს გარემოება სასამართლოს და მისი ყურადღება მიაპყროს შესაბამის ინფორმაციაზე, რათა სასამართლომ შეძლოს სათანადო დასკვნების გამოტანა. სასამართლოს, და არა მოპასუხე მთავრობის, პრეროგატივაა მონიტორინგი გაუწიოს განმცხადებლის მიერ კონვენციითა და სასამართლოს რეგლამენტით დაკისრებული პროცესუალური ვალდებულებების შესრულებას. თუმცა, ხელისუფლების ან მისი ორგანოების მხრიდან განმცხადებლის მიმართ სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინური დევნის აღძვრის მუქარამ იმის გამო, რომ მათ სავარაუდოდ დაარღვიეს სასამართლოს მიერ დაკისრებული პროცესუალური ვალდებულებები, შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები კონვენციის 34-ე მუხლის ჭრილში, რომელიც კრძალავს ნებისმიერ ჩარევას ინდივიდუალური განაცხადის უფლების ეფექტურ განხორციელებაში (*Miroļubovs and Others v. Latvia*, §70).

## II. ბანაცხადის დაუშვებლად ცნობის საფუძვლები, რომლებიც უკავშირდება სასამართლოს იურისდიქციას

### ა) *ratione personae* პრინციპთან შეუსაბამობა

#### 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის ა) პუნქტი – დასაშვებობის კრიტერიუმები

„3. სასამართლო დაუშვებლად ცნობს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადს, თუ ის მიიჩნევს, რომ:

ა) განაცხადი შეუთავსებელია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან “

#### 32-ე მუხლი – სასამართლოს იურისდიქცია

“1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომელიც მას გადაეცემა 33-ე, 34-ე, 46-ე და 47-ე მუხლების შესაბამისად.

2. იურისდიქციასთან დაკავშირებულ ყოველგვარ სადავო საკითხს თავად სასამართლო წაჰყავს.”

### 1. პრინციპები

151. *ratione personae* პრინციპთან შეუსაბამისობა მოითხოვს, რომ კონვენციის სავარაუდო დარღვევა ჩადენილი იყოს წევრი სახელმწიფოს მიერ ან რაიმე სახით შეერაცხებოდეს მას.

152. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოპასუხე მთავრობამ არ გამოთქვა პრეტენზია სასამართლოს *ratione personae* იურისდიქციაზე, სასამართლომ აღნიშნული საკითხი თავისი ინიციატივით უნდა განიხილოს (*Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina* [GC], §27).

153. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცული ძირითადი უფლებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ პირებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, აღნიშნული სახელმწიფო შემდგომში დაიშლება თუ გახდება სხვა სახელმწიფოს სამართალმემკვიდრე (*Bijelić v. Montenegro and Serbia*, §69).

154. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანია ქვეყნისგან უნდა სარგებლობდეს საკმარისი ინსტიტუციონალური და ოპერაციული დამოუკიდებლობით, რათა ეს უკანასკნელი გათავისუფლებული იყოს კონვენციით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან კომპანიის ქმედებებისა და უმოქმედობისათვის (*Mykhaylenky and Others v. Ukraine*, §§ 43-45, და *Cooperativa Agricola Slobozia-Hanesei v. Moldova*, §19).

155. განაცხადები ცნობილ იქნება კონვენციასთან *ratione personae* შეუთავსებლად შემდეგი საფუძვლებით:

- თუ განმცხადებელს არ აქვს განაცხადის წარდგენის უფლება კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად (*Municipal Section of Antilly v. France* (dec.); *Döşemealtı Belediyesi v. Turkey* (dec.); და *Moretti and Benedetti v. Italy*);

- თუ განმცხადებელს არ შეუძლია იმის დამტკიცება, რომ ის არის სავარაუდო დარღვევის მსხვერპლი;

- თუ განაცხადი შეტანილია ფიზიკური პირის წინააღმდეგ (*X v. the United Kingdom* (dec.); და *Durini v. Italy* (dec.));

- თუ განაცხადი შეტანილია სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც კონვენციის რატიფიკაცია არ განუხორციელებია (*E.S. v. Federal Republic of Germany* (dec.)), ან უშუალოდ იმ საერთაშორისო ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელიც არ შეერთებია კონვენციას (*Stephens v. Cyprus, Turkey and the United Nations* (dec.), ბოლო პარაგრაფი);

- თუ საჩივარი მოიცავს კონვენციის დამატებით ოქმს, რომელიც მოპასუხე სახელმწიფოს მიერ არ არის რატიფიცირებული (*Horsham v. the United Kingdom* (dec.); და *De Saedeleer v. Belgium*, § 68).

## 2. იურისდიქცია

156. *ratione loci* იურისდიქციის არარსებობის დადგენის შემთხვევაში, სასამართლო არ თავისუფლდება მოვალეობისაგან შეამოწმოს, ექცევა თუ არა განმცხადებელი ერთი ან მეტი წევრი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებისათვის (*Drozd and Janousek v. France and Spain*, § 90). შესაბამისად, პრეტენზიები, რომ განმცხადებლები არ არიან მოპასუხე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ, როგორც წესი, წარმოიქმნება მოთხოვნების სახით, რომ განაცხადი არის კონვენციასთან შეუსაბამო *ratione personae* (მოპასუხე მთავრობების სამთავრობო მიმოხილვები იხილეთ *Banković and Others v. Belgium and 16 Other Contracting States* (dec.) [GC], §35; *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* [GC], § 300; და *Weber and Saravia v. Germany* (dec.)).

157. *ratione personae* შესაბამისობა კონვენციასთან დამატებით მოითხოვს სავარაუდო დარღვევის შერაცხვას წევრი სახელმწიფოსათვის (*Gentilhomme, Schaff-Benhadj and Zerouki v. France*, § 20). თუმცა, უახლეს საქმეებში განხილულ იქნა შერაცხადობის/პასუხისმგებლობის საკითხები *ratione personae* შესაბამისობაზე აშკარა მითითების გარეშე (*Assanidze v. Georgia* [GC], §§ 144 et seq.; *Hussein v. Albania and 20 Other Contracting States* (dec.); *Isaak and Others v. Turkey* (dec.); და *Stephens v. Malta (no. 1)*, § 45).

## 3. პასუხისმგებლობა და შერაცხადობა

158. სახელმწიფოები, პასუხს აგებენ მათი თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ განხორციელებულ იმ ქმედებებზე, რომელთა შედეგად დგება ტერიტორიის ფარგლებს გარეთ (*Drozdz and Janousek v. France and Spain*, § 91; *Soering v. the United Kingdom*, §§ 86 და 91; და *Loizidou v. Turkey* (წინასწარი პრეტენზიები), § 62). თუმცა, აღნიშნული ხდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (*Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* [GC], § 314, და *Banković and Others v. Belgium and 16 Other Contracting States* (dec.) [GC], § 71), კერძოდ, თუ წევრი სახელმწიფო ფლობს ეფექტურ კონტროლს რეგიონზე ან აქვს, სულ მცირე, გადამწყვეტი ზეგავლენა მასზე (*Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* [GC], §§314-16 და 392; *Medvedyev and Others v. France* [GC], §§63-64; “ზოგადი კონტროლის” ცნებისათვის იხილეთ *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* [GC], §§ 315-16; იხილეთ აგრეთვე *Banković and Others v. Belgium and 16 Other Contracting States* [GC] (dec.), §§67 და ა.შ., და §§79-82; *Cyprus v. Turkey* [GC], §§ 75-81; *Loizidou v. Turkey* (წინასწარი პრეტენზიები) §52; და *Markovic and Others v. Italy* [GC], §54).

159. სახელმწიფო პასუხისმგებელი იქნება იმ პირების კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევაზე, რომლებიც იმყოფებიან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ არიან პირველი სახელმწიფოს უფლებამოსილებისა და კონტროლის ქვეშ, მისი წარმომადგენლების მიერ მეორე ქვეყანაში განხორციელებული კანონიერი თუ უკანონო ქმედებების შედეგად (*Issa and Others v. Turkey*, § 71; *Sánchez Ramirez v. France* (dec.); *Öcalan v. Turkey* [GC], § 91; და *Medvedyev and Others v. France* [GC], §§66-67).

იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა გაეროს ბუფერულ ზონაში, იხილეთ *Isaak and Others v. Turkey* (dec.).

160. განაცხადები ტერიტორიებიდან, რომლებიც მართალია სამართლებრივად წევრი სახელმწიფოს იურისდიქციას ექვემდებარებიან, მაგრამ არ არიან აღნიშნული ქვეყნის ეფექტური ხელისუფლების/კონტროლის ქვეშ, შეიძლება ჩაითვალოს კონვენციის დებულებებთან შეუთავსებლად (*An and Others v. Cyprus* (dec.)), თუმცა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სახელმწიფოს კონვენციით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები (*Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* [GC], §§312-13, §§ 333 და ა.შ.). აგრეთვე, იხილეთ *Stephens v. Cyprus, Turkey and the United Nations* (dec.).

161. პრინციპიდან, რომლის თანახმადაც ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე პირის ფიზიკური ყოფნა მას აქცევს აღნიშნული ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ, არსებობს გამონაკლისები. მაგალითად, როდესაც სახელმწიფოში განთავსებულია იმ საერთაშორისო ორგანიზაციის სათაო ოფისი, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განმცხადებლის საჩივრები. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალს ადგილსამყოფელი და შენობა ნიდერლანდებში აქვს, არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ამ ქვეყანას შეერაცხოს საერთაშორისო ტრიბუნალის მხრიდან განმცხადებლის მიმართ მსჯავრის დადებასთან დაკავშირებული სავარაუდო ქმედება თუ უმოქმედობა (*Galić v. the Netherlands* (dec.), და *Blagojević v. the Netherlands* (dec.)). მოპასუხე სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის მუდმივი ადგილსამყოფელის ქვეყნის, წინააღმდეგ მიმართული განაცხადისათვის, იხილეთ *Lopez Cifuentes v. Spain* (dec.), §§25-26. მოპასუხე სახელმწიფოს ტერიტორიაზე საერთაშორისო

სამოქალაქო მმართველობაზე თანხმობის გამოხატვისათვის, იხილეთ *Berić and Others v. Bosnia and Herzegovina* (dec.), §30.

162. სხვა სახელმწიფოში ამა თუ იმ ქვეყნის წინააღმდეგ აღძრულ სამართალწარმოებაში აღნიშნული ქვეყნის უბრალო მონაწილეობა არ წარმოადგენს ექსტრატერიტორიული იურისდიქციის განხორციელებას (*McElhinney v. Ireland and the United Kingdom* (dec.) [GC]; *Treska v. Albania and Italy* (dec.); და *Manoilescu and Dobrescu v. Romania and Russia* (dec.), §§ 99-111).

163. მიუხედავად იმისა, რომ წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობა ფიზიკური პირების ქმედებებზე ტრადიციულად განიხილება *ratione personae* შესაბამისობის ჭრილში, იგი შეიძლება, ასევე, დამოკიდებული იყოს კონვენციაში გათვალისწინებული ინდივიდუალური უფლებების პირობებზე და ამ უფლებებთან დაკავშირებული პოზიტიური ვალდებულებების ხარისხზე (იხილეთ, მაგალითად, *Siliadin v. France*, §§ 77-81, და *Beganović v. Croatia*, §§ 69-71). სახელმწიფოს კონვენციით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ კერძო პირების ისეთი ქმედებებისადმი მდუმარე თანხმობის ან მხარდაჭერის გამოხატვის შედეგად, რომლებიც არღვევს სხვა პირების კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს მისი იურისდიქციის ფარგლებში (*Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* [GC], § 318).

164. სასამართლომ, ასევე განსაზღვრა პრინციპები, რომლებიც ეხება ექსტრატერიტორიულ პასუხისმგებლობას ექტრადიციის პროცედურის კონტექსტში განხორციელებული დაკავების და დაპატიმრებისათვის (*Stephens v. Malta* (no. 1), § 52).

4. კონვენციის წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც უკავშირდება მათ მოქმედებასა და უმოქმედობას და გამომდინარეობს სახელმწიფოს საერთაშორისო ორგანიზაციაში წევრობიდან

165. დაუშვებელია კონვენციის ინტერპრეტაცია იმგვარად, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი გახდეს ხელმშემკვრელი სახელმწიფოების ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით ან განხორციელებულია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვისკენ მიმართული ღონისძიებების დაწყებამდე ან მათი მიმდინარეობისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი მისიის განხორციელება დადგება საფრთხის ქვეშ. (*Behrami and Behrami v. rance and Saramati v. France, Germany and Norway* (dec.) [GC], §§146-52).

166. რაც შეეხება საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებებს, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მას არ აქვს *ratione personae* იურისდიქცია განიხილოს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალში (ICTY) მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული განაცხადები (*Galić v. the Netherlands* (dec.) და *Blagojević v. the Netherlands* (dec.)) ინფორმაცია ბოსნია-ჰერცეგოვინას უმაღლესი წარმომადგენლის (რომლის უფლებამოსილება განსაზღვრულია გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს რეზოლუციით) გადაწყვეტილებით საჯარო მოხელეების განთავისუფლების შესახებ, იხილეთ საქმეში *Berić and Others v. Bosnia and Herzegovina* (dec.), §§ 26 და ა.შ.

167. დაუშვებელია კონვენციით დაცული უფლების საგარაუდო დარღვევის ფაქტის სახელმწიფოსთვის შერაცხვა იმ საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ან გატარებული ზომის საფუძველზე, რომლის წევრიც არის აღნიშნული სახელმწიფო, როდესაც დადგენილი არ არის, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაცული ძირითადი უფლებები არ არის ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების “ექვივალენტური”, ან თუ აღნიშნული ქვეყნა პირდაპირ ან ირიბად არ იყო ჩართული სადავო ქმედების განხორციელებაში. (*Gasparini v. Italy and Belgium* (dec.)).

168. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მას არ აქვს *ratione personae* იურისდიქცია განიხილოს საჩივრები, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო ორგანიზაციის უფლებამოსილი ორგანოს მიერ შრომითი დავის კონტექსტში მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, რადგან აღნიშნული დავა მთლიანად ექვევს წევრი სახელმწიფოებისგან განცალკევებული იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციის შიდა საქმიანობის ფარგლებში, მაშინ როდესაც მოცემული სახელმწიფოები არც ერთ ეტაპზე არ ყოფილან ჩართულნი დავის პროცესში და მათ ქმედებას ან უმოქმედობას არ გამოუწვევია მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება კონვენციის საფუძველზე (*Boivin v. 34 Member States of the Council of Europe* (dec.) - ევროკონტროლთან ინდივიდუალური შრომითი დავის შესახებ; *Lopez Cifuentes v. Spain* (dec.) – დისციპლინური საქმისწარმოება ზეთის ხილის საერთაშორისო საბჭოს ფარგლებში, §§ 28-29; *Beygo v. 46 Member States of the Council of Europe* (dec.) – დისციპლინური საქმისწარმოება ევროპის საბჭოს ფარგლებში). ევროკომისიის მოხელის განთავისუფლებით გამოწვეული კონვენციის საგარაუდო დარღვევებისა და ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოსა და ევროპის უმაღლესი მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე სააპელაციო პროცედურის შესახებ, იხილეთ *Connolly v. 15 Member States of the European Union* (dec). ევროპის საპატენტო სამსახურის წინაშე საქმისწარმოების შესახებ ინფორმაციისთვის, იხილეთ *Rambus Inc. v. Germany* (dec.).

მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული დასკვნების შედარება სასამართლოს მსჯელობასთან, რომელიც ეხება საერთაშორისო ორგანიზაციის (რომელსაც წევრმა სახელმწიფოებმა გადასცეს საკუთარი სუვერენული უფლებამოსილების ნაწილი) შიდა მექანიზმის სტრუქტურულ ხარვეზებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს, როდესაც მხარეები დავობენ რომ ორგანიზაციის მიერ ძირითადი უფლებების დაცვა არ იყო კონვენციით გარანტირებული დაცვის “ექვივალენტური”. (*Gasparini v. Italy and Belgium* (dec.)).

169. სასამართლო ირჩევს სხვა მიდგომას იმ შემთხვევების მიმართ, სადაც მოპასუხე სახელმწიფო, პირდაპირ თუ ირიბად, მონაწილობას იღებს დავის პროცესში, რაც შესაბამისად იწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას: იხილეთ *Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland* [GC], §153, შესადარებლად იხილეთ - *Behrami and Behrami v. France and Saramati v. France, Germany and Norway* (dec.) [GC], §151), ასევე იხილეთ შემდეგი მაგალითები:

- გადაწყვეტილება განმცხადებლის ამომრჩევლად დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ ევროკავშირის ფარგლებში მიღებული ხელშეკრულებების საფუძველზე (*Matthews v. the United Kingdom*, [GC]);

- ევროკავშირის მიერ გამოცემული დირექტივის შესრულების ფარგლებში, საფრანგეთის კანონის გამოყენება განმცხადებლის წინააღმდეგ (*Cantoni v. France* [GC]);
- გერმანიის სასამართლოების ხელმისაწვდომობის უფლების უარყოფა (*Beer and Regan v. Germany* [GC] და *Waite and Kennedy v. Germany* [GC]);
- მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული კანონიერი ვალდებულებების შესაბამისად, მოპასუხე ქვეყნის ტერიტორიაზე ქონების კონსფისკაცია (*Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland*) (ევროკავშირის რეგულაცია, რომელიც შემუშავებული იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის გამოცემის შემდეგ - იხილეთ §§ 153-154);
- ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოში შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ წარდგენილი განცხადება (*Cooperatieve Producentenorganisatie van de Nederlandse Kokkelvisserij U.A. v. the Netherlands* (dec.)).

170. შესაბამისად, რაც შეეხება ევროკავშირს, მისი წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ ინდივიდუალურად მიმართული განაცხადები, მათ მიერ ევროკავშირის კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით, არ არის აუცილებელი ავტომატურად დაუშვებლად იქნას ცნობილი ზემოაღნიშნული საფუძველით (*Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland* §137; *Matthews v. the United Kingdom* [GC], §§26-35).

171. რაც შეეხება უშუალოდ ევროკავშირის დაწესებულებების (რომლებიც არ არიან კონვენციის წევრები) წინააღმდეგ მიმართულ განაცხადებს, მათი *ratione personae* დაუშვებლად გამოცხადებასთან დაკავშირებით არსებობს ძველი გადაწყვეტილებები (*Confédération française démocratique du travail v. the European Communities*, ალტერნატიულად: მათი წევრი ქვეყნები (ა) ერთობლივად და (ბ) განცალკევებით (dec.); და სხვა წყაროები მითითებული *Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland*, §152; უახლესი გადაწყვეტილება: *Cooperatieve Producentenorganisatie van de Nederlandse Kokkelvisserij U.A. v. the Netherlands* (dec.)).

აღნიშნული პოზიცია დაიკავა ასევე ევროპული პატენტის სამსახურმა (*Lenzing AG v. Germany* (dec.)).

172. კითხვასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა ქვეყნის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს თავისივე კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც თანდართულია საერთაშორისო ხელშეკრულებაზე, იხილეთ *Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina* [GC], §30.

## ბ. *Ratione loci* პრინციპთან შეუსაბამობა

### 35-ე მუხლი, მე-3 პარაგრაფი, ა) პუნქტი - დასაშვებობის კრიტერიუმები

“3. სასამართლო დაუშვებლად ცნობს 34-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადებს, თუ მიჩნევს რომ:

ა. განაცხადი შეუთავსებელია კონვენციის ან მისი ოქმების დებულებებთან.”

### 32-ე მუხლი – სასამართლოს იურისდიქცია

“1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომელიც მას გადაეცემა 33-ე, 34-ე, 45-ე და 47-ე მუხლების შესაბამისად.

2. სასამართლოს იურისდიქციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სადავო საკითხს თავად სასამართლო გადაწყვეტს.”

## 1. პრინციპები

173. *Ratione loci* პრინციპის თანახმად, კონვენციის სავარაუდო დარღვევას ადგილი უნდა ჰქონდეს მოპასუხე სახელმწიფოს იურისდიქციის ან იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელზეც სახელმწიფო ეფექტურ კონტროლს ახორციელებს (*Cyprus v. Turkey* [GC], §§75-81, და *Drozd and Janousek v. France and Spain*, §§84-90).

174. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ეფუძნება ხელშემკვრელი მხარის საზღვრებს გარეთ მომხდარ შემთხვევებს და არ არსებობს კავშირი ამ შემთხვევებსა და ხელშემკვრელი მხარის ხელისუფლებას შორის, განაცხადი დაუშვებლად იქნება ცნობილი *ratione loci* პრინციპთან შეუსაბამობის გამო.

175. თუ განაცხადი შეეხება **შემთხვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხელშემკვრელი მხარის საზღვრებს გარეთ**, მოპასუხე სახელმწიფო უფლებამოსილია გამოხატოს წინასწარი პრეტენზია და მოითხოვოს განაცხადის დაუშვებლად ცნობა (*Loizidou v. Turkey* (წინასწარი პრეტენზია), § 55, და *Rantsev v. Cyprus and Russia*, § 203). აღნიშნული პროტესტი განიხილება კონვენციის 1-ლი მუხლის შესაბამისად (1-ელ მუხლში გამოყენებულ ტერმინის “იურისდიქცია” არსის გასაგებად იხილეთ საქმე *Banković and Others v. Belgium and 16 Other Contracting States* (dec.), [GC] §75).

176. ზოგჯერ მოპასუხე სახელმწიფო პრეტენზიას აცხადებს იმის თაობაზე, რომ განაცხადი დაუშვებელია *ratione loci* პრინციპთან შეუსაბამობის გამო, რადგან საქმისწარმოების განმავლობაში განმცხადებელი იყო სხვა ხელშემკვრელი მხარის რეზიდენტი, თუმცა დავა წამოიწყო მოპასუხე სახელმწიფოში, ვინაიდან ამ უკანასკნელში მოქმედი მარეგულირებელი ნორმები მისთვის უფრო ხელსაყრელია. სასამართლო ასევე ამოწმებს ამგვარ განაცხადებს 1-ლ მუხლთან შესაბამისობის კუთხით (*Haas v. Switzerland* (dec.)).

177. უდავოა, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია საზღვარგარეთ მისი დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, *ratione loci* პრინციპთან შეუსაბამობის საკითხი არ დგას **დიპლომატიურ მისიებთან** (*X v. Federal Republic of Germany* (dec.), და *M. v. Denmark* (dec.), § 1 და გადაწყვეტილებებში მითითებული წყაროები) ან მოცემულ ქვეყანაში რეგისტრირებული, ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი გემებისა და **თვითმფრინავების** ბორტზე მომხდარ ქმედებებთან მიმართებაში (*Banković and Others v. Belgium and 16 Other Contracting States* (dec) (GC), §73).

178. და ბოლოს, კონრეტულ სახელმწიფოსთან მიმართებით ტერიტორიული იურისდიქციის არარსებობა არ ართმევს სასამართლოს უფლებამოსილებას შეამოწმოს აღნიშნული განაცხადი ხვდება თუ არა სხვა, ერთი ან მეტი, ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. (*Drozd and Janousek v. France and Spain* §90).

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროტესტი ამა თუ იმ განმცხადებლის მოპასუხე მხარის იურისდიქციაში არყოფნის შესახებ, ჩვეულებრივ განიხილება როგორც არგუმენტი კონვენციასთან *ratione personae* შეუთავსებლობის შესახებ (იხილეთ მოპასუხე მთავრობის პოზიცია, *Banković and Others v. Belgium and 16 Other Contracting States* (dec.) [GC], § 35; *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* [GC], § 300; და *Weber and Saravia v. Germany* (dec.)).

## 2. განსაკუთრებული შემთხვევები

179. რაც შეეხება განაცხადებს დაქვემდებარებული ტერიტორიების შესახებ, თუ ხელშემკვრელი მხარე 56-ე (ყოფილი 63-ე) მუხლის შესაბამისად არ გააკეთებს დეკლარაციას განაცხადში მითითებულ ტერიტორიაზე კონვენციის გავრცელების შესახებ, განაცხადი განიხილება როგორც კონვენციასთან შეუსაბამო *ratione loci* პრინციპის საფუძველზე (*Gillow v. the United Kingdom*, §§60-62; *Bui Van Thanh and Others v. the United Kingdom* (dec.); და *Yonghong v. Portugal* (dec.) და *Yonghong v. Portugal* (dec.)). განვრცობით, აღნიშნული აგრეთვე გამოიყენება კონვენციებთან და დამატებით ოქმებთან მიმართებაში (*Quark Fishing Limited v. the United Kingdom*).

ხელშემკვრელი მხარის მიერ 56-ე მუხლის შესაბამისად, დეკლარაციის გაკეთების შემთხვევაში, ტერიტორიული იურისდიქციის საკითხი არ წამოიჭრება (*Tyrer v. the United Kingdom*, § 23).

180. დაქვემდებარებული ტერიტორიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში, სახელმწიფოს დეკლარაცია ტერიტორიასთან მიმართებაში ავტომატურად უქმდება. შემდგომი განაცხადები მეტროპოლიტენი სახელმწიფოს წინააღმდეგ განიხილება როგორც კონვენციასთან *ratione personae* შეუთავსებელი. (*Church of X v. the United Kingdom* (dec.)).

181. იმ შემთხვევაში, როდესაც დაქვემდებარებული ტერიტორია ხდება ხელშემკვრელი სახელმწიფოს მეტროპოლიტური ტერიტორიის ნაწილი, კონვენცია ავტომატურად გამოიყენება ყოფილ დაქვემდებარებულ ტერიტორიასთან მიმართებაში (იხილეთ: *Hingitaj 53 and Others v. Denmark* (dec.)).

## გ. *Ratione temporis* პრინციპთან შეუსაბამობა

### 35-ე მუხლი, მე-3 პარაგრაფი, ა) ქვეპუნქტი – დასაშვებობის კრიტერიუმები

“3. სასამართლო დაუშვებლად ცნობს 34 მუხლის საფუძველზე წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადებს, თუ მიხნევს რომ:

ა. განაცხადი შეუთავსებელია კონვენციის ან მისი ოქმების დებულებებთან ”

### 32-ე მუხლი - სასამართლოს იურისდიქცია

“1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომელიც მას გადაეცემა 33-ე, 34-ე, 45-ე და 47-ე მუხლების შესაბამისად.

2. სასამართლოს იურისდიქციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სადავო საკითხს თავად სასამართლო გადაწვეტს.”

### 1. ზოგადი პრინციპები

182. საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმების თანახმად (ხელშეკრულებების უკუძალის არ ქონის პრინციპები) კონვენციის დებულებები არ წარმოშობს ვალდებულებას ხელშემკვრელი მხარისთვის იმ ქმედებების, ფაქტების გამო, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ან დასრულდა კონვენციის ძალაში შესვლის თარიღამდე. (*Blečić v. Croatia* [GC], § 70; *Šilih v. Slovenia* [GC], §140; და *Varnava and Others v. Turkey* [GC], §130).

183. იურისდიქცია *ratione temporis* მოიცავს მხოლოდ მოპასუხე მხარის მიერ კონვენციისა და დამატებითი ოქმების რატიფიკაციის შემდგომ პერიოდს. შესაბამისად, კონვენცია ხელშემკვრელ მხარეს არ აკისრებს ამ თარიღამდე მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და მდგომარეობის გამოსწორების ვალდებულებას. (*Kopecký v. Slovakia* [GC], § 38).

184. რატიფიკაციის თარიღის შემდგომ, ქვეყნის ყველა ქმედება უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში კონვენციასთან და დამატებით ოქმებთან. ასევე, კონვენციის რატიფიკაციის შემდგომ განხორციელებული ფაქტები შედის სასამართლოს იურისდიქციაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული წარმოადგენს რატიფიკაციამდე არსებული სიტუაციის გაგრძელებას (*Almeida Garrett, Mascarenhas Falcão and Others v. Portugal*, §43). ევროპულმა სასამართლომ შესაძლოა მხედველობაში მიიღოს ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიკაციამდე პერიოდში, თუ ითვლება რომ სწორედ აღნიშნული ფაქტი არის საწყისისი წერტილი კონვენციის რატიფიკაციის შემდგომ გაგრძელებული მდგომარეობისა ან ზოგადად მნიშვნელოვანია რატიფიკაციის თარიღის შემდგომ არსებული სიტუაციის ანალიზისთვის (*Hutten-Czapska v. Poland*, [GC], §§147-153).

185. ევროპული სასამართლო ვალდებულია განიხილოს *ratione temporis* იურისდიქციის საკითხი საკუთარი ინიციატივით და საქმის სასამართლოში განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, ვინაიდან აღნიშნული უფრო მეტად განეკუთვნება სასამართლოს იურისდიქციის სფეროს, ვიდრე დასაშვებობის საკითხს, ვიწრო გაგებით (*Blečić v. Croatia* [GC], § 67).

### 2. ზემოაღნიშნული პრინციპების პრაქტიკული გამოყენება

ა) საკვანძო თარიღი კონვენციის რატიფიკაციასა ან კონვენციის ორგანოების იურისდიქციის აღიარებასთან მიმართებაში

186. ევროპული სასამართლოსთვის *ratione temporis* იურისდიქციის განსაზღვრის მიზნებისათვის საკვანძო თარიღს წარმოადგენს კონვენციისა და დამატებითი ოქმების ძალაში შესვლის თარიღი მოცემულ სახელმწიფოსთან მიმართებაში (მაგალითისათვის იხილეთ *Šilih v. Slovenia* [GC], §164).

187. 1950 წლის კონვენციით, 25-ე მუხლის საფუძველზე ინდივიდუალური განაცხადების მიღებისა და 46-ე მუხლის საფუძველზე იურისდიქციის განსაზღვრის უფლებამოსილება, დამოკიდებული გახდა ხელშემკვრელი მხარის მიერ გაკეთებულ კონკრეტულ დეკლარაციებზე. აღნიშნულ

დეკლარაციები შესაძლოა გახდეს გარკვეული შეზღუდვის საგანი, კერძოდ, დეკლარაცია შესაძლებელია შეიზღუდოს დროის მიხედვით.

იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებმაც ამგვარი დეკლარაციები გააკეთეს მათ მიერ კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, ევროპულმა სასამართლომ და კომისიამ აღიარეს მათი იურისდიქციის შეზღუდვა დროის მიხედვით იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კონვენციის ძალაში შესვლის თარიღსა და შესაბამისი დეკლარაციის გაკეთების პერიოდს შორის. (*X v. Italy* (dec.), და *Stamoulakatos v. Greece* (no. 1), § 32).

188. სახელმწიფოს მიერ გაკეთებულ დეკლარაციაში ზემოაღნიშნული შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში (იხილეთ 1981 წლის 2 ოქტომბრის საფრანგეთის დეკლარაცია), კონვენციის ორგანოების პრაქტიკა აჩვენებს, რომ სახელმწიფოების მიერ იურისდიქციის აღიარებას შესაძლოა ჰქონდეს უკუქცევითი ძალა (*X v. France*, (dec.)).

ამგვარ დეკლარაციებში მითითებული შეზღუდვა დროის მიხედვით ძალაში რჩება კონვენციის N 11 დამატებითი ოქმის მე-6 მუხლის<sup>5</sup> შესაბამისად, 34-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ ინდივიდუალურ განაცხადებზე სასამართლოს იურისდიქციის განსაზღვრის მიზნისთვის (*Blečić v. Croatia* [GC], § 72). წინამორბედი სისტემის სრულად გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს იურისდიქციის გავრცელება იწყება სახელმწიფოს მიერ გაკეთებული დეკლარაციის მომენტიდან, რომელიც ახდენს 34-ე მუხლის საფუძველზე ინდივიდუალური განაცხადის კომისისათვის წარდგენის უფლების აღიარებას, მიუხედავად დეკლარაციის გაკეთებისა და სასამართლოს იურისდიქციის აღიარებას შორის არსებული დროის შუალედისა (*Cankoçak v. Turkey*, § 26; *Yorgiyadis v. Turkey*, § 24; და *Varnava and Others v. Turkey* [GC], §133).

## ბ) დეკლარაციის ძალაში შესვლამდე ან ძალაში შესვლის შემდგომ მომხდარი მყისიერი ფაქტები

189. სასამართლოს იურისდიქცია დროის მიხედვით უნდა განისაზღვროს იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომლებიც წარმოადგენს სავარაუდო ჩარევას უფლების დაცვის სფეროში. ამ მხრივ აუცილებელია, რომ ყოველი ცალკეულ საქმესთან მიმართებით განხორციელდეს უფლებაში სავარაუდო ჩარევის ზუსტი დროის განსაზღვრა. ამ დროს, სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ფაქტებს, ასევე კონვენციით გარანტირებული იმ უფლების ფარგლებს, რომელიც სავარაუდოდ იქნა დარღვეული (*Blečić v. Croatia* [GC], § 82, and *Varnava and Others v. Turkey* [GC], §131).

190. როდესაც სასამართლო ზემოთ მოცემულ ტესტს უსადაგებს საკვანძო თარიღამდე ან მის შემდეგ გამოტანილ სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებას, იგი ითვალისწინებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც თავისთავად საკმარისი იყო უფლების დარღვევის ფაქტის

<sup>5</sup> “მაღალი ხელშეკრული მხარის მიერ კონვენციის ყოფილი 25-ე ან 46-ე მუხლების საფუძველზე, კომისიის ან სასამართლოს კომპეტენციის აღიარების შესახებ დეკლარაციის გაკეთების შემთხვევაში იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიქმნა ამგვარი დეკლარაციის შედეგად ან ფაქტების საფუძველზე, რომელსაც ადგილი ჰქონდათ დეკლარაციის გაკეთების შემდეგ, შეზღუდვა სასამართლოს იურისდიქციისათვის ძალაში რჩება ამ დამატებითი ოქმით”.

**დასადგენად.** (უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება განმცხადებლისთვის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ – *Blečić v. Croatia* [GC], §85; ან ორივე, როგორც უზენაესი, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები (*Mrkić v. Croatia* (dec.))).

**სამართლებრივი დაცვის საშუალების არაეფექტურობა მას შემდეგ, რაც სადავო ფაქტს ჰქონდა ადგილი, არ არის საკმარისი რომ აღნიშნული ფაქტი მოხვედეს სასამართლოს იურისდიქციაში დროის მიხედვით** (*Blečić v. Croatia* [GC], §§77-79). სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს რომ შიდა სასამართლოები არ არიან ვალდებული კონვენცია გაავრცელონ უკუძალით იმ მოვლენებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საკვანძო თარიღამდე (*Varnava and Others v. Turkey* [GC], §130).

191. საილუსტრაციო საქმეები:

-საკვანძო თარიღამდე განხორციელებული ჩარევა უფლებაში და აღნიშნული თარიღის შემდგომ მიღებული საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება (*Meltex Ltd v. Armenia* (dec.));

-საკვანძო თარიღის შემდგომ განხორციელებული ჩარევა უფლებაში (*Lepojić v. Serbia*, § 45, და *Filipović v. Serbia*, § 33);

-საკვანძო თარიღის დადგომამდე არასათანადო მოპყრობის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება საკვანძო თარიღის შემდგომ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებაში (*Harutyunyan v. Armenia*, § 50);

- საქმე, რომელშიც საკუთრების უფლების ჩამორთმევის დონისძიებები განხორციელდა საკვანძო თარიღის დადგომამდე თუმცა შედეგი დადგა საკვანძო თარიღის შემდეგ (*Turgut and Others v. Turkey*, §73);

-საკუთრების უფლების ჩამორთმევის თარიღი (*Fener Rum Patrikliği (Ecumenical Patriarchy) v. Turkey*).

192. აგრეთვე იხილეთ:

- 25-ე მუხლის შესაბამისად საბერძნეთის მიერ გაკეთებული დეკლარაციის თარიღამდე, საბერძნეთის სასამართლოს მიერ განმცხადებლის დაუსწრებლად მსჯავრდება, დეკლარაციის შემდგომ პერიოდში მოცემული პირის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების წარუმატებელი გასაჩივრების მიუხედავად (*Stamoulakatos v. Greece (no. 1)*, §33);

-კონვენციის რატიფიკაციამდე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული აშკარა გადაწყვეტილება – უარი განმცხადებლის მოთხოვნაზე ხელი მოაწეროს პეტიციას ბეჭდით დაუმოწმებელი პასპორტის გამოყენებით, მაშინ როდესაც საქმისწარმოება ზემოთ აღნიშნულ ფაქტზე დაიწყო საკვანძო თარიღის შემდგომ (*Kadiķis v. Latvia* (dec.));

- კონვენციის რატიფიკაციამდე განმცხადებლის სამსახურიდან დათხოვნა და მის მიერ წარმოდგენილი სამოქალაქო სარჩელი, რასაც შედეგად მოჰყვა ამ თარიღის შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (*Jovanović v. Croatia* (dec.));

- მინისტრის ბრძანება, განმცხადებლების კომპანიის მართვის უფლების ეკონომიკის სამინისტროს მიერ დანიშნული საბჭოსთვის გადაცემის შესახებ, რაც ართმევს მათ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას, იმის გათვალისწინებით, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება განმცხადებლების საჩივრის უარყოფის შესახებ მიღებულია საკვანძო თარიღის შემდგომ (*Kefalas and Others v. Greece*, § 45);

- 46-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული დეკლარაციის შემდგომ პერიოდში, განმცხადებლის გასამართლება ჟურნალისტებისათვის მიცემული ჩვენების გამო, რასაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს მიერ დეკლარაციის გაკეთებამდე (*Zana v. Turkey*, § 42);

- განმცხადებლის კომპანიის ოფისის ჩხრეკა და დოკუმენტების ამოღება, მაშინ როდესაც თანმდევ საქმისწარმოებას ადგილი ჰქონდა რატიფიკაციის შემდეგ (*Veeber v. Estonia (no. 1)*, §55; აგრეთვე იხილეთ *Kikots and Kikota v. Latvia* (dec.)).

193. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი ცალკე ასაჩივრებს დეკლარაციის გაკეთების შემდგომ პერიოდში ჩატარებული საგამოძიებო პროცედურების შესაბამისობას კონვენციის კონკრეტულ მუხლთან, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს რომ მას აქვს *ratione temporis* იურისდიქცია (მაგ., გაზეთის გამოშვების და მისი დისტრიბუციის შეწყვეტის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება საკასაციო წესით: იხილეთ *Kerimov v. Azerbaijan* (dec.)).

194. ევროპული სასამართლოს მიერ საქმეში *Blečić v. Croatia* შემუშავებული ტესტი და კრიტერიუმები ზოგადი ხასიათისაა. ცალკეული უფლებების (როგორცაა მაგალითად, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები) განსაკუთრებული მახასიათებლები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მოცემული კრიტერიუმების გამოყენებისას (*Šilih v. Slovenia* [GC], §147).

### 3. განსაკუთრებული შემთხვევები

#### ა) განგრძობადი ხასიათის დარღვევები

195. კონვენციის ორგანოებმა მიიჩნიეს რომ *ratione temporis* იურისდიქცია უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევებზე, რომლებიც წარმოქმნილი არიან კონვენციის ძალაში შესვლამდე, თუმცა აქვთ განგრძობადი ხასიათი კონვენციის ძალაში შესვლის შემდგომაც (*De Becker v. Belgium* (dec.)).

196. აღნიშნული მიდგომა სასამართლოს მიერ გამოყენებული იქნა რამოდენიმე საქმეში, საკუთრების უფლებებთან დაკავშირებით:

- სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ განმცხადებლის კუთვნილი მიწის უკანონო დაკავება კომპენსაციის მიცემის გარეშე (*Papamichalopoulos and Others v. Greece*, §40);

- განმცხადებლის ქონებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ჩრდილოეთ კვიპროსში (*Loizidou v. Turkey* (წინასწარი პრეტენზიები), §§ 46-47);

- სახელმწიფოს საკუთრებაში მოქცეული ქონების სანაცვლოდ, საბოლოო კომპენსაციის გადაუხდელობა (*Almeida Garrett, Mascarenhas Falcão and Others v. Portugal*, §43);

- განმცხადებლის მიერ მისი საკუთრების აღდგენის და სახლის გაქირავების შედეგად ადექვატური ქირის მიღების შეუძლებლობა, რასაც განგრძობითი ხასიათი აქვს და გამომდინარეობს პოლონეთის მიერ № 1 დამატებითი ოქმის რატიფიკაციამდე და შემდგომ მოქმედი კანონებიდან (*Hutten-Czapska v. Poland* [GC] §§152-153).

197. შეზღუდვა: პიროვნებისათვის სახლის ან ქონების ჩამორთმევა პრინციპში წარმოადგენს “მყისიერ აქტს” და არ წარმოშობს “ჩამორთმევის”

განგრძობით სიტუაციას შესაბამის უფლებებთან მიმართებაში (*Blečić v. Croatia*, [GC] § 86 და ციტირებული წყაროები). ინფორმაცია კონკრეტულ საქმეზე, რომელიც ეხება 1945 წლის შემდეგ ყოფილი რეჟიმის საკუთრებაში არსებული ქონების ჩამორთმევას იხილეთ წყაროებში, რომლებიც ციტირებულია საქმეში *Preussische Treuhand GmbH & Co. KG a.A. v. Poland* (dec.) §§ 55-62.

198. დარღვევის განგრძობითი ბუნების განსაზღვრა აგრეთვე შესაძლებელია კონვენციის სხვა მუხლებთან მიმართებითაც (მაგალითად მე-2 მუხლთან მიმართებით, როდესაც განმცხადებლის მიმართ გამოტანილია სასიკვდილო განაჩენი საკვანძო თარიღამდე, იხილეთ *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* [GC] §§406-408).

**ბ) სახელმწიფოს “განგრძობითი” პროცედურული ვალდებულება გამოიძიოს საკვანძო თარიღამდე მომხდარი გაუჩინარების საქმეები**

199. გაუჩინარება არ არის „მყისიერი“ აქტი თუ შემთხვევა. პირიქით, სასამართლო განიხილავს გაუჩინარებას როგორც განსაკუთრებულ ფენომენს, რომელსაც ახასიათებს გაურკვეველობისა და ანგარიშვალდებულების დეფიციტის მდგომარეობა, როდესაც სახეზეა ინფორმაციის სიმცირე ან მომხდარი განზრახ იმალება. უფრო მეტიც, შესაბამისი ორგანოების საქმიანობის შემდგომი წარუმატებლობა დაკარგული პიროვნების ბედის და ადგილსამყოფელის დადგენაში წარმოშობს განგრძობად სიტუაციას. აქედან გამომდინარე, საქმის გამოძიების განგრძობითი პროცედურული ვალდებულება ძალაში რჩება მანამდე, სანამ პიროვნების ბედი არ იქნება დადგენილი; სათანადო გამოძიების ჩატარების უზრუნველყოფის წარუმატებლობა შეიძლება ჩაითვალოს განგრძობით დარღვევად, მაშინაც კი, როდესაც შესაძლოა ივარაუდებოდეს სიკვდილის დადგომის ფაქტი (*Varnava and Others v. Turkey* [GC], §§148-49). ვარნავას საქმეში შემუშავებული პრინციპების სხვა საქმეში გამოყენების მაგალითისთვის იხილეთ *Palić v. Bosnia and Herzegovina*, § 46.

**გ) გარდაცვალების ფაქტის გამოძიების მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულება: საქმისწარმოება სასამართლოს *ratione temporis* იურიდიქციის მიღმა**

200. სასამართლო ერთმანეთისგან განასხვავებს საექვო გარდაცვალებასთან ან მკვლელობის გამოძიებასთან დაკავშირებულ მოვალეობას საექვო გაუჩინარების გამოძიების მოვალეობისაგან. სასამართლო თვლის რომ მე-2 მუხლით გათვალისწინებული, **ეფექტური გამოძიების ჩატარების პოზიტიური ვალდებულება** სახელმწიფოს ეკისრება მაშინაც, როდესაც გარდაცვალების ფაქტს ადგილი ჰქონდა საკვანძო თარიღამდე (*Šilih v. Slovenia* [GC], §159 - საქმე ეხება გარდაცვალების ფაქტის გამოძიებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საკვანძო თარიღამდე, თუმცა გამოძიების ხარვეზები გამოვლინდა საკვანძო თარიღის შემდგომ). ამგვარი ვალდებულების შესრულების კოვენციასთან შესაბამისობის დადგენისას, სასამართლოს *ratione temporis* იურისდიქცია გავრცელდება გარკვეული შეზღუდვით და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის გათვალისწინებით (*Šilih v. Slovenia* [GC], §§161-163). პირველ რიგში,

სასამართლოს *ratione temporis* იურისდიქციაში ხვდება მხოლოდ საკვანძო თარიღამდე განხორციელებული საპროცესო მოქმედებები და/ან უმოქმედობა (§162). ამასთან, სასამართლო ხაზს უსვამს იმას, რომ სახელმწიფოსთვის ფაქტის გამოძიების ვალდებულების დაკისრებისთვის აუცილებელია უტყუარი კავშირის დადასტურება გარდაცვალების ფაქტსა და მოპასუხე სახელმწიფოსთან მიმართებაში კონვენციის ძალაში შესვლას შორის. აქედან გამომდინარე, საპროცესო მოქმედებების დიდი ნაწილი, მათ შორის არა მხოლოდ გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებული ეფექტური გამოძიების წარმოება, არამედ გარდაცვალების მიზეზის დაგენისა და დამნაშავის დასჯისკენ მიმართული სხვადასხვა ღონისძიებები განხორციელებულ უნდა იქნას მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ. თუმცა, სასამართლო ვერ გამორიცხავს იმასაც, რომ კონრეტულ შემთხვევებში ზემოაღნიშნული კავშირი შესაძლოა დაფუძნებული იყოს კონვენციის გარანტიების და პრინციპების ეფექტურად დაცვის საჭიროებაზე (§ 163). „უტყუარი კავშირის“ ტესტი შემდგომ საქმეში გამოყენების შესახებ, იხილეთ საქმე *Şandru and Others v. Romania*, §57. *Şilih* –ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გამოყენების მაგალითისთვის, იხილეთ *Çakir and Others v. Cyprus*, (dec.).

201. საქმეში *Tuna v. Turkey*, რომელიც ეხება წამების შედეგად პირის გარდაცვალების ფაქტს, სასამართლომ, მოსარჩევეების მიერ მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე წარმოდგენილი საპროცესო საჩივრების განხილვისას, პირველად გამოიყენა *Şilih*-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში დადგენილი პრინციპები. სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პროცედურული ვალდებულებების “განცალკევების” პრინციპს. კერძოდ, კი ორ კრიტერიუმს, რომელიც გასათვალისწინებელია *ratione temporis* იურისდიქციის დასადგენად. აღნიშნული მოიცავს საქმეებს, რომლებში მე-2 და მე-3 მუხლების მატერიალურ ასპექტებთან დაკავშირებულ ფაქტებს ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს მიერ სასამართლოს იურისდიქციის აღიარების მომენტამდე, თუმცა, პროცედურულ ასპექტებთან დაკავშირებული ფაქტებს, ანუ შემდგომ განხორციელებულ პროცედურებს, ადგილი ჰქონდა იურისდიქციის აღიარების შემდგომ.

#### დ) საკვანძო თარიღამდე მომხდარი ფაქტების გათვალისწინება სასამართლოს მიერ

202. ეროპულმა სასამართლომ შესაძლოა მხედველობაში მიიღოს ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიკაციამდე, თუ ითვლება რომ სწორედ აღნიშნული ფაქტი არის საწყისისი წერტილი კონვენციის რატიფიკაციის შემდგომ გაგრძელებული მდგომარეობისა ან ზოგადად მნიშვნელოვანია რატიფიკაციის თარიღის შემდგომ არსებული სიტუაციის ანალიზისთვის. (*Broniowski v. Poland* (dec.) [GC], §74).

#### ე) მიმდინარე საქმისწარმოება ან დაკავება

203. განსაკუთრებული მდგომარეობას ქმნის განმცხადებლის საჩივარი, რომელიც ეხება ეროვნულ დონეზე საქმისწარმოების არაგონივრულ გაჭიანურებას (მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით), მაშინ როდესაც აღნიშნული სასამართლო პროცესი დაიწყო მოცემული სახელმწიფოს მიერ

კონვენციის რატიფიკაციამდე, თუმცა გრძელდება რატიფიკაციის შემდგომ პერიოდშიც. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლოს იურისდიქცია შეზღუდულია და მოიცავს საკვანძო თარიღის შემდგომ მომხდარ ფაქტებს, სასამართლო სახელმძღვანელოდ მხედველობაში იღებს წინა პერიოდსაც (მაგალითად, *Humen v. Poland* [GC], §§58-59, და *Foti and Others v. Italy*, §53).

იგივე პრინციპი გამოიყენება დაკავების საქმეებთან დაკავშირებით (მუხლი 5, §3; *Klyakhin v. Russia*, §§58-59) ან დაკავების პირობებთან დაკავშირებით, იხილეთ (მუხლი 3: *Kalashnikov v. Russia*, §36)

204. რაც შეეხება საჩივრებს სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს შესაძლებელია თუ არა სასამართლო პროცესის ხარვეზების კომპენსირება საკვანძო თარიღამდე ჩატარებული გამოძიების საპროცესო გარანტიების მეშვეობით (*Barberà, Messegué and Jabardo v. Spain*, §§61 და 84). ასეთ შემთხვევაში სტრასბურგის მოსამართლეები საქმისწარმოებას განიხილავენ როგორც ერთ მთლიანს (აგრეთვე იხილეთ *Kerojärvi v. Finland*, §41).

205. მე-5 მუხლის მე-5 პარაგრაფის საფუძველზე წარდგენილი პროცედურული ხასიათის საჩივარი ვერ მოხვდება სასამართლოს *ratione temporis* იურისდიქციაში, თუ თავისუფლების აღკვეთას ადგილი ჰქონდა კონვენციის ძალაში შესვლამდე (*Kerojärvi v. Finland* (dec.)).

#### ფ) უკანონო პატიმრობის გამო კომპენსაციის მოთხოვნის უფლება

206. სასამართლომ განაცხადა, რომ მას აქვს მე-7 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის საფუძველზე შეტანილი საჩივრის განხილვის იურისდიქცია, თუ პირის მსჯავრდებას ადგილი ჰქონდა საკვანძო თარიღამდე, თუმცა იგი გამართლებულ იქნა საკვანძო თარიღის შემდგომ (*Kerojärvi v. Finland*, §38).

### დ. *Ratione materiae* პრინციპთან შეუსაბამობა

#### 35-ე მუხლი, მე-3 პარაგრაფი, ა) ქვეპუნქტი – დასაშვებობის კრიტერიუმები

“3. სასამართლო დაუშვებლად ცნობს 34 მუხლის საფუძველზე წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადებს, თუ მიხნევს რომ:

ა. განაცხადი შეუთავსებელია კონვენციის ან მისი ოქმების დებულებებთან ”

#### 32-ე მუხლი - სასამართლოს იურისდიქცია

“1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომელიც მას გადაეცემა 33-ე, 34-ე, 45-ე და 47-ე მუხლების შესაბამისად.

2. სასამართლოს იურისდიქციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სადავო საკითხს თავად სასამართლო გადაწყვეტს.”

207. განაცხადის ან საჩივრის კონვენციასთან *ratione materiae* შესაბამისობა გამომდინარეობს სასამართლოს არსებითი იურისდიქციიდან. საჩივარი იმ შემთხვევაში არის *ratione materiae* შესაბამისობაში

კონვენციასთან, თუ უფლება რომელსაც განმცხადებელი ეყრდნობა, დაცულია ძალაში შესული კონვენციითა და დამატებითი ოქმებით.

მაგალითად, განაცხადი დაუშვებლად იქნება ცნობილი, თუ ის ეხება მართვის მოწმობის მიღების უფლებას (*X v. Federal Republic of Germany* (dec.)), თვითგამორკვევის უფლებას (*X v. the Netherlands* (dec.)), და ხელშემკვრელ სახელმწიფოში უცხოელი მოქალაქის შესვლის და ცხოვრების უფლებას (*Peñafiel Salgado v. Spain* (dec.)), რადგან ეს უფლებები, როგორც ასეთი, არ განეკუთვნებიან კონვენციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

208. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლო არ არის უფლებამოსილი განიხილოს იმ უფლებების დარღვევის საკითხი, რომლებიც დაცულია სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებით, კონვენციის ტერმინებისა და არსის მნიშვნელობის განსაზღვრისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს და ითვალისწინებს კიდევ კონვენციის გარდა, საერთაშორისო სამართლის სხვა ელემენტებს. (*Demir and Baykara v. Turkey* [GC], §85).

209. სასამართლო, საქმის განხილვის ყველა ეტაპზე, ვალდებულია დაადგინოს აქვს თუ არა მას *ratione materiae* იურისდიქცია, თუნდაც მოპასუხე სახელმწიფოს არ ჰქონდეს მსგავსი პრეტენზიის გამოთქმის უფლება (*Tănase v. Moldova* [GC], §131).

210. განაცხადები კონვენციის იმ დებულებებთან მიმართებაში, რომლებთან დაკავშირებითაც მოპასუხე მხარეს გაკეთებული აქვს დათქმა, წარმოადგენს კონვენციასთან *ratione materiae* შეუსაბამო განაცხადებს (მაგალითისთვის, იხილეთ *Kozlova and Smirnova v. Latvia* (dec.)), იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სახელმწიფოს მიერ გაკეთებული დათქმას მიიჩნევს ნამდვილად 57-ე მუხლის მიზნებისათვის (მაგალითი, როდესაც სასამართლომ განმარტებითი დეკლარაცია გაუქმებულად გამოაცხადა, იხილეთ საქმეში *Belilos v. Switzerland*).

211. გარდა ამისა, ევროპულ სასამართლოს არ აქვს *ratione materiae* იურისდიქცია რათა განიხილოს ხელშემკვრელი მხარის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. მას არ შეუძლია განსახილველად მიიღოს აღნიშნული ხასიათის საჩივარი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის კომპეტენციაში შეჭრის გარეშე, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი ზედამხედველობს 46-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას. თუმცა, აღნიშნულ სფეროში მინისტრთა კომიტეტის როლი არ გულისხმობს იმას, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევის გამოსწორების მიზნით, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა არ შეიძლება წამოწიოს ახალი საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია სასამართლოს მიერ და ახალი განაცხადის შეტანის საფუძველს ქმნის (*Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland (no. 2)* [GC], §62). სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლოს შეუძლია განსახილველად მიიღოს განაცხადი, თუ ეროვნულ დონეზე, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საქმისწარმოების განახლება, საფუძველი დაუდო კონვენციის ახალ დარღვევას (*Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland (no. 2)* [GC], §62; *Lyons v. the United Kingdom* (dec.)).

212. თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებების აბოლუტური უმრავლესობა, რომელიც დაუშვებლად ცნობს განაცხადს კონვენციასთან *ratione materiae* შეუსაბამობის გამო, ეხება კონვენციის ან დამატებითი ოქმების მუხლების მოქმედების საზღვრებს, მაგალითად მე-6 მუხლი (სამართლიანი სასამართლოს უფლება, მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი (საკუთრების უფლება).

1. სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ცნება

**მუხლი 6 § 1 – საქმის სამართლიანი განხილვის უფლება**

“ 1. ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების... გამორკვევისას, აღჭურვილია მისი საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით... სასამართლოს მიერ.”

ა) მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის გამოყენების ძირითადი მოთხოვნები

213. ცნება “სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები” არ უნდა იქნეს განმარტებული მხოლოდ მოპასუხე მხარის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად; აღნიშნული წარმოადგენს კონვენციიდან გამომდინარე “ავტონომიურ ცნებას”. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი მოქმედებს მხარეების სტატუსის, დავის პროცესში მოქმედი კანონმდებლობის მახასიათებლებისა და დავის გადაწყვეტაზე უფლებამოსილი ორგანოს სახის მიუხედავად (*Georgiadis v. Greece*, §34).

214. თუმცა, კონვენციის ავტონომიური ცნებების დღევანდელ რეალობასთან შესაბამისობაში ინტერპრეტაციის პრინციპი არ აძლევს საშუალებას სასამართლოს განმარტოს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი ისე, თითქოს ზედსართავი სახელი “სამოქალაქო“ (იმ შეზღუდვებით, რომელსაც ეს ზედსართავი აწესებს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ “უფლებებსა და მოვალეობებზე“) არ არსებობდეს ტექსტში (*Ferrazzini v. Italy* [GC], §30).

215. კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენება სამოქალაქო საქმეებში, პირველ რიგში, დამოკიდებულია დავის არსებობაზე. გარდა ამისა, დავა უნდა შეეხებოდეს ეროვნული კანონმდებლობით აღიარებულ “უფლებებსა და მოვალეობებს”. და ბოლოს, აღნიშნული “უფლებები და მოვალეობები” უნდა განეკუთვნებოდეს “სამოქალაქო” უფლებებისა და მოვალეობების რიცხვს, თუმცა, მე-6 მუხლი არ მოითხოვს ამ უფლებებისა და მოვალეობებისათვის რაიმე სპეციფიურ შინაარსის მინიჭებას ხელშემკვრელი მხარეების სამართლებრივ სისტემაში.

ბ) ტერმინი “დავა”

216. სიტყვა “დავა” (ფრანგულად “*contestation*”) არსობრივად, და არა ფორმალურად, უნდა იქნეს გააზრებული (*Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, §40). აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული არა მხოლოდ გამოყენებული ენა და ტექსტის გარეგნული მახასიათებლები, არამედ

თითოეულ საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები (*Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, § 40; *Gorou v. Greece (no. 2)* [GC], §§ 27 და 29).

მე-6 მუხლი არ ვრცელდება მოგვარების არასასარჩელო ცალმხრივ პროცედურაზე, რომელიც არ გულისხმობს ორი დაპირისპირებული მხარის პროცესში ჩართვას და ხელმისაწვდომია მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს უფლებასთან დაკავშირებული დავა (*Alaverdyan v. Armenia (dec.)*, § 33).

217. “დავა” უნდა იყოს უტყუარი და სერიოზული (*Sporrong and Lönnroth v. Sweden*, §81). მაგალითად, აღნიშნული გამორიცხავს ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ სამოქალაქო დავას აივ-ინფიცირებულ პაციმართა ციხეში ყოფნის გამო (*Skorobogatykh v. Russia (dec.)*). მაგალითად, სასამართლომ ჩათვალა რომ “დავა” არსებობდა საქმეში, რომელიც ეხებოდა განმცხადებლის მოთხოვნას სახელმწიფო ბრალდების მხარეს შეეტანა საკასაციო საჩივარი, რადგან აღნიშნული წარმოადგენდა მთელი იმ სამართალწარმოების პროცესის განუყოფელ ნაწილს, რომლითაც განმცხადებელი, სამოქალაქო მოსარჩელის სახით, კომპენსაციის მიღებას ისახავდა მიზნად (*Gorou v. Greece (no. 2)* [GC], §35).

218. უფლების არსებობასთან ერთად, აღნიშნული აგრეთვე შეეხება უფლების მოქმედების ფარგლებსა და ფორმას, რომლითაც უნდა განხორციელდეს მისი გამოყენება (*Bentham v. the Netherlands*, §32). დავა შესაძლოა აგრეთვე ეხებოდეს ფაქტობრივი გარემოებების საკითხს.

219. საქმისწარმოების შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს პირის მიერ უფლების განხორციელებისთვის (მაგალითისთვის, იხილეთ *Ulyanov v. Ukraine (dec.)*). შესაბამისად, უმნიშვნელო კავშირი და დაგვიანებული შედეგი არ არის საკმარისი მე-6 მუხლის ასამოქმედებლად. მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილებით ატომური ელექტროსადგურის სამოქმედო ლიცენზიის გაგრძელების კანონიერების შესახებ მიმდინარე სამართალწარმოება ჩაითვალა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნებთან შეუსაბამოდ, ვინაიდან კავშირი ლიცენზიის გაგრძელებისა და სიცოხლის, პირადი ხელშეუხებლობის და საკუთრების უფლებას შორის ჩაითავლა უმნიშვნელოდ, რადგან განმცხადებლებმა ვერ შეძლეს სასამართლოსთვის დაედანტურებინათ, რომ მათ ემოქმედებოდათ არა მხოლოდ კონკრეტული არამედ მყისიერი საფრთხე (*Balmer-Schafroth and Others v. Switzerland*, §40, და *Athanassoglou and Others v. Switzerland* [GC], §§46-55; იხილეთ *Sdruzeni Jihoceske Matky v. the Czech Republic (dec.)*; ასევე, იხილეთ *Zapletal v. the Czech Republic (dec.)*, რომელიც ეხება განმცხადებლის საჩივარს ქარხნის მუშაობის შედეგად გამოწვეული ხმაურის გამო, ან საქმე *Ivan Atanasov v. Bulgaria*, §§90-95, გარემოზე მადაროს ნარჩენების ჰიპოთეტურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით. ანალოგიურად – საჯარო სექტორის ორი თანამშრომლის სარჩელს, მათი კოლეგის თანამდებობაზე დანიშვნის გაპროტესტების შესახებ უმნიშვნელო გავლენა აქვს მოსარჩელების სამოქალაქო უფლებებზე (მაგალითად, თანამდებობაზე დანიშვნის უფლებაზე, *Revel and Mora v. France (dec.)*).

220. თუმცა, სასამართლომ განსხვავებული გადაწყვეტილება გამოიტანა და მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებში ჩასვა ის შემთხვევები, სადაც კაშხლის აგებას შესაძლოა განმცხადებლის სოფლის დატბორვა გამოეწვიო (*Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*, § 46) და ოქროს საბადოს მოქმედების ლიცენზიის მიღებას, რომლის მუშაობის დროსაც მოსარჩელეთა სოფლების მახლობლად გამოიყენებოდა ციანიდის გამოტუტვის მეთოდი (*Taşkın and Others*

*v. Turkey*, §133; იხილეთ ასევე *Zander v. Sweden*, §§24-25). ერთ-ერთ ახალ საქმეში, რომელიც ეხებოდა გარემოს დაცვის ადგილობრივი ასოციაციის საჩივარს დაგეგმარების ნებართვის სასამართლო გადასინჯვის შესახებ, სასამართლომ ჩათვალა რომ საკმარისი კავშირი არსებობდა დავასა და იურიდიული პირის მოთხოვნას შორის, გაითვალისწინა რა ასოციაციის სტატუსი და დამფუძნებლები და ის ფაქტი, რომ მათი მიზანი დროსა და სივრცეში შეზღუდული იყო (*L'Erablière A.S.B.L. v. Belgium*, §§ 28-30).

### გ) სადავო უფლების არსებობა ეროვნულ კანონმდებლობაში

221. მე-6 მუხლი არ იძლევა ხელშემკვრელი მხარის შიდა კანონმდებლობაში “უფლების” განმარტების ცნებას, ამიტომაც სასამართლო მიმართავს ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობას, რათა გაარკვიოს არსებობს თუ არა ამგვარი უფლება.

სასამართლომ შესაძლოა გადაწყვიტოს, რომ ისეთი უფლებები, როგორებიცაა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ჯანსაღი გარემოსა და ქონებრივი უფლებები აღიარებულია ეროვნულ კანონმდებლობაში (*Athanassoglou and Others v. Switzerland* [GC], §44).

222. განსახილველ უფლებას სამართლებრივი საფუძველი უნდა ჰქონდეს ეროვნულ კანონმდებლობაში. სასამართლოს, მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის ინტერპრეტაციის გზით, არ შეუძლია თავად შექმნას არსებითი სამოქალაქო უფლება, რომელსაც ეროვნულ კანონმდებლობაში არ აქვს სამართლებრივი საფუძველი (*Fayed v. the United Kingdom*, § 65).

223. პიროვნების მიერ წარმოდგენილი სარჩელის ქმედუნარიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის მიერ მინიჭებული სამოქალაქო უფლების შინაარსზე, არამედ ასევე პროცესუალური დაბრკოლებების არსებობაზე, რომლებიც ზღუდავენ ან შეუძლებელს ხდიან სარჩელის სასამართლოში შეტანას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის გამოყენება შესაძლებელია (*Al-Adsani v. the United Kingdom* [GC], §§ 46-47, და *Fogarty v. the United Kingdom* [GC], §25). მე-6 მუხლი ვერ იქნება გამოყენებული იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული კანონმდებლობით უფლების განხორციელება არა პროცესუალურ ნაწილში, არამედ არსებით ნაწილში იზღუდება (*Roche v. the United Kingdom* [GC], §119).

224. იმისთვის რომ დადგინდეს, არსებობს თუ არა “სამოქალაქო უფლება”, და მისი განხორციელება იზღუდება პროცესუალურ თუ მატერიალურ ნაწილში, სასამართლო მიმართავს ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობას და შიდა სასამართლოების მიერ გამოყენებულ ინტერპრეტაციას (*Masson and Van Zon v. the Netherlands*, § 49). ამ შემთხვევაში აუცილებელია არ შემოვიფარგლოთ კანონმდებლობის ტექსტის მხოლოდ გარეგნული მახასიათებლებით, განვიხილოთ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები და ის, თუ როგორ კლასიფიკაციას აძლევს ეროვნული სასამართლო უფლების შეზღუდვას (*Van Droogenbroeck v. Belgium*, §38). ეროვნული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება რეტროსპექტულად არ ართმევს განმცხადებლის საჩივარს სადავო სტატუსს (*Le Calvez v. France*, §56). მაგალითად, სახელმწიფოების მიერ თავიანთი საგარეო პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ქმედების (სერბეთზე

ნატოს საპაერო შეტევა) სასამართლო წესით გადასინჯვის შეზღუდული ხასიათი რეტროსპექტულად ვერ გახდის განმცხადებლის საჩივარს არასადავოს, რადგან ეროვნულ სასამართლოებს აღნიშნული საკითხის განხილვა უწევდათ პირველად (*Markovic and Others v. Italy* [GC], §§ 100-02).

225. უფლების მატერიალურ და პროცესუალურ შეზღუდვას შორის განსხვავების შედარებითი ანალიზის შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებლის სამოქალაქო დავა პოლიციის ან ადგილობრივი ხელისუფლების დაუდევრობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, ექცევა მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებში (*Osman v. the United Kingdom* ან *Z. and Others v. the United Kingdom* [GC]). აღნიშნულ საქმეებში სასამართლომ ასევე იმსჯელა რამდენად პროპორციული იყო კონკრეტული შეზღუდვა (მაგალითად, ბრალდებისაგან და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება) კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის თვალსაზრისით.

მეორე მხრივ, სასამართლომ მიიჩნია რომ დიდ ბრიტანეთში შეირადებული ძალების წევრების სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება წარმოადგენდა მატერიალურ შეზღუდვას, აქედან გამომდინარე, დადგინდა რომ “უფლება” არ არსებობდა ეროვნულ კანონმდებლობაში (*Roche v. the United Kingdom* [GC], § 124; იხილეთ ასევე *Hotter v. Austria* (dec.), და *Andronikashvili v. Georgia* (dec.)).

226. განმცხადებელმა აგრეთვე უნდა წარმოადგინოს დასაბუთებული საჩივარი ეროვნული კანონმდებლობით აღიარებულ უფლებებთან მიმართებაში. სასამართლომ მიიჩნია რომ გაერთიანებები ასევე სარებლობენ მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დაცვით, თუ ისინი ითხოვენ თავიანთი წევრების კონკრეტული ინტერესის და უფლების (*Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*, § 45) ან, მათი, როგორც იურიდიული პირის, უფლების აღიარებას (მაგალითად საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება ან უფლება მიიღო მონაწილეობა გადაწვეტილების მიღების პროცესში, რომელიც გარემოს ეხება *Collectif national d'information et d'opposition à l'usine Melox – Collectif Stop Melox et Mox v. France* (dec.)), ან მაშინ, როდესაც გაერთიანების ქმედება არ განიხილება როგორც *actio popularis* (*L'Erablière A.S.B.L. v. Belgium*).

227. როდესაც კანონმდებლობა ითვალისწინებს თანამდებობის დაკავების ან პროფესიის არჩევის წინასწარ განსაზღვრულ პირობებს, ითვლება რომ კანდიდატს, რომელიც ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, აქვს კონკრეტული თანამდებობის დაკავების ან პროფესიის არჩევის უფლება (*De Moor v. Belgium*, § 43). მაგალითად, მე-6 მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში როდესაც განმცხადებელს აქვს დასაბუთებული არგუმენტანცია იმის შესახებ, რომ ის აკმაყოფილებს ექიმის ლიცენზიის მისაღებ პირობებს (*Chevol v. France*, § 55; საპირისპირო მაგალითისათვის, იხილეთ *Bouilloc v. France* (dec.)). ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება სამოქალაქო უფლებასთან დაკავშირებული საქმისწარმოების კანონიერების გასაჩივრების სასამართლო დაცვის საშუალებას, რომელიც განმცხადებელმა გამოიყენა, სასამართლო თვლის რომ “დავა” სამოქალაქო უფლებასთან დაკავშირებით არსებობს, მიუხედავად იმისა რომ დასკვნის თანახმად შესაძლოა დადგინდეს, რომ განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს კონკრეტულ სამართლებრივ მოთხოვნებს (განმცხადებლის მიერ საზღვარგარეთ მიღებული სპეციალიზით სხვა ქვეყანაში სამედიცინო საქმიანობის გაგრძელების უფლების შესახებ, იხილეთ *Kök v. Turkey*, §37).

#### დ) უფლების “სამოქალაქო” ხასიათი

228. კონვენციის მიზნებისათვის კლასიფიკაცია “სამოქალაქო” უფლებად უნდა მოხდეს ამ უფლების არსებითი მხარის და მისი განხორციელების შედეგის გათვალისწინებით, და არა ეროვნულ კანონმდებლობაში უფლების სამართლებრივი კლასიფიკაციის მიხედვით. სასამართლო, თავისი საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას, მხედველობაში იღებს კონვენციის არსს, მიზანს და ხელშემკველი მხარეების ეროვნულ კანონმდებლობას (*König v. Germany*, §89).

229. პრინციპში, მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის გამოყენება კერძო პირებს შორის დავებთან მიმართებაში, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით კლასიფიცირდებიან როგორც სამოქალაქო, არ შეიძლება გახდეს დავის საგანი ევროპული სასამართლოს წინაშე (*Airey v. Ireland*, § 21).

#### ე) უფლების კერძო ბუნება: ფინანსური განზომილება

230. მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი მოიცავს დავებს, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით განეკუთვნება საჯარო-სამართლებრივ დავას და რომლის შედეგს გადამწვეტი მნიშვნელობა ექნება პირის სამოქალაქო უფლების ან მოვალეობის განხორციელებისთვის. მსგავსი ხასიათის სამართლებრივი დავა შესაძლოა, *inter alia*, დაკავშირებული იყოს მიწის ნაკვეთის გაყიდვის ნებართვასთან (*Ringelsen v. Austria*, §94), კერძო კლინიკის მართვის უფლებასთან (*König v. Germany*, §§94-95), მშენებლობის ნებართვასთან (იხილეთ, *inter alia*, *Sporrong and Lönnroth v. Sweden*, § 79), რელიგიური ნაგებობის საკუთრებასთან და მის გამოყენებასთან (*Sâmbata Bihor Greco-Catholic Parish v. Romania*, § 65), საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრაციულ ნებართვასთან (*Bentham v. the Netherlands*, § 36), ალკოჰოლური სასმელების გაყიდვის ნებართვასთან (*Tre Traktörer Aktiebolag v. Sweden*, § 43), ან დავა, რომელიც ეხება კომპენსაციის მოთხოვნას სამსახურთან დაკავშირებული დაავადების ან უბედური შემთხვევის გამო (*Chaudet v. France*, § 30).

ზემოაღნიშნული საფუძველით, მე-6 მუხლი გამოიყენება პროფესიული ორგანოს წინაშე დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებით, როდესაც პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლება საფრთხის ქვეშ დგას (*Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*). ასევე, მე-6 მუხლი ფარავს დავებს, რომლებშიც საჩივარი ეხება: დაუდევრობას სახელმწიფოს მხრიდან (*X v. France*), ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გაუქმებას, რაც განმცხადებლის ინტერესს ზიანს აყენებს (*De Geouffre de la Pradelle v. France*), განმცხადებლის წყლებში თევზაობის აკრძალვას (*Alatulkkila and Others v. Finland*, § 49), ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას ტენდერის მოგებასთან დაკავშირებით, რომელშიც უფლება არ მოხდეს პირის დისკრიმინაცია რელიგიური მრწამსის ან პოლიტიკური შეხედულების გამო საფრთხის წინაშე დგას (*Tinnelly & Sons Ltd and Others and McElduff and Others v. the United Kingdom*, § 61; საპირისპირო მაგალითისათვის, იხილეთ *I.T.C. Ltd v. Malta* (dec.)).

231. მე-6 მუხლის 1-ელი პარაგრაფი აგრეთვე გამოიყენება სისხლის სამართალწარმოების დროს მხარის სამოქალაქო ხასიათის შუამდგომლობის

ნაწილში (*Perez v. France* [GC], §§ 70-71), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნათელია რომ სამოქალაქო სარჩელი წარმოდგენილია პირადი შურისძიების ან სადამსჯელო მიზნებისათვის (*Sigalas v. Greece*, § 29, and *Mihova v. Italy* (dec.)). კონვენცია მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებში არ აქცევს უფლებას, რომლის თანახმადაც შესაძლებელია მესამე მხარის გასამართლება ან მსჯავრდება. იმისთვის, რომ უფლება მოხვდეს მე-6 მუხლის ფარგლებში, აუცილებელია ის იყოს მსხვერპლის სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყების უფლების განუყოფელი ნაწილი, თუნდაც დავა ეხებოდეს სიმბოლურ რეპარაციას ან ისეთი სამოქალაქო უფლების დაცვას, როგორცაა “რეპუტაციის უფლება” (*Perez v. France* [GC], § 70; სიმბოლურ კომპენსაციასთან დაკავშირებით, იხილეთ საქმე *Gorou v. Greece* (no. 2) [GC], § 24). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მე-6 მუხლი გამოიყენება სამოქალაქო სამართალწარმოებისას იმ მომენტიდან, როცა განმცხადებელი დავის მონაწილე გახდება, გარდა იმ შემთხვისა თუ განმცხადებელმა მკაფიოდ უარი განაცხადა რეპარაციის უფლებაზე.

232. მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი აგრეთვე გამოიყენება სამოქალაქო სარჩელთან მიმართებით, რომელიც ეხება ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტისთვის კომპენსაციის მოთხოვნას (*Aksoy v. Turkey*, § 92).

#### ე) კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედების გავრცელება სხვა დავებზე

233. სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი მოქმედებს სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ დავებთან მიმართებით, რაც აგრეთვე მოიცავს კერძო კომპანიიდან თანამშრომლის დათხოვნას (*Buchholz v. Germany*), სოციალური უზრუნველყოფის თანხებთან დაკავშირებულ საქმისწარმოებას (*Feldbrugge v. the Netherlands*), თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც სისტემა არ არის შენატანებზე დაფუძნებული (*Salesi v. Italy*), ასევე სოციალური უზრუნველყოფის სავალდებულო შენატანთან დაკავშირებულ საქმისწარმოებას (*Schouten and Meldrum v. the Netherlands*). ამ შემთხვევებში სასამართლომ ჩათვალა, რომ უფლების და საქმისწარმოების სამოქალაქო ხასიათი დომინირებდა საჯარო ხასიათთან შედარებით. ასევე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მსგავსება არსებობდა სოციალური შემწეობის მიღებასა და ნაცისტების მიერ განხორციელებული დევნისათვის კერძო ფონდიდან კომპენსაციის მიღების უფლებას შორის (*Woś v. Poland*, § 76).

234. დავები, რომლებიც ეხება საჯარო მოხელეებს, ექცევა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის ფარგლებში. სასამართლომ, საქმეში *Pellegrin v. France* [GC], §§ 64-71, შეიმუშავა “ფუნქციური” კრიტერიუმი. სასამართლომ გადაწყვიტა ახალი მიდგომა გამოეყენებინა საქმეში *Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], §§ 50-62. აღნიშნული პრინციპის თანახმად არსებობს პრეზუმფცია, რომ მე-6 მუხლი ფარავს საჯარო მოხელეების მიერ წამოწყებულ დავებს, თუმცა, მტკიცების ტვირთი იმისა, რომ, პირველ რიგში, საჯარო მოხელეებს არ აქვთ ეროვნული კანონმდებლობით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება და მეორეც, რომ ეს შეზღუდვა გამართლებულია, ეკისრება მოპასუხე სახელმწიფოს. თუ განმცხადებელს აქვს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ეროვნული კანონმდებლობით, ამ შემთხვევაში მე-6 მუხლი მოქმედებს (აღნიშნული ეხება შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების სამხედრო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებასაც, იხილეთ *Pridatchenko*

*and Others v. Russia*, § 47). რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, საჯარო მოხელეებისთვის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების არარსებობა გამართლებული უნდა იყოს “სახელმწიფოს ინტერესების შემცველი ობიექტური საფუძვლით”, რაც თავისთავად ავალდებულებს სახელმწიფოს აჩვენოს, რომ დავის საგანი პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელებასთან ან განაცხადი სადავოს ხდის კონკრეტულ საჯარო მოხელესა და სახელმწიფოს შორის არსებულ განსაკუთრებულ კავშირს. აქედან გამომდინარე, შრომითი დავების, როგორცაა ხელფასთან, შემწეობასთან დაკავშირებული დავები, მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებიდან ამორიცხვის გამართლება პრაქტიკულად შეუძლებელია (მაგალითისთვის, იხილეთ საქმე *Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], რომელიც ეხება პოლიციის თანამშრომლების საჩივარს სპეციალური პენსიებიებთან დაკავშირებით). ბოლო პერდიოდში, სასამართლომ *Vilho Eskelinen and Others v. Finland* საქმეში შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მოქმედება გაავრცელა მთელ რიგ დავებზე რომლებიც ეხებოდა საელჩოს თანამშრომლის (*Cudak v. Lithuania* [GC], §§ 44-47), პოლიციის მაღალი რანგის თანამშრომლის (*Šikić v. Croatia*, §§ 18-20), სამხედრო სასამართლოს ოფიცერის (*Vasilchenko v. Russia*, §§ 34-36), სამსახურიდან უკანონო გათავისუფლებას. ამასთან, მე-6 მუხლის მოქმედება გავრცელდა დავებზე, რომლებიც ეხება საპარლამენტო დამხმარის პოზიციის დაკავების უფლებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას, (*Savino and Others v. Italy*), მოსამართლის წინააღმდეგ წამოწყებულ დისციპლინურ სამართალწარმოებას (*Olujić v. Croatia*), პროკურორის საჩივარს პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე მისი სხვა სამსახურში გადაყვანის შესახებ (*Zalli v. Albania* (dec). ასევე იხილეთ საქმეში ციტირებული სხვა შესაბამისი წყაროები), და საბაჟო მოსამსახურის პროფესიულ კარიერას (დაწინაურებისათვის შიდა კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლებას: *Fiume v. Italy*, §§33-36).

235. მე-6 მუხლის მოქმედება შესაძლოა ასევე გავრცელდეს საკონსტიტუციო დავებზე, იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწვეტილებას გადამწვეტი მნიშვნელობა ექნება სამოქალაქო უფლებასთან დაკავშირებული, საერთო სასამართლოებში განსახილველი, დავის შედეგისთვის (*Ruiz-Mateos v. Spain*). ზემოაღნიშნული არ ეხება საკონსტიტუციო დავებს, სადაც, დავის საგანია განსაკუთრებულ შემთხვევაში პირისთვის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების კანონიერება ან საქმეს, რომელიც ეხება პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციური ფიცის დარღვევის საქმისწარმოებას, რადგან ეს დავები არ ეხება სამოქალაქო უფლებებს ან მოვალეობებს (*Paksas v. Lithuania* [GC], §§65-66). მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის გამოყენებაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დაკისრებული დროებითი ღონისძიების შემთხვევაში, იხილეთ საქმე *Kübler v. Germany*, §§47-48.

236. და ბოლოს, მე-6 მუხლი აგრეთვე გამოიყენება სხვა, არაქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა გარემოს დაცვა, როდესაც დავის პროცესში შესაძლოა წამოიწიოს სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებულმა დავებმა (*Taşkın and Others v. Turkey*); ასევე როდესაც განხილვის საგანია უფლებები, რომლებიც უკავშირდება ბავშვთა დროებით მზრუნველობაში გადაცემას, (*McMichael v. the United Kingdom*); ბავშვის სასკოლო განათლებას (*Ellès and Others v.*

*Switzerland*, §§ 21-23); მამობის დადგენას (*Alaverdyan v. Armenia* (dec.), § 33), თავისუფლების უფლებას (*Laidin v. France* (no. 2)), პატიმრობის პირობებს (მაგალითად, დავა იმ შეზღუდვების შესახებ, რომლებიც პატიმრებს ეხება მკაცრი რეჟიმის საპრობილეში (*Enea v. Italy* [GC], §§ 97-107), ან საკანში მოთავსებას (*Stegarescu and Bahrin v. Portugal*), ან დისციპლინური საქმისწარმოებას, რომლის თანახმადაც იზღუდება ოჯახის წევრების ვიზიტი საპრობილეში (*Gülmez v. Turkey*, § 30); კარგი რეპუტაციის უფლებას (*Helmerts v. Sweden*, § 27), ადმინისტრაციულ დოკუმენტებზე წვდომის უფლებას (*Loiseau v. France* (dec.)), ან პოლიციის მონაცემთა ბაზაში შეყვანას, რაც არსებით ზიანს აყენებს განმცხადებლის რეპუტაციას, საკუთრების უფლებას და სამსახურის პოვნის და საარსებო შემოსავლის გამომუშავების შესაძლებლობას (*Pocius v. Lithuania*, §§ 38-46, და *Užukauskas v. Lithuania*, §§ 32-40), გაერთიანების წევრობის უფლებას (*Sakellaropoulos v. Greece* (dec.)). ასევე, სასამართლომ გაავრცელა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მოქმედება საქმეზე, რომელიც ეხებოდა გაერთიანების დარეგისტრირების უფლების სამოქალაქო ასპექტს, მაშინაც როდესაც ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, ეს უფლება განეკუთვნებოდა საჯარო სამართლის სფეროს (*APEH Üldözötteinek Szövetsége and Others v. Hungary*, §§ 34-35); სასამართლომ მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო უმაღლესი განათლების მიღების უფლებასა (*Emine Araç v. Turkey*, §§ 18-25), და საშუალო განათლების უფლებასთან დაკავშირებით (*Oršuš and Others v. Croatia* [GC], § 104). მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლების გაფართოების შედეგად მოცემული მუხლში ექცევა არა მხოლოდ ქონებრივი უფლებები, არამედ ინდივიდუალური, პირადი ხასიათის უფლებები.

## ზ) გამომრიცხავი გარემოებები

237. დავის მხოლოდ ქონებრივი მხარის წარმოჩენა არ არის საკმარისი სამოქალაქო ასპექტით მე-6 მუხლის გამოყენებისთვის (*Ferrazzini v. Italy* [GC], § 25).

238. მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებს გარეთ ხვდება საგადასახო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საქმეები, რადგან ეს სფერო მთლიანად ეკუთვნის საჯარო სამსახურის პრეროგატივას, გადასახადის გადამხდელსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის საჯარო ხასიათი დომინანტური რჩება (*Ferrazzini v. Italy* [GC], §29). ანალოგიურად, გამოირიცხება საქმისწარმოება საბაჟო მოსაკრებლის ან ბაჟის შესახებ (*Emesa Sugar N.V. v. the Netherlands* (dec.)).

239. ევროპული სასამართლო მსგავს მიდგომას ირჩევს საიმპირაციო სფეროსთან დაკავშირებულ საქმეებთან მიმართებითაც, რომლებიც მოიცავს უცხოელის ქვეყანაში შესვლის, ცხოვრების და გაძევების პირობებს, დეპორტაციასა და პოლიტიკური თავშესაფრის მიღებას (განაცხადი დეპორტაციის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ *Maaouia v. France* [GC] § 38; იხილეთ *Peñafiel Salgado v. Spain* (dec.), და *Mamatkulov and Askarov v. Turkey* [GC], §§ 81-83, და საქმე, რომელიც ეხება თავშესაფრის მაძიებელი პირის სარჩელს თავშესაფრის მიღებაზე უარის თქმით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მსგავს გადაწყვეტილებას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი ზემოქმედება განმცხადებლის ისეთ პირად უფლებებზე, როგორცაა ოჯახური ცხოვრების პატივისცემა, *Panjeheighalehei v. Denmark* (dec.)). ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით მე-6 მუხლი არ

მოქმედებს მაშინ, როდესაც საქმე ეხება შენგენის საინფორმაციო სისტემაში უცხოელის შეყვანას (*Dalea v. France* (dec.)). მე-6 მუხლის მიზნებისათვის პასპორტის ფლობისა და მოქალაქეობის უფლება არ განიხილება სამოქალაქო უფლებებად (*Smirnov v. Russia* (dec.)). თუმცა, უცხოელი მოქალაქის მოთხოვნა უცხო ქვეყანაში მუშაობის ნებართვის მინიჭების თაობაზე შესაძლოა მოექცეს მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებში, როგორც დასაქმებულის ასევე დამსაქმებლის ინტერესების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, დასაქმებულს არ გააჩნია სასამართლოსთვის მართვის *locus standi*, თუ სამუშაო ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმა განმცხადებლისთვის მხოლოდ პროცესუალურ დაბრკოლებას წარმოადგენს და გავლენას არ ახდენს მისი უფლების არსებით ასპექტზე (*Jurisc and Collegium Mehrerau v. Austria*, §§ 54-62).

240. საქმის *Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC] მიხედვით, საჯარო მოხელეებთან დაკავშირებული დავები არ ექცევა მე-6 მუხლის ფარგლებში, როდესაც ხდება დადგენილი ორი კრიტერიუმის დაკმაყოფილება (იხ. § 234). ეს არის ჯარისკაცის დისციპლინური მიზეზით გათავისუფლების შემთხვევა, როდესაც მას არ შეუძლია გადაწყვეტილების ტრიბუნალებში გასაჩივრება, ვინაიდან განსაკუთრებული კავშირი მოსარჩელესა და სახელმწიფოს შორის გახდა სადავო (*Suküt v. Turkey* (dec.)). იგივე მიდგომა ვრცელდება დავაზე, რომელიც ეხება მოსამართლის გადადგომის შემდგომ მის სამსახურში რეინტეგრაციას (*Apay v. Turkey* (dec.)).

241. და ბოლოს, პოლიტიკური უფლებები, როგორებიცაა არჩევნებში კანდიდატურის წამოყენებისა და თანამდებობის შენარჩუნების უფლება (საარჩევნო დავა: იხილეთ *Pierre-Bloch v. France*, §50), პენსიის მიღების უფლება პარლამენტის ყოფილი წევრისათვის (*Papon v. France* (dec.)), ან პოლიტიკური პარტიის უფლება განახორციელოს პოლიტიკური აქტივობები (პარტიის დაშლის შესახებ, იხილეთ საქმე *Refah Partisi (The Welfare Party) and Others v. Turkey* (dec.)) ვერ განიხილება სამოქალაქო უფლებებად კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით. ანალოგიურად, საქმისწარმოება, როდესაც საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვებელ არასამთავრობო ორგანიზაციას არ მიენიჭა დაშვება იმ დოკუმენტაციაზე, რომელიც არ მოიცავდა ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ, მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის ფარგლებში ვერ მოექცა (*Geraguyn Khorhurd Patgamavorakan Akumb v. Armenia* (dec.)).

გარდა ამისა, სასამართლომ ახლახანს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სასამართლოს საჯარო სხდომაზე დაფიქსირებული საკითხების გაშუქების უფლება არ წარმოადგენს სამოქალაქო უფლებას (*Mackay and BBC Scotland v. the United Kingdom*, §§ 20-22).

**თ) მე-6 მუხლის გამოყენება საქმისწარმოების დროს (გარდა ძირითადი საქმისწარმოებისა)**

242. საქმისწარმოების პირველადი ეტაპი, რომელიც ეხება დროებითი ღონისძიების დაკისრებას, როგორცაა სასამართლოს ამკრძალავი ხასიათის მითითება, ჩვეულებრივ არ მიიჩნეოდა, როგორც სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების “განმსაზღვრელი” და შესაბამისად არ სარგებლობდა მე-6 მუხლის დაცვით (იხილეთ, მათ შორის: *Verlagsgruppe News GmbH v. Austria* (dec.), და *Libert v. Belgium* (dec.)). თუმცა, სასამართლო გადაუხვია არსებულ პრაქტიკას და შეიმუშავა ახალი მიდგომა. საქმეში,

*Micallef v. Malta* [GC], §§ 83-86, სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლის გამოყენება დროებით ღონისძიებებთან მიმართებით დამოკიდებულია გარკვეული პირობების შესრულებაზე. პირველ რიგში, განსახილველი უფლება, ორივე სახის - ძირითადი და ამკრძალავი - საქმისწარმოების დროს უნდა იყოს “სამოქალაქო” ხასიათის, კონვენციით დადგენილი მნიშვნელობის შესაბამისად. მეორე მხრივ, დროებითი ღონისძიების ბუნება, საგანი და მიზანი, ისევე როგორც მისი ზემოქმედება განსახილველ უფლებაზე, უნდა იქნეს ზედმიწევნით შესწავლილი. თუკი დროებითი ღონისძიება, მიუხედავად მისი ხანგრძლივობისა, ეფექტურად განსაზღვრავს სამოქალაქო უფლებასა თუ მოვალეობას, შესაძლებელი იქნება მე-6 მუხლის გამოყენება.

მე-6 მუხლის გამოყენება ასევე შესაძლებელია დროებითი საქმისწარმოების დროს, რომელიც ემსახურება იგივე მიზანს, რასაც მიმდინარე ძირითადი საქმისწარმოება, როდესაც სასამართლოს დროებითი, ამკრძალავი ხასიათის მითითება დაუყოვნებლივ განხორციელებადია და მას მოჰყვება გადაწყვეტილება იმავე უფლების შესახებ (*RTBF v. Belgium*, §§64-65).

243. რაც შეეხება მიმდევრობით სისხლისა და სამოქალაქო სამართალწარმოებას, თუ სახელმწიფოს შიდა სამართალი ითვალისწინებს ორი ეტაპისგან შემდგარ სამართალწარმოებას – პირველი ეტაპი, სადაც სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე, ხოლო მეორე ეტაპი, სადაც ის განსაზღვრავს მის ოდენობას – კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნებიდან გამომდინარე, გონივრული იქნება, თუ სამოქალაქო უფლება არ მიიჩნევა განსაზღვრულად, მანამდე, სანამ არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება თანხის ზუსტი ოდენობის დადგენის შესახებ: უფლების განსაზღვრას მოსდევს არა მხოლოდ გადაწყვეტილება უფლების არსებობის შესახებ, არამედ მისი გამოყენების ფარგლების შესახებ, რაც, რა თქმა უნდა, მოიცავს ზიანის შეფასებას (*Torri v. Italy*, §19).

244. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან მიმართებით, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი ვრცელდება საქმისწარმოების ყველა ეტაპზე, რომელზეც ხდება “სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ..... განსაზღვრა” საქმის არსებითი მხარის შესახებ გადაწყვეტილების მომდევნო ეტაპების ჩათვლით. მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნებისათვის, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება განხილული უნდა იქნას როგორც “სასამართლო სხდომის” განუყოფელი ნაწილი (*Hornsby v. Greece*, § 40, და *Romańczyk v. France*, § 53, საქმე ეხება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, რომელიც იძლევა უფლებას დაიფაროს გადაუხდელი სარჩოს დავალიანება). იმის მიუხედავად, გამოიყენება თუ არა მე-6 მუხლი თავდაპირველ საქმისწარმოებასთან მიმართებით, აღსრულების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო უფლებებს, არ არის აუცილებელი გამომდინარეობდეს საქმისწარმოებიდან, რომელიც ითვალისწინებს მე-6 მუხლის გამოყენებას (*Buj v. Croatia*, §19). უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოცემული კონფისკაციის ბრძანების ეგზეკუტურა ექცევა მე-6 მუხლის ფარგლებში, მხოლოდ მისი სამოქალაქო ასპექტის კუთხით (*Saccoccia v. Austria* (dec.)).

245. იმ შემთხვევებში, როდესაც განაცხადები უკავშირდება საქმისწარმოების განახლებას, მე-6 მუხლი არ გამოიყენება იმ საქმისწარმოებასთან მიმართებით, რომელიც შეეხება საბოლოო გადაწყვეტილებით შეწყვეტილი სამოქალაქო საქმის განახლებას (*Sablon v.*

*Belgium*, §86). აღნიშნული აგრეთვე ვრცელდება საქმისწარმოების განახლებაზე, მას შემდეგ, რაც სასამართლო კონვენციის დარღვევას დაადგენს (*Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland (no. 2)* [GC], § 24). თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაში არსებული საქმისწარმოების განახლების პროცედურა სამოქალაქო მოთხოვნების დაკმაყოფილების ერთადერთი საშუალებაა და მისი შედეგი გადამწყვეტია განმცხადებლის “სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობებისათვის” (*Melis v. Greece*, §§19-20).

## 2. “სისხლისსამართლებრივი ბრალდების” ცნება

### მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი - საქმის სამართლიანი განხილვის უფლება

“1. ყოველი ადამიანი ... მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ატყუვრილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი თამოუხიობილი და მიუარძობილი სასამართლოს მიერ. ...”

#### ა) ზოგადი პრინციპები

246. “სისხლისსამართლებრივი ბრალდების” ცნებას აქვს “ავტონომიური” მნიშვნელობა, რომელიც დამოუკიდებელია წევრი სახელმწიფოების ეროვნული სამართლებრივი სისტემების მიერ გამოყენებული კლასიფიკაციისგან (*Adolf v. Austria*, §30).

247. “ბრალდების” ცნება უნდა განიმარტოს კონვენციის შესაბამისად. ამგვარად, იგი შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც “უფლებამოსილი ორგანოს მიერ პირისათვის გაცემული ოფიციალური შეტყობინება, რომ მან სავარაუდოდ ჩაიდინა სისხლისსამართლებრივი დანაშაული”, განმარტება, რომელიც შესაბამისობაშია ტესტთან, ჰქონდა თუ არა ადგილი “არსებით ზეგავლენას [ექვემიტანილის] მდგომარეობაზე” (მაგალითისათვის იხ. *Deweert v. Belgium*, §§42 და 46, და *Eckle v. Germany*, §73). ამრიგად, საგზაო შემოწმებისას, პირის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა, როდესაც მას არ განემარტა დაკითხვის მიზეზი ან მის წინააღმდეგ არსებული ეჭვის ბუნება და მისი გამომწვევი მიზეზი, ან ის, რომ შესაძლო იყო მის მიერ გაკეთებული განცხადებების მის საწინააღმდეგოდ გამოყენება, “არსებითი ზეგავლენა მოახდინა” მის მდგომარეობაზე, თუმცა მას ფორმალურად ბრალი არ ედებოდა სისხლისსამართლებრივ დარღვევაში (*Aleksandr Zaichenko v. Russia*, §43). სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ პიროვნება, რომელიც პოლიციას ჰყავდა დაკავებული და რომელსაც მოსთხოვეს ფიცის დადება მანამდე, სანამ დაკითხავდნენ, როგორც მოწმეს, უკვე წარმოადგენდა “სისხლისსამართლებრივი დარღვევის” სუბიექტს და მას ჰქონდა დუმილის უფლება (*Brusco v. France*, §§46-50).

248. რაც შეეხება ავტონომიურ ცნებას “სისხლისსამართლებრივი”, კონვენცია არ მოდის წინააღმდეგობაში ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ “დეკრიმინალიზაციის” მიმართულებით განხორციელებულ ქმედებებთან. თუმცა, დეკრიმინალიზაციის შედეგად “მარეგულირებლად” კლასიფიცირებული დარღვევები შესაძლოა მოექცეს “სისხლისსამართლებრივი დარღვევის” ავტონომიური ცნების ქვეშ.

სახელმწიფოებისათვის ამგვარი სამართალდარღვევების გამორიცხვის დისკრეციის მიცემამ შეიძლება გამოიწვიოს შედეგები, რომლებიც წინააღდეგობაში მოვა კონვენციის საგანსა და მიზანთან (*Öztürk v. Germany*, § 49).

249. ათვლის წერტილი იმის შესაფასებლად, თუ როდის გამოიყენება კონვენციის მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ასპექტი, ეყრდნობა კრიტერიუმებს, რომლებიც საზღვასმულია საქმეში *Engel and Others v. the Netherlands* (§§ 82-83): (1) კლასიფიკაცია შიდასახელმწიფოებრივ სამართალში; (2) დარღვევის ხასიათი; (3) იმ სასჯელის სიმკაცრე, რომელიც შეიძლება დაეკისროს პირს.

250. პირველი კრიტერიუმი არის ფარდობითი მნიშვნელობის და გამოიყენება მხოლოდ, როგორც ათვლის წერტილი. თუ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში სამართალდარღვევას სისხლისსამართლებრივი კლასიფიკაცია გააჩნია, მაშინ აღნიშნულ ფაქტს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გვერდს აუვლის ეროვნულ კლასიფიკაციას და განიხილავს მოცემულ დარღვევასთან დაკავშირებული პროცედურის არსებით რეალურ მგომარეობას.

251. მეორე კრიტერიუმის შეფასებისას, რომელსაც მეტი მნიშვნელობა ენიჭება (*Jussila v. Finland* [GC], § 38), გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები:

- არის თუ არა მოცემული სამართლებრივი ნორმა მიმართული მხოლოდ ცალკეული ჯგუფისკენ ან თუ მას ზოგადად სავალდებულო ხასიათი გააჩნია (*Bendenoun v. France*, § 47);
- არის თუ არა საქმისწარმოება ინიცირებული სახელმწიფო უწყების მიერ, რომელიც კანონითაა უფლებამოსილი აღსრულებაზე (*Benham v. the United Kingdom* [GC], § 56);
- აქვს თუ არა სამართლებრივ ნორმას სადამსჯელო ან შემაკავებელი მიზანი (*Öztürk v. Germany*, § 53, and *Bendenoun v. France*, § 47);
- არის თუ არა სასჯელის დაკისრება დამოკიდებული ბრალის დადგენაზე (*Benham v. the United Kingdom* [GC], § 56);
- როგორ კლასიფიცირდება მსგავსი პროცედურები ევროპის საბჭოს სხვა წევრ-სახელმწიფოებში (*Öztürk v. Germany*, § 53);
- ის ფაქტი, რომ სამართალდარღვევა არ იწვევს ნასამართლობას, შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი, თუმცა არა გადამწყვეტი, ვინაიდან აღნიშნული ჩვეულებრივ გამომდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი კლასიფიკაციიდან (*Ravnsborg v. Sweden*, §38).

252. მესამე კრიტერიუმი განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ, შესაძლო მაქსიმალურ სასჯელზე მითითებით (*Campbell and Fell v. the United Kingdom*, § 72 და *Demicoli v. Malta*, § 34).

253. საქმეში, *Engel and Others v. the Netherlands*, მოცემული მეორე და მესამე კრიტერიუმები ალტერნატიულია და არა კუმულაციური; იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნას მე-6 მუხლი, საკმარისია, მოცემულ სამართალდარღვევას, კონვენციის კონტექსტში, გააჩნდეს სისხლისსამართლებრივი ხასიათი, ან სამართალდარღვევა, რომლის ჩადენისთვისაც პირს დაეკისრა სანქცია, თავისი ხასიათითა და სიმკაცრის ხარისხით, ზოგადად მიეკუთვნებოდეს “სისხლისსამართლებრივ” სფეროს (*Öztürk v. Germany*, § 54, and *Lutz v. Germany*, § 55). თუმცა, კუმულაციური

**მიდგომა**, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული კრიტერიუმების ანალიზი არ იძლევა საშუალებას მიღწეულ იქნას ნათელი დასკვნა სისხლისსამართლებრივი ბრალდების შესახებ (*Bendenoun v. France*, §47).

254. მე-6 მუხლის სამ პარაგრაფში მოცემული ტერმინები “სისხლისსამართლებრივი ბრალდება” და “სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალდებული” გამოიყენება იდენტურ შემთხვევებთან მიმართებით. შესაბამისად, მე-6 მუხლის გამოყენებისათვის არსებული კრიტერიუმი ერთი და იგივე იქნება სამივე პარაგრაფისათვის.

## ბ) ძირითადი პრინციპების გამოყენება

### დისციპლინური საქმისწარმოება

255. სამხედრო დისციპლინის წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევები, რომელთა ჩადენას მოჰყვება რამოდენიმე თვიანი დისციპლინური სასჯელი, ექცევა კონვენციის მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ნაწილის ფარგლებში (*Engel and Others v. the Netherlands*, § 85). ამის საპირისპიროდ, მკაცრი სასჯელი ორი დღით, მიხნეულ იქნა, როგორც ძალიან ხანმოკლე, იმისათვის, რომ მიეკუთვნებდეს “სისხლის სამართლის” სფეროს (*Engel and Others v. the Netherlands*, § 85).

256. კონვენციის მე-6 მუხლი დანამდვილებით გამოიყენება სამხედრო სასამართლოების სამართალწარმოების დროს (*Findlay v. the United Kingdom*, § 69).

257. პროფესიული ხასიათის დისციპლინურ საქმისწარმოებასთან მიმართებით, საკითხი ღიად რჩება, ვინაიდან სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ განეხილა ეს საკითხი და დაასკვნა, რომ აღნიშნული საქმისწარმოება ექცეოდა სამოქალაქო სამართლის ნაწილის ქვეშ (*Albert and Le Compte v. Belgium*, §30). დისციპლინური საქმისწარმოების შემთხვევაში, რომელიც უკავშირდება საჯარო მოხელის სავალდებულო პენსიაზე გასვლას, სასამართლომ დაადგინა, რომ ამგვარ სამართალწარმოებას მე-6 მუხლის შესაბამისად არ გააჩნდა “სისხლისსამართლებრივი” ხასიათი, რამეთუ სახელმწიფოს უფლებამოსილმა პირებმა მოახერხეს გადაწყვეტილება მოექციათ ადმინისტრაციულ სფეროში (*Moulet v. France* (dec.)).

258. როდესაც საქმე ეხება “სათანადო ნებართვას” ციხის კონტექსტისა და მასში არსებული სპეციალური დისციპლინური რეჟიმის გათვალისწინებით, მე-6 მუხლი შეიძლება გამოყენებულ იქნას ციხეში არსებული დისციპლინის წინააღმდეგ მიმართულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, ბრალდების ხასიათისა და სასჯელის ბუნებისა და სიმკაცრის გათვალისწინებით (როგორც ეს მოხდა, საქმეში, *Ezeh and Connors v. the United Kingdom* [GC], § 82, რომელიც ეხებოდა ბრალდებას პრობაციის ოფიცრის მკვლელობის მუქარისა და სასჯელადსრულების დაწესებულების ოფიცერზე თავდასხმისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა ორმოცდაშვიდდღიანი დამატებითი პატიმრობა; ამის საპირისპიროდ, საქმეში, *Štitić v. Croatia*, §§ 51-63, მე-6 მუხლი არ იქნა გამოყენებული დისციპლინურ სამართალწარმოებასთან მიმართებით, რომელსაც შედეგად მოჰყვა განმცხადებლის შეიღდღიანი პატიმრობა სამარტოო საკანში და სამი თვის

განმავლობაში ციხის ტერიტორიაზე გადაადგილების შეზღუდვა, დაკისრებული სასჯელის ვადის გაზრდის გარეშე).

259. მიუხედავად ამისა, სასჯელადსრულების სისტემასთან დაკავშირებული საქმისწარმოება, როგორც ასეთი, არ რეგულირდება მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ნაწილით. შესაბამისად, პატიმრის განთავსება მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ არსებულ განყოფილებაში, არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ ბრალდებას; სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, ამგვარი ზომებისა და თანმხლები შეზღუდვების გასაჩივრების მიზნით, განხილულ უნდა იყოს მე-6 მუხლის, 1-ლი პარაგრაფის სამოქალაქო ნაწილის ქვეშ (*Enea v. Italy* [GC], § 98).

260. სამართალწარმოების დროს წესრიგის დარღვევის გამო სასამართლოს მიერ მიღებული ზომები (**სასამართლოს უპატივცემულობა**) არ ექცევა მე-6 მუხლის ფარგლებში, ვინაიდან აღნიშნული დისციპლინური უფლებამოსილების განხორციელების მსგავსია (*Ravnsborg v. Sweden*, § 34, და *Putz v. Austria*, §§33-37). თუმცა, სასჯელის ხასიათისა და სიმკაცრიდან გამომდინარე, შეიძლება მე-6 მუხლი იქნას გამოყენებული სასამართლოს უპატივცემულობისათვის ბრალდებისას, თუ ეს უკანასკნელი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით კლასიფიცირდება, როგორც სისხლისსამართლებრივი დარღვევა (საქმე, *Kyprianou v. Cyprus* [GC], §§ 61-64 ეხებოდა სასჯელს, რომელიც ხუთდღიან პატიმრობას ითვალისწინებდა) ან მარეგულირებელი სამართალდარღვევა (საქმე, *Zaicevs v. Latvia*, §§ 31-36, რომელიც ეხება სამდღიან ადმინისტრაციული პატიმრობას).

261. რაც შეეხება **სასამართლო გამოძიების კონფიდენციალურობის დარღვევას**, უნდა დადგინდეს სხვაობა, ერთის მხრივ, იმ პირთა მიმართ, რომლებიც სხვა დანარჩენებზე მეტად არიან ვალდებულნი დაიცვან გამოძიების კონფიდენციალურობა, როგორებიც არიან მოსამართლეები, ადვოკატები და სასამართლოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა პირი, და მეორეს მხრივ, იმ მხარეების მიმართ, რომლებიც არ შედიან სასამართლო სისტემის დისციპლინურ სფეროში (*Weber v. Switzerland*, §§ 33-34).

262. **პარლამენტის უპატივცემულობის** შემთხვევაში სასამართლო განასხვავებს, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილებას დაარეგულიროს საკუთარი საქმისწარმოება, რომელიც ეხება მისი წევრების პრივილეგიების წინააღმდეგ ჩადენილ დარღვევებს და მეორე მხრივ, გაფართოებულ იურისდიქციას დასაჯოს პირები, რომლებიც არ არიან მისი წევრები პარლამენტის მიღმა ჩადენილი ქმედებებისათვის. პირველი შემთხვევა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დისციპლინური ხასიათის მქონე, როდესაც სასამართლო მეორე შემთხვევას განიხილავს, როგორც სისხლისსამართლებრივ მოვლენას, ზოგადი გამოყენებისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრის გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება დაეკისროს პირს (სამოც დღემდე პატიმრობა და ჯარიმა საქმეში, *Demicoli v. Malta*, §32).

### **საქმისწარმოება ადმინისტრაციული, საგადასახადო, საბაჟო და კონკურენციის სამართლის სფეროში**

263. შემდეგი ადმინისტრაციული დარღვევები ექცევა მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ნაწილის ფარგლებში:

- საგზაო ხასიათის სამართალდარღვევები, რომლებიც ისჯება ფინანსური სანქციებითა და ავტომანქანის მართვის შეზღუდვების ისეთი ფორმებით,

როგორცაა ჯარიმა ან დისკვალიფიკაცია (*Lutz v. Germany*, § 182; *Schmautzer v. Austria*; და *Malige v. France*);

- საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევები (*Lauko v. Slovakia*);

- სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობის წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევები (საქმიანობის დაფარვა, მიუხედავად დაკისრებული ჯარიმის სიმცირისა, *Hüseyin Turan v. Turkey*, §§ 18-21).

264. ამის საპირისპიროდ, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ მე-6 მუხლი უნდა იქნას გამოყენებული ისეთი გამაფრთხილებელი ზომების მიღებისას, როგორცაა მართვის მოწმობის დაუყოვნებლივი ჩამორთმევა (*Escoubet v. Belgium* [GC]).

265. მე-6 მუხლი გამოიყენება **საგადასახადო და საურავის დაკისრების შესახებ საქმისწარმოებისას**, შემდეგ ელემენტებზე დაყრდნობით: (1) კანონმდებლობა, რომელიც აწესებს ჯარიმებს, ეხება ყველა მოქალაქეს, ვინც გადასახადს იხდის; (2) საურავის დაკისრება არ ისახავდა მიზნად ფულად კომპენსაციას, არამედ წარმოადგენდა სასჯელს განმეორებითი სამართალდარღვევის აღსაკვეთად; (3) მისი დაკისრება მოხდა ზოგადი ნორმიდან გამომდინარე, როგორც შემთხვევითი, ისე სადამსჯელო მიზნებისათვის; და (4) საურავს გააჩნდა რეალური საფუძველი (*Bendenoun v. France*). დარღვევის სისხლისსამართლებრივი ხასიათი შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს მე-6 მუხლის გამოსაყენებლად, მიუხედავად საგადასახადო საურავის სიმცირისა (ხელმეორედ შეფასებული საგადასახადო დავალიანების 10%, *Jussila v. Finland* [GC], §38).

266. თუმცა, მე-6 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება, არც “წმინდა” საგადასახადო შეფასებასთან დაკავშირებულ საქმისწარმოებაზე და არც ვადაგადაცილებული გადასახადის პროცენტთან დაკავშირებულ საქმისწარმოებაზე, ვინაიდან აღნიშნული ღონისძიებები არსებითად მიმართულია საგადასახადო უწყებებისათვის მიყენებული ზიანის ფულადი კომპენსაციისაკენ და არა სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის აღსაკვეთად (*Mieg de Boofzheim v. France* (dec.)).

267. მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ნაწილი გამოიყენება **საბაჟო და (*Salabiaku v. France*) კონკურენციის სამართალსა (*Société Stenuit v. France*)** და სასამართლოს მიერ **ფინანსურ საქმეებთან** დაკავშირებით დაკისრებულ ჯარიმებთან (*Guisset v. France*) მიმართებით.

### პოლიტიკური საკითხები

268. **საარჩევნო სანქციები**, როგორცაა დისკვალიფიკაცია კანდიდატურის დაყენებაზე და სახელმწიფო ხაზინაში იმ თანხის შეტანის ვალდებულება, რომელიც უტოლდება ზედმეტ საარჩევნო დანახარჯებს, არ რეგულირდება მე-6 მუხლით (*Pierre-Bloch v. France*, §§ 53-60).

269. **პოლიტიკური პარტიების დაშლასთან დაკავშირებული სამართალწარმოება** შეეხება პოლიტიკურ უფლებებს და შესაბამისად არ ექცევა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის ფარგლებში (*Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey*\* (dec.)).

270. მე-6 მუხლი არ გამოიყენება **პარლამენტის მიერ შექმნილ საგამოძიებლო კომისიებთან** მიმართებით, ვინაიდან აღნიშნული ორგანოები იძიებენ საზოგადო და საჯარო ინტერესების შემცველ შემთხვევებს (*Montera v. Italy* (dec.)).

271. **ლუსტრაციის შესახებ საქმისწარმოებასთან** დაკავშირებით, სასამართლომ ახლახანს დაადგინა, რომ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ასპექტების დომინირებამ (სამართალდარღვევის ხასიათი – ყალბი დეკლარაცია ლუსტრაციის შესახებ – და სასჯელის ხასიათი და სიმკაცრე – ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცალკეული საქმიანობების აკრძალვა) შესაძლოა აღნიშნული საქმისწარმოება მოაქციოს კონვენციის მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ნაწილის ფარგლებში (*Matyjek v. Poland* (dec.); ამის საპირისპიროდ, იხილეთ *Sidabras and Džiautas v. Lithuania* (dec.)).

272. მე-6 მუხლი არ გამოიყენება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით, იმპიჩმენტთან დაკავშირებულ საქმისწარმოებასთან მიმართებით, სახელმწიფოს პრეზიდენტის წინააღმდეგ კონსტიტუციის განსაკუთრებით მძიმე დარღვევისათვის (*Paksas v. Lithuania* [GC], §§ 66-67).

### გაბევა და ექსტრადიცია

273. უცხოელთა გაბევის პროცედურები არ ექცევა მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ნაწილის ფარგლებში, იმის მიუხედავად, რომ ისინი შეიძლება განიხილებოდეს სისხლისსამართლებრივ კონტექსტში (*Maaouia v. France* [GC], §39). მსგავსი განსაკუთრებული მიდგომა ვრცელდება **საექსტრადიციო საქმისწარმოებასა** (*Peñafiel Salgado v. Spain* (dec.)) ან დაპატიმრების ევროპულ ორდერთან დაკავშირებულ საქმიანობასთან მიმართებით (*Monedero Angora v. Spain* (dec.)).

274. ამის საპირისპიროდ, თავისუფლების აღკვეთის შეცვლა დეპორტაციით და სახელმწიფოს ტერიტორიიდან ათი წლის ვადით გაბევა, როდესაც პირს არ მიეცა შესაძლებლობა გამოეხატა საკუთარი შეხედულებები და არანაირი გარემოებები არ იყო გათვალისწინებული, გარდა სისხლის სამართლის ახალი ნორმის კვაზი-ავტომატური გამოყენებისა, უნდა განიხილებოდეს, როგორც იმავე სახის სასჯელი, რომელიც პირველადი მსჯავრდების დროს დაეკისრა პირს (*Gurguchiani v. Spain*, §§ 40 და 47-48).

### სისხლისსამართლებრივი წარმოების, დამატებითი საქმისწარმოების სხვადასხვა ეტაპები და შემდგომი სამართლებრივი დაცვის საშუალებები

275. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ან დანაშაულის აღსაკვეთად მიღებულ ზომებზე არ ვრცელდება მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები (განსაკუთრებული ზედამხედველობა პოლიციის მიერ – *Raimondo v. Italy*, § 43; ან არასრულწლოვანისათვის მიცემული გაფრთხილება, მისი სკოლელი გოგონების შეურაცხყოფის გამო: *R. v. the United Kingdom* (dec.)).

276. მე-6 მუხლი გამოიყენება იძულებით მიცემული ჩვენების შემთხვევებშიც, სხვა საქმისწარმოების არარსებობის დროსაც კი, ან თუ არ მოხდა განმცხადებლის დამნაშავედ ცნობა საქმისწარმოების ძირითად ეტაპებზე (მაგალითად, ავტომატური მფლობელად დარეგისტრირებულ პიროვნებას დაეკისრა ჯარიმა, ვინაიდან მან უარი განაცხადა იმ პიროვნების პირადი მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე,

რომელიც საგზაო შემთხვევისას მართავდა მის ავტომანქანას, იმის მიუხედავად, რომ ძირითადი სამართალწარმოება არც კი ყოფილა დაწყებული – იხილეთ : *O'Halloran and Francis v. the United Kingdom* [GC], § 35).

277. მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ნაწილი, პრინციპში, არ გამოიყენება საქმისწარმოების დროს, რომელიც ეხება განაცხადებს **იურიდიული დახმარების** შესახებ (*Gutfreund v. France*, §§ 36-37).

278. **საკონფისკაციო ღონისძიებები**, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მესამე მხარის საკუთრების უფლებებზე, მათ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოების დაწყების საფრთხის არარსებობის შემთხვევაში, არ არის საკმარისი “სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრად” (საჰაერო ხომალდის ჩამორთმევა საქმეში, *Air Canada v. the United Kingdom*, § 54; ოქროს მონეტების კონფისკაცია, *AGOSI v. the United Kingdom*, §§ 65-66). თუმცა, ადმინისტრაციული გაფრთხილება და გამოცემის კონფისკაცია (რომელიც ეთნიკურ სიძულვილს აღვივებს), მათი შემაკავებელი და სადამსჯელო მიზნებისა და სასჯელის სიმკაცრის გათვალისწინებით, მიეკუთვნება სისხლისსამართლებრივ სფეროს (*Balsytė-Lideikienė v. Lithuania*, § 61).

279. რაც შეეხება **სასამართლომდე არსებულ პროცესს (მოკვლევა, გამოძიება)**, სასამართლო სისხლისსამართლებრივ წარმოებას განიხილავს, როგორც ერთ მთლიანს. ამრიგად, მე-6 მუხლის რიგი მოთხოვნები, როგორებიცაა გონივრული ვადის მოთხოვნა ან დაცვის უფლება, შესაძლოა აგრეთვე აქტუალური იყოს აღნიშნულ ეტაპზე, იმდენად, რამდენადაც მათი თავდაპირველი შეუსრულებლობა, საქმის სამართლიანი განხილვისათვის შესაძლოა სერიოზული ზიანის შემცველი აღმოჩნდეს (*Imbrioscia v. Switzerland*, § 36). თუმცა, ის, თუ რა სახით გამოიყენება დაცვის ეს გარანტიები წინასწარი გამოძიების დროს, საქმისწარმოების სპეციალურ მახასიათებლებსა და საქმის გარემოებებზეა დამოკიდებული (*John Murray v. the United Kingdom*, § 62).

280. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების მაწარმოებელი მოსამართლეები არ განსაზღვრავენ “სისხლისსამართლებრივ ბრალდებას”, მათ მიერ მიღებული ზომები პირდაპირ გავლენას ახდენენ შესაბამისი სამართალწარმოების მსვლელობასა და სამართლიანობაზე, მათ შორის თავად სასამართლოზე. შესაბამისად, მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი შესაძლოა გამოყენებულ იქნას გამოძიების მაწარმოებელი მოსამართლის მიერ გატარებული საგამოძიებო პროცედურების დროსაც, თუმცა, მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული ზოგიერთი საპროცესო გარანტია შესაძლოა არ იქნას გამოყენებული (*Vera Fernández-Huidobro v. Spain*, §§108-14).

281. რაც შეეხება საპარლამენტო იმუნიტეტის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი წარმოების შეჩერებას, იმის მიუხედავად, რომ სისხლის სამართალწარმოების დასრულებისას კონკრეტული შედეგის დადგომის ან, სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენების შემდგომ ფორმალური მსჯავრდებისა ან პირის გამართლების შემთხვევაში არ არსებობს მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლება, უდავოდ არსებობს პირის უფლება გონივრულ ვადაში მოსმენილ იქნას მისი საქმე სასამართლოს მიერ, მას შემდეგ, რაც სასამართლო წარმოება სრული მოცულობით დაიწყება. შესაბამისად, პარლამენტის წევრის შეუძლებლობა მოიხსნას თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში მოქმედი საპარლამენტო

იმუნიტეტი, სისხლის სამართალწარმოებისას თავის დაცვის მიზნით, ექცევა მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში (*Kart v. Turkey* [GC], §§ 67-70).

282. მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი გამოიყენება ნებისმიერი “სისხლისსამართლებრივი ბრალდების” განსაზღვრისათვის გამიზნული საქმისწარმოების მთლიანი პროცესის განმავლობაში, მათ შორის მსჯავრის დაკისრების დროსაც (მაგალითად საკონფისკაციო სამართალწარმოების დროს, როდესაც ეროვნულ სასამართლოებს ეძლევათ საშუალება შეაფასონ, ის ოდენობა, რომლის შესაბამისადაც უნდა გამოიციეს ბრძანება კონფისკაციის შესახებ – იხილეთ *Phillips v. the United Kingdom*, § 39). მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ნაწილი შესაძლოა, აგრეთვე, გამოყენებულ იქნას საქმისწარმოების დროსაც, რომელსაც შედეგად მოჰყვება დაგეგმარების ნებართვის გარეშე აშენებული სახლის დანგრევა, ვინაიდან დანგრევა შესაძლოა განხილულ იქნას როგორც “სასჯელი” (*Hamer v. Belgium*, § 60; მე-7 მუხლთან დაკავშირებით, იხ. სანაპირო ზოლში უკანონო მშენებლობის გამო მიწის ნაკვეთის ჩარმთმევის საქმე, *Sud Fondi Srl and Others v. Italy* (dec.)). თუმცა, მე-6 მუხლი არ გამოიყენება საქმისწარმოების დროს, რომელიც ითავლისწინებს პირველადი სასჯელის ახალი სისხლის სამართლის კოდექსის უფრო ხელსაყრელ დებულებებთან შესაბამისობის მოყვანას (*Nurmagomedov v. Russia*, § 50).

283. საქმისწარმოება დაკისრებული სასჯელის აღსრულების შესახებ, როგორცაა საქმისწარმოება ამნისტიის გამოყენების მიზნით (*Montcornet de Caumont v. France* (dec.)), საქმისწარმოება შეწყალების შესახებ (*Aldrian v. Austria* (dec.)), საქმისწარმოება მსაჯვრდებულ პირთა გადაყვანის შესახებ კონვენციის შესაბამისად (*Szabó v. Sweden* (dec.)), თუმცა ამის საპირისპირო გადაწყვეტილება, იხილეთ საქმეში *Buijen v. Germany*, §§ 40-45, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით), ან საქმისწარმოება ეგზეკუტურის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოტანილი კონფისკაციის ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებით (*Saccoccia v. Austria* (dec.)), არ ექცევა მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ნაწილის ფარგლებში.

284. მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები ვრცელდება საკასაციო საჩივრებზე (*Meftah and Others v. France* [GC], § 40) და საკონსტიტუციო სამართალწარმოებაზე (*Gast and Popp v. Germany*, §§ 65-66); აგრეთვე, იხილეთ *Caldas Ramirez de Arrellano v. Spain* (dec.)), როდესაც ამგვარი სამართალწარმოება შემდგომ მოახდენს გავლენას შესაბამის სისხლის სამართალწარმოებაზე და დამდგარი შედეგი შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს მსჯავრდებულ პირთათვის.

285. და ბოლოს, მე-6 მუხლი არ ვრცელდება საქმისწარმოებაზე საქმის განახლების შესახებ, ვინაიდან ამ მუხლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პიროვნებას, რომლის მიმართაც გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოო გახდა და რომელიც მოითხოვს მისი საქმის განახლებას, არ “ედება ბრალად სისხლისსამართლებრივი დარღვევის ჩადენა” (*Fischer v. Austria* (dec.)). მხოლოდ საქმის განახლების მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად დაწყებული ახალი საქმისწარმოება შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლებრივი ბრალდების დადგენის მიზნით განხორციელებულ სამართალწარმოებად (*Löffler v. Austria*, §§ 18-19). ამის მსგავსად, მე-6 მუხლი არ გამოიყენება ევროსასამართლოს მიერ დარღვევის დადგენის შედეგად განახლებული სისხლისსამართლებრივი წარმოების დროს (*Öcalan v. Turkey*

(dec.)). თუმცა, საკონტროლო გადასინჯვის მიზნით დაწესებული საქმისწარმოება, რომელსაც შედეგად მოჰყვება საბოლოო გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა, ექცევა მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ნაწილის ფარგლებში (*Vanyan v. Russia*, §58).

### გ) კავშირი კონვენციის ან მისი ოქმების დანარჩენ მუხლებთან

286. მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის გ) პუნქტი უშვებს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი წარმოებიდან გამომდინარე თავისუფლების აღკვეთას. აღნიშნული აშკარაა მისივე ფორმულირებიდან, რომელიც წაკითხული უნდა იქნას ა) პუნქტსა და მე-3 პარაგრაფთან ერთად, რომლებიც ქმნიან ერთ მთლიანს (*Ciulla v. Italy*, § 38). ამრიგად, “სისხლისსამართლებრივი ბრალდების” ცნება, აგრეთვე, რელევანტურია მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის ა) და გ) პუნქტებისა და მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული გარანტიების გამოყენებისათვის (მაგალითად, იხილეთ *Steel and Others v. the United Kingdom*, §49). საქმისწარმოება, რომელიც ეხება, მხოლოდ მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის სხვა პუნქტებით გათვალისწინებულ მიზეზებს, როგორცაა სულით ავადმყოფი პირის დაკავება (პუნქტი (ე)), არ ექცევა მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივ ნაწილში (*Aerts v. Belgium*, § 59).

287. მიუხედავად მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფსა და მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფს შორის არსებული მჭიდრო კავშირისა სისხლის სამართალწარმოების სფეროში, გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ აღნიშნული ორი მუხლი ემსახურება განსხვავებულ მიზნებს და შესაბამისად, მე-6 მუხლი არ აწესრიგებს მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფით გათვალისწინებულ სამართალწარმოებას დაკავების სამართლიანობის განხილვის შესახებ, რომელიც წარმოადგენს *lex specialis* მე-6 მუხლთან მიმართებით (*Reinprecht v. Austria*, §§ 36, 39, 48 და 55).

288. კონვენციის მე-7 მუხლით გათვალისწინებული “სასჯელის” ცნება, ასევე ავტონომიურ კონცეფციას წარმოადგენს (*Welch v. the United Kingdom*, § 27). სასამართლოსთვის “სასჯელის” არსებობის შეფასებისას, ათვლის წერტილია საკითხი, მოსდევდა თუ არა მისი დაკისრება “სისხლისსამართლებრივ დარღვევას”. ამასთან დაკავშირებით, გამოყენებულ უნდა იქნას საქმეში *Engel and Others* წარმოდგენილი სამი ნაწილისაგან შემდგარი ტესტი (*Brown v. the United Kingdom* (dec.)).

289. და ბოლოს, “სისხლისსამართლებრივი დარღვევისა” და “სასჯელის” ცნებები შესაძლოა, აგრეთვე, რელევანტური იყოს №7 ოქმის მე-2 და მე-4 მუხლების გამოყენების დროს (*Greco v. Romania*, § 81, და *Sergey Zolotukhin v. Russia* [GC], §§ 52-57).

### 3. “პირადი ცხოვრებისა” და “ოჯახური ცხოვრების” არსი

#### მუხლი 8 – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება

“1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.”

### ა) მე-8 მუხლის გამოყენების ფარგლები

290. იმის მიუხედავად, რომ მე-8 მუხლი მიზნად ისახავს პიროვნული ავტონომიის ოთხი სფეროს დაცვას – პირადი ცხოვრება, ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და პირადი მიმოწერა – აღნიშნული სფეროები არ არის ურთიერთგამომრიცხავი და მიღებული ზომა შესაძლოა ერთდროულად ახდენდეს გააღწივას როგორც პირად, ისე ოჯახურ ცხოვრებაზე (*Menteş and Others v. Turkey*, § 73; *Stjerna v. Finland*, § 37; *López Ostra v. Spain*, § 51; *Burghartz v. Switzerland*, § 24; და *Ploski v. Poland*, § 32).

### ბ) “პირადი ცხოვრების” სფერო

291. არ არსებობს პირადი ცხოვრების ცნების ამომწურავი განსაზღვრება (*Niemietz v. Germany*, § 29), თუმცა, აღნიშნულ ტერმინს გააჩნია ფართო მნიშვნელობა (*Peck v. the United Kingdom*, § 57, და *Pretty v. the United Kingdom*, § 61) და მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- პიროვნების ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან მორალური ხელშეუხებლობა (*X and Y v. the Netherlands*, §22), სამედიცინო მკურნალობისა და ფსიქიატრიული გამოკვლევების (*Glass v. the United Kingdom*, §§ 70-72; *Y.F. v. Turkey*, §33, იძულებითი გინეკოლოგიური შემოწმების შესახებ; *Matter v. Slovakia*, § 64; და *Worwa v. Poland*, § 80) ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის ჩათვლით (*Bensaid v. the United Kingdom*, §47); ორსული ქალების ფიზიკური ხელშეუხებლობა აბორტთან მიმართებით, (*Tysiqc v. Poland*, §§ 107 and 110, and *A, B and C v. Ireland [GC]*, §§ 244-46); ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა (*Hajduová v. Slovakia*, § 46);

- პიროვნების ფიზიკური და სოციალური იდენტობის ასპექტები (მაგალითად, ინფორმაციის მოპოვების უფლება პირის წარმომავლობისა და მშობლების ვინაობის დადგენის მიზნით: იხ. *Mikulić v. Croatia*, § 53, და *Odièvre v. France [GC]*, § 29); რაც შეეხება პირის ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამორთმევას, იხილეთ *Smirnova v. Russia*, §§ 95-97;

- პიროვნების სახელი და გვარი (*Mentzen v. Latvia (dec.)*; *Burghartz v. Switzerland*, § 24; *Guillot v. France*, §§ 21-22; *Güzel Erdagöz v. Turkey*, § 43; და *Losonci Rose and Rose v. Switzerland*, § 26);

- პირის ოჯახური მდგომარეობა, რაც წარმოადგენს მისი პიროვნული და სოციალური იდენტობის განუყოფელ ნაწილს (*Dadouch v. Malta*, § 48);

- სამართლებრივი ნორმების განსაზღვრა, რომელიც არეგულირებს მამის ურთიერთობას სავარაუდო შვილთან (მაგალითად, საქმისწარმოება, რომელიც მოიცავს დავას მამობის დადგენასთან დაკავშირებით, *Rasmussen v. Denmark*, § 33, and *Yildirim v. Austria (dec.)*);

- პირის უფლება მის გამოსახულებასა და ფოტოებზე (*Von Hannover v. Germany*, §§ 50-53; *Sciaccia v. Italy*, § 29; and *Reklos and Davourlis v. Greece*, § 40);

- პიროვნების რეპუტაცია (*Chauvy and Others v. France*, § 70; *Pfeifer v. Austria*, § 35; *Petrina v. Romania*, § 28; და *Polanco Torres and Movilla Polanco v. Spain*, § 40) და ღირსება (*A. v. Norway*, § 64);

- სქესი (*B. v. France*, §§ 43-63), აღნიშნული, აგრეთვე, მოიცავს ოპერაციის შემდგომ, ტრანსსექსუალების სამართლებრივი აღიარების უფლებას (*Christine Goodwin v. the United Kingdom* [GC], § 77);
- სექსუალური ორიენტაცია (*Dudgeon v. the United Kingdom*, § 41);
- სექსუალური ცხოვრება (*Dudgeon v. the United Kingdom*, § 41); *Laskey, Jaggard and Brown v. the United Kingdom*, § 36; და *A.D.T. v. the United Kingdom*, §§ 21-26);
- სხვა ადამიანებთან ურთიერთობისა და გარე სამყაროსთან კავშირის დამყარების უფლება (*Niemietz v. Germany*, § 29);
- სოციალური კავშირი ჩამოსახლებულ მიგრანტებსა და იმ საზოგადოებას შორის, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, არსებობისა ან სხვაგვარი “ოჯახური ცხოვრების” მიუხედავად (*Üner v. the Netherlands* [GC], § 59);
- ემოციური ურთიერთობები ერთი სქესის ორ პიროვნებას შორის (*Mata Estevez v. Spain* (dec.));
- პირადი განვითარებისა და პიროვნული დამოუკიდებლობის უფლება (*Pretty v. the United Kingdom*, §§ 61 და 67, რომელიც ეხება პიროვნების არჩევანს თავიდან აიცილოს ის, რასაც მიიჩნევს მისი ცხოვრების უღირს და სამწუხარო დასასრულად), თუმცა, აღნიშნული არ მოიცავს ყველა საზოგადოებრივ ქმედებას, რომლის განხორციელებაც პირს განზრახული აქვს სხვა ადამიანებთან ერთად (მაგალითად, გარეულ ცხოველებზე ნადირობა მეძებარი ძაღლებით (*Friend and Others v. the United Kingdom* (dec.), §§ 40-43);
- პიროვნების უფლება გადაწყვიტოს როგორ და როდის უნდა დასრულდეს მისი ცხოვრება იმის გათვალისწინებით, რომ იგი იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომ ძალუძს საკუთარი თავისუფალი ნების გამოხატვა და შესაბამისი ქცევის განხორციელება (*Haas v. Switzerland*, § 51);
- პატივისცემა პირის უფლებისა, გააკეთოს არჩევანი, გახდეს ან არ გახდეს მშობელი გენეტიკური თვალსაზრისით (*Evans v. the United Kingdom* [GC], § 71), მათ შორის უფლება შერჩეულ იქნას ის გარემოებები, რომელშიც პირს უნდა გახდეს მშობელი (*Ternovszky v. Hungary*, § 22, რომელიც ეხება სახლში მშობიარობას). თუმცა, სასამართლომ ღიად დატოვა თემა, უნდა მოწვესრიგდეს თუ არა შვილად აყვანის საკითხი მხოლოდ მე-8 მუხლით, მაშინ როდესაც სასამართლომ დაადგინა, რომ მარტოხელა პირების უფლება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მოიპოვონ შვილად აყვანის უფლება, ექცევა მე-8 მუხლის ფარგლებში (*E.B. v. France* [GC], §§ 46 და 49; ასევე, იხილეთ შვილად აყვანის ხელმისაწვდომობის პროცედურის უზრუნველყოფის შესახებ *Schwizgebel v. Switzerland*, § 73). კონვენცია არ უზრუნველყოფს უფლებას პირისათვის, რომელმაც აიყვანა ბავშვი, დაასრულოს შვილად აყვანის პროცესი (*Goția v. Romania* (dec.));
- პროფესიული ან ბიზნეს საქმიანობა (*Niemietz v. Germany*, § 29; *Halford v. the United Kingdom*, § 44; და *Özpinar v. Turkey*, § 46) და შეზღუდვები ცალკეულ პროფესიასა ან დასაქმების ხელმისაწვდომობაზე (*Sidabras and Džiautas v. Lithuania*, §§ 47-50; *Bigaeva v. Greece*, §§ 22-25);
- უშიშროების სამსახურის ან სხვა სახელმწიფო უწყების მიერ მოპოვებული და დაცული პირადი ან საჯარო სახის ფაილები ან მონაცემები (*Rotaru v. Romania* [GC], §§ 43-44; *Amann v. Switzerland* [GC], §§ 65-67; და *Leander v. Sweden*, § 48; რაც შეეხება დნმ-ის სქემებს, უჯრედების ნიმუშებსა და თითის ანაბეჭდებს, იხილეთ *S. and Marper v. the United Kingdom* [GC], §§ 68-86;

სქესობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა შესახებ ეროვნული მონაცემთა ბაზის ჩანაწერების თაობაზე, იხილეთ *Gardel v. France*, § 58);

- ინფორმაცია პიროვნების ჯანმრთელობის შესახებ (მაგალითად, ინფორმაცია აივ ინფიცირების, *Z. v. Finland*, § 71, და *C.C. v. Spain*, § 33; ან რეპროდუქციული შესაძლებლობების შესახებ, *K.H. and Others v. Slovakia*, § 44), და ინფორმაცია პიროვნების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკის შესახებ (*McGinley and Egan v. the United Kingdom*, § 97, და *Guerra and Others v. Italy*, § 60);

- ეთნიკური კუთვნილება (*S. and Marper v. the United Kingdom* [GC], § 66, და *Ciubotaru v. Moldova*, §53) და ეროვნული უმცირესობების უფლება შეინარჩუნონ საკუთარი იდენტობა და წარმართონ პირადი და ოჯახური ცხოვრება მათი ტრადიციების მიხედვით (*Chapman v. the United Kingdom* [GC], § 73);

- ინფორმაცია რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესახებ (*Folgero and Others v. Norway* [GC], § 98);

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცალკეული უფლებები: დადგენილ იქნა, რომ მე-8 მუხლი გამოიყენება, პირისადმი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, გადაიხადოს სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების გადასახადი, მიუხედავად სამხედრო სამსახურისათვის შეუსაბამოდ ცნობისა (*Glor v. Switzerland*, § 54), მაგრამ არ იგულისხმება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის უფლება, არადადგეგმის დროს მოიპოვოს წვდომა სანაპიროსა და ზღვაზე (*Botta v. Italy*, § 35).

292. პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევის ფორმები მოიცავს შემდეგს:

- ჩხრეკა და ამოღება (*McLeod v. the United Kingdom*, § 36, და *Funke v. France*, § 48);

- პიროვნების გაჩერება და ჩხრეკა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (*Gillan and Quinton v. the United Kingdom*, §§ 61-65);

- კომუნიკაციისა და სატელეფონო საუბრებისათვის თვალყურის დევნება (*Halford v. the United Kingdom*, § 44, და *Weber and Saravia v. Germany* (dec.), §§ 76-79), თუმცა არა, აუცილებლივ, საიდუმლო აგენტების გამოყენება (*Lüdi v. Switzerland*, § 40);

- საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების ვიდეო თვალთვალი, როდესაც ვიზუალური მონაცემები იწერება, ინახება და ხდება საჯაროდ ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის (*Peck v. the United Kingdom*, §§57-63);

- ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი გლობალური სისტემით პიროვნების თვალთვალი და ამ გზით მიღებული მონაცემების დამუშავება და გამოყენება (*Uzun v. Germany*, § 52);

- დამსაქმებლის მიერ თანამშრომელზე ვიდეო თვალთვალის განხორციელება (საქმე *Köpke v. Germany* (dec.), ქურდობაში ეჭვმიტანილი სუპერმარკეტის მოლარის შესახებ);

- გარემოს სასტიკი დაბინძურება, რომელიც პოტენციურად ზეგავლენას ახდენს პირთა კეთილდღეობაზე და ხელს უშლის მათ საცხოვრისის გამოყენებაში, და ამგვარად უარყოფითად მოქმედებს მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე (*López Ostra v. Spain*, § 51, და *Tătar v. Romania*, § 97). აღნიშნული აგრეთვე მოიცავს, ციხის მახლობლად არსებული ნაგავსაყრელიდან წამოსული შემაწუხებელი სუნის საკითხსაც, რომელიც აღწევდა პატიმრის საკნამდე. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მიჩნეულ იქნა როგორც

ერთადერთი “საცხოვრებელი ფართი”, რომლითაც პატიმარს შეეძლო ესარგებლა რამოდენიმე წლის მანძილზე (*Brândușe v. Romania*, §§64-67), გარემოს ხმაურით დაბინძურება (*Deés v. Hungary*, §§ 21-24, საგზაო მოძრაობიდან წარმოქმნილი ხმაურის შესახებ და *Mileva and Others v. Bulgaria*, § 97, სადაც საქმე ეხებოდა უსიამოვნებას, რომელიც განპირობებული იყო საცხოვრებელ კორპუსში განთავსებული კომპიუტერული კლუბის არსებობით);

- **ოჯახის წევრების დაკრძალვის შემთხვევები**, რომელთა მიმართ აგრეთვე გამოიყენება, მე-8 მუხლი, თუმცა ზოგჯერ სასამართლო არ განსაზღვრავს, აღნიშნული ჩარევა უკავშირდება პირადი თუ ოჯახური ცხოვრების ცნებას: სახელმწიფოს უფლებამოსილი პირების მიერ გაკეთის შემდგომ ოჯახისათვის ბავშვის გვამის გადაჭარბებულად გვიან დაბრუნება (*Pannullo and Forte v. France*, § 36); განმცხადებლის გარდაცვლილი მეუღლის ფერფლის შემცველი ყუთის გადატანაზე უარი (*Elli Poluhus Dödsbo v. Sweden*, § 24); დედის უფლება დაესწროს მკვდრადშობილი ჩვილის დაკრძალვის ცერემონიას და გადაასვენოს გვამი შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებით (*Hadri-Vionnet v. Switzerland*, § 52);

- **აბორტის აკრძალვა**, როდესაც აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს ჯანმრთელობისა და/ან კეთილდღეობის უზრუნველყოფა, თუმცა მე-8 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც აბორტის გაკეთების უფლების მინიჭება (*A, B and C v. Ireland* [GC], §§214 და 216);

- ცალკეული გარემოებების არსებობისას **თვითნებური უარი მოქალაქეობის მინიჭებაზე**, თუმცა კონკრეტული მოქალაქეობის მოპოვების უფლება, როგორც ასეთი, არ არის კონვენციით უზრუნველყოფილი (*Karashev and family v. Finland* (dec.)).

293. მაშინ როდესაც, მე-8 მუხლი უზრუნველყოფს პირთათვის იმ სფეროს არსებობას, სადაც მათ აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად მოახდინონ პიროვნული განვითარება და რეალიზაცია (*Brüggemann and Scheuten v. Germany*, § 55), აღნიშნული არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ ზომებით, რომლებიც გავლენას ახდენენ პირებზე, მათ სახლში ან კერძო შენობაში: პიროვნებასა და სხვა პირთა შორის არსებობს ურთიერთმოქმედების ზონა საზოგადოებრივ კონტექსტშიც კი, რომელიც ექცევა პირადი ცხოვრების ფარგლებში (*P.G. and J.H. v. the United Kingdom*, §§ 56 და 57).

294. ყველა ქმედება, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ფიზიკურ ან მორალურ ხელშეუხებლობაზე, არ უშლის ხელს პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების განხორციელებას. თუმცა, მოპყრობამ, რომელიც თავისი სიმწვავეთ, არ აღწევს მე-3 მუხლით დადგენილ ზღვარს, შეიძლება დაარღვიოს მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლება, როდესაც ის საკმაოდ უარყოფითად ზემოქმედებს ფიზიკურ ან მორალურ ხელშეუხებლობაზე (*Costello-Roberts v. the United Kingdom*, § 36). აგრეთვე შესაძლოა არსებობდეს ვითარება, რომლის დროსაც მე-8 მუხლს შეუძლია უზრუნველყოს დაცვა დაკავების იმ პირობებთან მიმართებით, რომლებიც თავისი სიმწვავეთ არ აღწევენ მე-3 მუხლით დადგენილ ზღვარს (*Raninen v. Finland*, § 63).

## გ) “ოჯახური ცხოვრების” სფერო

295. ოჯახური ცხოვრების ცნება წარმოადგენს ავტონომიურ კონცეფციას (*Marckx v. Belgium*, სასამართლოს განჩინება, § 31 და *Marckx v. Belgium*, კომისიის ანგარიში, § 69). შესაბამისად, “ოჯახური ცხოვრების” არსებობის საკითხი უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია პრაქტიკაში რეალურად არსებულ მჭიდრო პიროვნულ ურთიერთკავშირზე (*K. v. the United Kingdom* (dec.)). ამრიგად, სასამართლო განიხილავს *de facto* ოჯახური ურთიერთკავშირის ფაქტებს, როგორცაა განმცხადებლების თანაცხოვრება, ოჯახური ცხოვრების კანონიერი აღიარების არარსებობის შემთხვევაში (*Johnston and Others v. Ireland*, § 56). სხვა ფაქტორები, მოიცავს ურთიერთობის ხანგრძლივობას და წყვილების შემთხვევაში, არსებობდა თუ არა მათ შორის სერიოზული ურთიერთობები, რაც გამოიხატა საერთო შვილის გაჩენაში (*X, Y and Z v. the United Kingdom* [GC], § 36). თუმცა, არ არსებობს ოჯახური ცხოვრების ფარგლების ამომწურავი განსაზღვრება, სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, იგი მოიცავს შემდეგს:

### მშობლად გახდომის უფლება

296. ისევე როგორც “პირადი ცხოვრების” ცნება, “ოჯახური ცხოვრების” ცნებაც მოიცავს პირთა უფლებას, დაცული იქნას მათი გადაწყვეტილებები გახდნენ გენეტიკური მშობლები (*Dickson v. the United Kingdom* [GC], § 66). შესაბამისად, წყვილის უფლება მიმართოს სამედიცინო ჩარევას ნაყოფის ჩასახვის მიზნით, ექცევა მე-8 მუხლის ფარგლებში, როგორც პირადი და ოჯახური ცხოვრების გამოსატყულება (*S.H. and Others v. Austria*, § 60). თუმცა, ცალკე მდგარი მე-8 მუხლის დებულებები არ ახდენს არც ოჯახის შექმნისა და არც შვილად აყვანის უფლებით უზრუნველყოფას (*E.B. v. France* [GC]).

### ბავშვების შესახებ

297. რაც შეეხება ბუნებრივ კავშირს დედასა და შვილს შორის, იხილეთ *Marckx v. Belgium*, § 31, და *Kearns v. France*, § 72.

298. დაქორწინებული წყვილის ოჯახში გაჩენილი ბავშვი წარმოადგენს ამ ურთიერთობის *ipso jure* ნაწილს; რამდენადაც, ბავშვის გაჩენის მომენტიდან და ამ ფაქტიდან გამომდინარე, არსებობს კავშირი ბავშვსა და მშობლებს შორის, რომელიც საკმარისია “ოჯახური ცხოვრების” დასადგენად და რომელიც არ გაწყდება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (*Ahmut v. the Netherlands*, § 60; *Gül v. Switzerland*, § 32; *Berrehab v. the Netherlands*, § 21; და *Hokkanen v. Finland*, § 54).

299. ბიოლოგიურ მამასა და მის შვილს შორის, რომელიც ქორწინების გარეშე არის გაჩენილი, კავშირის არსებობის დასადგენად, რელევანტური ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს თანაცხოვრებას, მშობლებს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათს და მამის ინტერესს შვილის მიმართ (*Keegan v. Ireland*, §§ 42-45; *M.B. v. the United Kingdom* (dec.); *Nylund v. Finland* (dec.); *L. v. the Netherlands*, §§ 37-40; და *Shavdarov v. Bulgaria*, § 40).

300. მიუხედავად ამისა, როგორც წესი, თანაცხოვრება არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას ოჯახური ცხოვრებისათვის მშობლებსა და შვილებს შორის (*Berrehab v. the Netherlands*, § 21).

301. რაც შეეხება აყვანილ შვილებს და მათ მშვილებელ მშობლებს, იხილეთ *X v. France* (dec.); *X v. Belgium and the Netherlands* (dec.); და *Pini and Others*

v. *Romania*, §§139-40 და 143-48. კანონიერი და ნამდვილი შვილად აყვანა შესაძლოა წარმოადგენდეს “ოჯახურ ცხოვრებას” თანაცხოვრებისა ან ბავშვსა და მშვილებელ მშობლებს შორის რაიმე სახის რეალური კავშირის არარსებობის შემთხვევაშიც (*Pini and Others v. Romania*, §§143-48).

302. სასამართლომ შესაძლოა სცნოს *de facto* “ოჯახური ცხოვრების” არსებობის ფაქტი, დროებით აღმზრდელ მშობლებსა და მათთან მოთავსებულ ბავშვს შორის, ერთად გატარებული დროის, ურთიერთობის ხარისხისა და ზრდასრულის მიერ ბავშვის მიმართ ნაკისრი როლის გათვალისწინებით (*Moretti and Benedetti v. Italy*, §§ 48-52).

303. რაც შეეხება კავშირს, ბავშვსა და უახლოეს ნათესავეებს შორის, როგორებიც არიან ბებია-ბაბუა და შვილიშვილები (რამდენადაც ასეთმა ნათესავეებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ოჯახურ ცხოვრებაში), იხილეთ *Price v. the United Kingdom* (dec.) და *Bronda v. Italy*, § 51.

304. ოჯახური ცხოვრება არ წყდება, როდესაც სამზრუნველოდ ხდება ბავშვის გადაცემა (*Johansen v. Norway*, §52) ან როდესაც მშობლები განქორწინდებიან (*Mustafa and Armağan Akin v. Turkey*, § 19).

305. იმიგრაციის შესახებ საქმეებში, მშობლებსა და სრულწლოვან შვილებს შორის ოჯახური ცხოვრება არ დგინდება, თუ არ იქნება ნაჩვენები დამოკიდებულების დამატებითი ელემენტები, გარდა ჩვეულებრივი ემოციური კავშირისა (*Kwakyé-Nti and Dufie v. the Netherlands* (dec.) და *Slivenko v. Latvia [GC]*, § 97). თუმცა ამგვარი კავშირი შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას “პირადი ცხოვრების” ნაწილის ქვეშ (*Slivenko v. Latvia [GC]*, § 97). საქმეებში, რომლებიც ეხება ახალგაზრდა სრულწლოვნებს, ვისაც ჯერ კიდევ არ შეუქმნიათ საკუთარი ოჯახი, სასამართლომ დაადგინა, რომ მათი ურთიერთობა მშობლებთან და ოჯახის უახლოეს წევრებთან, ასევე, წარმოადგენს “ოჯახურ ცხოვრებას” (*Maslov v. Austria [GC]*, § 62).

## წყვილების შესახებ

306. მე-8 მუხლით გათვალისწინებული ცნება “ოჯახი” არ შემოიფარგლება მხოლოდ დაქორწინებულ პირთა ურთიერთობებით და შეიძლება მოიცავდეს სხვა *de facto* “ოჯახურ კავშირს”, სადაც მხარეები ქორწინების გარეშე ცხოვრობენ ერთად (*Johnston and Others v. Ireland*, § 56).

307. თანაცხოვრების არარსებობის დროსაც კი, შესაძლოა არსებობდეს საკმარისი კავშირი ოჯახური ცხოვრების დასადგენად (*Kroon and Others v. the Netherlands*, § 30).

308. ქორწინებები, რომლებიც არ შეესაბამებიან ეროვნულ კანონმდებლობას, არ წარმოადგენენ დაბრკოლებას “ოჯახური ცხოვრების” დასადგენად (*Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom*, § 63). წყვილი, რომელიც იმყოფება მხოლოდ რელიგიურ ქორწინებაში, რომელიც არ არის აღიარებული ეროვნული კანონმდებლობით, ექცევა მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების ფარგლებში. თუმცა მე-8 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც სახელმწიფოსათვის ვალდებულების დაკისრება, რომ სცნოს რელიგიური ქორწინება, მაგალითად, სამემკვიდრეო უფლებებსა და მემკვიდრეებისათვის გათვალისწინებულ პენსიებთან მიმართებით (*Şerife Yiğit v. Turkey [GC]*, §§ 97-98 და 102).

309. საკუთრივ ნიშნობა არ წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას (*Wakefield v. the United Kingdom* (dec.)).

310. ერთი სქესის წყვილი, რომელიც ცხოვრობს სტაბილურ ურთიერთობაში, ექცევა “ოჯახური ცხოვრების” ცნების ქვეშ, ისევე როგორც განსახვავებული სქესის წყვილი შორის არსებული ურთიერთობა (*Schalk and Kopf v. Austria*, § 92-94, და *P.B. and J.S. v. Austria*, § 30).

### სხვა ურთიერთობების შესახებ

311. “ოჯახური ცხოვრება” ასევე შეიძლება არსებობდეს დედამამიშვილებს შორის და დეიდებს/ბიძებსა და დისშვილებს/ძმისშვილებს შორის (*Moustaquim v. Belgium*, § 36, and *Mustafa and Armağan Akin v. Turkey*, § 19). თუმცა, ტრადიციული მიდგომა არის ის, რომ ახლო ნათესაური კავშირები, რომლებიც არ აკმაყოფილებს “ოჯახური ცხოვრების” კრიტერიუმებს, როგორც წესი ექცევა “პირადი ცხოვრების ფარგლებში” (*Znamenskaya v. Russia*, § 27 და მასში მითითებული წყაროები).

### მატერიალური ინტერესები

312. “ოჯახური ცხოვრება” არ მოიცავს მხოლოდ სოციალურ, მორალურ ან კულტურულ ურთიერთობებს; ის, აგრეთვე, მოიცავს, მატერიალური სახის ინტერესებს, რაც სხვა დანარჩენთან ერთად გამოხატულია, რჩენის ვალდებულებებით და იმ ვალდებულებით, რომელიც ხელშემკერულ სახელმწიფოთა უმეტესობას ასახული აქვს ეროვნულ კანონმდებლობაში ქონების გარკვეული ნაწილის მინიჭების სახით (ფრანგულად, “*réserve héréditaire*”). ამგვარად, სასამართლომ დაადგინა, რომ მემკვიდრეობის უფლება შვილებსა და მშობლებს შორის და ბებია-ბაბუებსა და შვილიშვილებს შორის, იმდენად მჭიდრო კავშირშია ოჯახურ ცხოვრებასთან, რომ ექცევა მე-8 მუხლის ფარგლებში (*Marckx v. Belgium*, § 52, ანდ *Pla and Puncernau v. Andorra*, § 26). თუმცა, მე-8 მუხლი არ მოითხოვს, რომ ბავშვი გარდაცვლილი პირის მემკვიდრედ იქნას ცნობილი სამკვიდროს მიღების მიზნით (*Haas v. the Netherlands*, § 43).

313. სასამართლომ დაადგინა, რომ ოჯახებისათვის შემწეობის გადაცემა, საშუალებას აძლევს სახელმწიფოს „საყოველთაოდ აჩვენოს თავის პატივისცემა ოჯახური ცხოვრების მიმართ“ კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად; ამგვარად, შემწეობა ექცევა ამ დებულების ფარგლებში (*Fawsie v. Greece*, § 28).

314. „ოჯახური ცხოვრების“ ცნება არ გამოიყენება, განმცხადებლის საცოლის გარდაცვალების შემდგომ, მის მიერ მესამე მხარის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების თაობაზე შეტანილი საჩივრის არსებობის დროს (*Hofmann v. Germany* (dec.)).

### 4. „საცხოვრისისა“ და „მიმოწერის“ ცნებები

#### მუხლი 8 – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება

“1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.  
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.”

### ა) მე-8 მუხლის გამოყენების ფარგლები

315. იმის მიუხედავად, რომ მე-8 მუხლი მიზნად ისახავს პიროვნული ავტონომიის ოთხი სფეროს დაცვას – პირადი ცხოვრება, ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და პირადი მიმოწერა – აღნიშნული სფეროები არ არის ურთიერთგამომრიცხავი და მიღებული ზომა შესაძლოა ერთდროულად ახდენდეს გავლენას როგორც პირად, ისე ოჯახურ ცხოვრებაზე და საცხოვრისსა ან მიმოწერაზე (*Menteş and Others v. Turkey*, § 73; *Klass and Others v. Germany*, § 41; *López Ostra v. Spain*, § 51; და *Margareta and Roger Andersson v. Sweden*, § 72).

### ბ) „საცხოვრისის“ ცნების სფერო

316. საცხოვრისი ავტონომიური კონცეფციაა. წარმოადგენს თუ არა კონკრეტული საცხოვრებელი მე-8 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებულ „საცხოვრისს“, დამოკიდებული იქნება ფაქტობრივ გარემოებებზე, განსაკუთრებით, საკმარისი და განგრძობადი კავშირების არსებობაზე გარკვეულ ადგილთან მიმართებით (*Prokopovich v. Russia*, § 36; *Gillow v. the United Kingdom*, § 46; და *McKay-Kopecka v. Poland* (dec.)). გარდა ამისა, მე-8 მუხლის ინგლისურ ვერსიაში ნახსენები ტერმინი „home“ არ უნდა განიმარტოს ვიწროდ, რამდენადაც მის ფრანგულ ექვივალენტს „domicile“ გააჩნია უფრო ფართო კონოტაცია (*Niemietz v. Germany*, § 30). აღნიშნული კონცეფცია:

- მოიცავს სხვა პირის კუთვნილი სახლის დაკავებას ყოველწლიურად, მნიშვნელოვანი პერიოდებით (*Menteş and Others v. Turkey*, § 73). მე-8 მუხლის მიზნებისათვის, საგაღდებულო არ არის, რომ განმცხადებელი წარმოადგენდეს „საცხოვრისის“ მესაკუთრეს;
- არ მოიცავს მხოლოდ კანონიერად დაფუძნებულ საცხოვრებლებს (*Buckley v. the United Kingdom*, § 54, და *Prokopovich v. Russia*, § 36);
- შესაძლოა, ამრიგად, მოიცავდეს სოციალურ საცხოვრისს, რომელიც დაკავებული აქვს განმცხადებელს, როგორც მდგმურს, იმის მიუხედავად, რომ დაკავების უფლება შეწყვეტილია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით (*McCann v. the United Kingdom*, § 46);
- არ მოიცავს მხოლოდ ტრადიციულ საცხოვრისს და გამომდინარე აქედან, შესაძლოა ვრცელდებოდეს, მაგალითად, ქარავენებსა და სხვა არა-ფიქსირებულ სადგომებზე (*Buckley v. the United Kingdom* კომისიის დასკვნა, § 64, და *Chapman v. the United Kingdom* [GC], §§71-74);
- შეიძლება, ასევე მოიცავდეს მეორე საცხოვრებელს ან აგარაკს (*Demades v. Turkey*, §§ 32-34).
- შეიძლება, მოიცავდეს საქმიანობასთან დაკავშირებულ შენობა-ნაგებობებს, იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს აშკარა განსხვავება პირის სამუშაო ადგილსა და პირად საცხოვრებელს შორის, ან საქმიან და პირად აქტივობებს შორის (*Niemietz v. Germany*, §§29-31);

- შეიძლება, ასევე, მოიცავდეს კომპანიის რეგისტრირებულ ოფისს, ფილიალებს ან საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა უძრავ ქონებას (*Société Colas Est and Others v. France*, § 41);
- არ ვრცელდება მიწის ნაკვეთზე საცხოვრისის აშენების განზრახვაზე ან კონკრეტულ ფართობზე არსებულ საძირკველზე (*Loizidou v. Turkey*, § 66);
- არ მოიცავს სამრეცხაოს, რომელიც ერთდროულად ეკუთვნის კორპუსის თანამესაკუთრებს და განკუთვნილია იშვიათი გამოყენებისთვის (*Chelu v. Romania*, § 45), მსახიობის გასახდელ ოთახს (*Hartung v. France* (dec.)) ან მიწის ფართობს, სადაც მესაკუთრეები ვარჯიშობენ ან მისდევენ სპორტს (მაგალითად, ნადირობას: იხ. *Friend and Others v. the United Kingdom* (dec.), § 45). თუმცა, თუ განმცხადებელი ითხოვს “საცხოვრისად” იყოს აღიარებული ის საკუთრება, რომელიც განმცხადებლის მიერ არასოდეს, ან თითქმის არასდროს ყოფილა დაკავებული, ან არ ყოფილა დაკავებული მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში, კავშირი საკუთრებასთან იმდენად სუსტია, რომ არ იწვევს რაიმე ან ცალკე საკითხის წარმოშობას მე-8 მუხლის ფარგლებში (იხილეთ მაგალითად, *Andreou Papi v. Turkey*, § 54). ასეთი საკუთრების მემკვიდრეობით მიღების შესაძლებლობა არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ იგი განხილულ იქნას, როგორც “საცხოვრისი” (*Demopoulos and Others v. Turkey* (dec.) [GC], §§ 136-37).

### გ) ჩარევის მაგალითები

317. შესაძლო ჩარევა საცხოვრისის პატივისცემის უფლებაში მოიცავს:
- საცხოვრისის განზრახ დანგრევას (*Selçuk and Asker v. Turkey*, § 86);
  - გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრისში დაბრუნებაზე უარის თქმას (*Cyprus v. Turkey* [GC], §§ 165-77);
  - ჩხრეკას (*Murray v. the United Kingdom*, § 88; *Chappell v. the United Kingdom*, §§ 50 და 51; და *Funke v. France*, § 48) და სხვა სახის შეღწევას საცხოვრისში პოლიციის მიერ (*Evcen v. the Netherlands* (dec.), და *Kanthak v. Germany* (dec.));
  - დაგეგმარების გადაწყვეტილებებს (*Buckley v. the United Kingdom*, § 60) და სავალდებულო-შესყიდვის ბრძანებებს (*Howard v. the United Kingdom* (dec.));
  - გარემოს პრობლემებს (*López Ostra v. Spain*, § 51; *Powell and Rayner v. the United Kingdom*, § 40; და *Deés v. Hungary*, §§ 21-24);
  - სატელეფონო მოსმენებს (*Klass and Others v. Germany*, § 41);
  - იმ პირადი ნივთების დაცვის მოვალეობის შეუსრულებლობას, რომლებიც ქმნიან საცხოვრისის ნაწილს (*Novoseletskiy v. Ukraine*).
318. ზოგიერთი სახის ღონისძიება, რომელიც საცხოვრისით სარგებლობას ეხება, განხილულ უნდა იქნას 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის ფარგლებში. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს:
- ექსპროპრიაციის სტანდარტულ შემთხვევებს (*Mehmet Salih and Abdülsamet Çakmak v. Turkey*, § 22; *Mutlu v. Turkey*, § 23);
  - იჯარის განსაზღვრულ ასპექტებს, როგორცაა ქირავნობის გადასახადის ოდენობა (*Langborger v. Sweden*, § 39).
319. ამავე ლოგიკით, ზოგიერთი ღონისძიება, რომელიც წარმოადგენს მე-8 მუხლის დარღვევას, ავტომატურად არ გულისხმობს 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევასაც (*Surugiu v. Romania*).

320. რაც შეეხება **პოზიტიურ ვალდებულებებს**, საცხოვრისის პატივისცემის მოვალეობამ შესაძლოა მოიცვას ხელისუფლების მიერ უფლების დაცვისკენ მიმართული ზომების მიღება ფიზიკური პირების ურთიერთობის სფეროშიც კი, მაგალითად, საცხოვრებელში შეღწევისა და ჩარევის პრევენცია (ზემოთ, § 59 და მასში ციტირებული წყაროები, ასევე *Novoseletskiy v. Ukraine* § 68).

#### დ) “კორესპონდენციის” ცნების ფარგლები

321. კორესპონდენციის პატივისცემის უფლება მიზნად ისახავს დაიცვას პირადი კომუნიკაციის კონფიდენციალურობა (*B.C. v. Switzerland* (dec.)). შესაბამისი განმარტების თანახმად, იგი მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- წერილები ფიზიკურ პირებს შორის, მაშინაც კი როდესაც გამგზავნი ან მიმღები პატიმარია (*Silver and Others v. the United Kingdom*, § 84, და *Mehmet Nuri Özen and Others v. Turkey*, § 41), **საბაჟოს თანამშრომელთა** მიერ ჩამორთმეული ამანათების ჩათვლით (*X v. the United Kingdom* (dec.));
- **სატელეფონო საუბრები** (*Klass and Others v. Germany*, §§ 21 და 41; *Malone v. the United Kingdom*, § 64; და *Margareta and Roger Andersson v. Sweden*, § 72), მათთან დაკავშირებული ინფორმაცია, თარიღი, ხანგრძლივობა, აკრეფილი ნომრების ჩათვლით (*P.G. and J.H. v. the United Kingdom*, § 42);
- **პეიჯერის გზავნილები** (*Taylor-Sabori v. the United Kingdom*);
- ელექტრონული კომუნიკაციის ძველი საშუალებები, როგორცაა **ტელექსი** (*Christie v. the United Kingdom* (dec.));
- ელექტრონული გზავნილები (**ელ-ფოსტა**) და ინფორმაცია, რომელიც მიღებულია ინტერნეტის პირადი გამოყენების კონტროლის შედეგად (*Copland v. the United Kingdom*, §§ 41-42);
- **კერძო რადიო** (*X and Y v. Belgium* (dec.)), მაგრამ არა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ვრცელდება საჯარო სიხშირის მეშვეობით და ხელმისაწვდომია სხვებისთვის (*B.C. v. Switzerland* (dec.));
- კორესპონდენცია, რომელიც მოპოვებულია **საქმიანი ურთიერთობების მეშვეობით**, ან საქმიანი ადგილსამყოფელიდან (*Kopp v. Switzerland*, § 50, და *Halford v. the United Kingdom*, §§ 44-46);
- იურიდიული ფირმის ჩხრეკის დროს ამოღებული **ელექტრონული მონაცემები** (*Wieser and Bicos Beteiligungen GmbH v. Austria*, § 45).

1. კორესპონდენციის შინაარსს ჩარევის საკითხის გადაწყვეტისათვის **მნიშვნელობა არ აქვს** (*A. v. France*, §§ 35-37, და *Frérot v. France*, § 54).

2. არ არსებობს **de minimis** პრინციპი, იმისათვის რომ ადგილი ჰქონდეს ჩარევას: საკმარისია ერთი წერილის გახსნაც კი (*Narinen v. Finland*, § 32).

3. დღეისთვის, კორესპონდენციასთან დაკავშირებით, სასამართლოს დადგენილი აქვს შემდეგი **პოზიტიური ვალდებულებები**:

- პირადი საუბრების საზოგადოებისათვის გამჟღავნების თავიდან აცილების ვალდებულება (*Craxi v. Italy (no. 2)*, §§ 68-76);
- პატიმრებისათვის საჭირო მასალების მიწოდების გზით, მიმწვერაში დახმარების ვალდებულება (*Cotlet v. Romania*, §§ 60-65).

#### 5. “საკუთრების” ცნება

**1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი - საკუთრების დაცვა**

“ნებისმიერ ფიზიკურ ან იურდიულ პირს აქვს უფლება მშვიდობიანად ისარგებლოს თავისი საკუთრებით. ...”

**ა) დაცული საკუთრება**

4. განმცხადებელს შეუძლია იდავოს 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საგარაუდო დარღვევაზე, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სადავო გადაწყვეტილებები უკავშირდება მის “საკუთრებას” აღნიშნული დებულების მიზნებისათვის. “საკუთრება” შესაძლოა იყოს “არსებული საკუთრება” ან აქტივები, მოთხოვნის ჩათვლით, რომელთან დაკავშირებითაც განმცხადებელს შეუძლია ამტკიცოს, რომ მას, სულ მცირე, აქვს საკუთრების უფლებით ეფექტური სარგებლობის მიღების “მართლზომიერი მოლოდინი” (*J.A. Pye (Oxford) Ltd and J.A. Pye (Oxford) Land Ltd v. the United Kingdom* [GC], § 61; *Maltzan and Others v. Germany* (dec.) [GC], § 74 (c); და *Kopecký v. Slovakia* [GC], § 35 (c)).

“მოლოდინი” “მართლზომიერია” თუ ეფუძნება კანონის დებულებას, ან ნორმატიულ აქტს, რომელიც ეხება საკუთრებასთან დაკავშირებულ ინტერესს (*Saghinadze and Others v. Georgia*, § 103).

**ბ) ავტონომიური მნიშვნელობა**

326. ცნება “საკუთრება” 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით არის ავტონომიური მნიშვნელობის, არ იზღუდება მხოლოდ ფიზიკური ნივთების მესაკუთრეობით და დამოუკიდებელია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის კლასიფიკაციისაგან. ზოგიერთი სხვა უფლება და ინტერესი, როგორცაა აქტივები, ასევე შეიძლება, ჩაითვალოს “საკუთრების უფლებად” და შესაბამისად, აღნიშნული დებულების მიზნებისათვის “საკუთრებად”. ყველა საქმეში გამორკვეული უნდა იქნას, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აქვს თუ არა განმცხადებელს უფლება არსებით ინტერესზე, რომელიც დაცულია 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით (*Depalle v. France* [GC], §62; *Anheuser-Busch Inc. v. Portugal* [GC], § 63; *Öneryıldız v. Turkey* [GC], §124; *Broniowski v. Poland* [GC], § 129; *Beyeler v. Italy* [GC], § 100; და *Iatridis v. Greece* [GC], §54).

არამატერიალური აქტივების შემთხვევაში, სასამართლო მხედველობაში იღებს, სამართლებრივმა მდგომარეობამ, როგორც ასეთმა, რამდენად წარმოქმნა ფინანსური უფლებები და ინტერესები და შესაბამისად, ჰქონდა თუ არა მას ეკონომიკური ღირებულება (*Paeffgen GmbH v. Germany* (dec.)).

**გ) არსებული ქონება**

5. 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი ვრცელდება მხოლოდ პირის არსებულ საკუთრებაზე (*Marckx v. Belgium*, § 50, და *Anheuser-Busch Inc. v. Portugal* [GC], § 64). აღნიშნული არ უზრუნველყოფს უფლებას მოიპოვო საკუთრება (*Slivenko and Others v. Latvia* (dec.) [GC], § 121, და *Kopecký v. Slovakia* [GC], § 35 (b)).

6. პირმა, რომელიც დავობს საკუთრების უფლებაზე, თავდაპირველად უნდა აჩვენოს, რომ ასეთი უფლება არსებობდა (*Pištárová v. the Czech Republic*, § 38; *Des Fours Walderode v. the Czech Republic* (dec.); და *Zhigalev v. Russia*, § 131).

7. თუ არსებობს დავა იმის შესახებ, აქვს თუ არა განმცხადებელს საკუთრებასთან დაკავშირებული ინტერესი, რომელიც ექცევა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დაცვის ფარგლებში, სასამართლოს

მოეთხოვება განსაზღვროს განმცხადებლის სამართლებრივი მდგომარეობა (*J.A. Pye (Oxford) Ltd and J.A. Pye (Oxford) Land Ltd v. the United Kingdom* [GC], § 61).

#### დ) მოთხოვნები და ვალეები

8. როდესაც მესაკუთრის ინტერესი მოთხოვნის საგანს წარმოადგენს, ის უნდა ჩაითვალოს “აქტივად” მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აქვს შესაბამისი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში. მაგალითად, თუ არსებობს ეროვნული სასამართლოების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც აღნიშნულს ადასტურებს (*Plechánov v. Poland*, § 83; *Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], § 94; *Anheuser-Busch Inc. v. Portugal* [GC], § 65; *Kopecný v. Slovakia* [GC], § 52; და *Draon v. France* [GC], § 68).

9. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოქმნილი დავალიანება, რომელიც საკმარისად განსაზღვრულია იმისათვის, რომ დაექვემდებაროს აღსრულებას, წარმოადგენს “საკუთრებას” (*Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece*, § 59, და *Burdov v. Russia*, § 40).

10. სასამართლოს პრაქტიკით, “ნამდვილი დავა” ან “შესაძლო მოთხოვნა” არ არის მიჩნეული კრიტერიუმად იმის განსაზღვრად, არის თუ არა სახეზე 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით დაცული “მართლზომიერი მოლოდინი” (*Kopecný v. Slovakia* [GC], § 52, და *Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], § 94).

11. მართლზომიერი მოლოდინის საკითხი არ დგება იმ შემთხვევაში, თუ დავა ეხება ეროვნული კანონმდებლობის სწორ ინტერპრეტაციასა და გამოყენებას და განმცხადებლის მოთხოვნა უკვე უარყოფილია ეროვნული სასამართლოების მიერ (*Anheuser-Busch Inc. v. Portugal* [GC], § 65, და *Kopecný v. Slovakia* [GC], § 50).

#### ე) საკუთრების აღდგენა

12. 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი არ შეიძლება განიმარტოს როგორც ხელშემკერველ სახელმწიფოებზე დაკისრებული ზოგადი ვალდებულება დააბრუნოს საკუთრება, რომელიც გადაეცა მათ კონვენციის რატიფიკაციამდე. 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი ასევე არ ზღუდავს ხელშემკერველი სახელმწიფოების თავისუფლებას განსაზღვრონ საკუთრების რესტიტუციის ფარგლები ან აირჩიონ ის პირობები, რომელთა საფუძველზეც ისინი დათანხმდებიან აღადგინონ ყოფილი მესაკუთრის საკუთრების უფლება.

13. კერძოდ, ხელშემკერველ სახელმწიფოებს გააჩნიათ შეფასების ფართო ზღვარი, გამორიცხონ გარკვეული კატეგორიის ყოფილი მესაკუთრეები იმ პირთა სიიდან, ვისაც ანიჭებენ ამგვარ უფლებას. როდესაც მესაკუთრეთა კატეგორიები ამგვარად არის გამორიცხული, მათი მოთხოვნები რესტიტუციასთან დაკავირებით არ წარმოადგენს “მართლზომიერი მოლოდინის” საფუძველს, რომელის დაცვასაც ახდენს 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.

14. მეორე მხრივ, როდესაც კონვენციის, მათ შორის პირველი დამატებითი ოქმის რატიფიკაციის შემდეგ, ხელშემკერველი მხარე აამოქმედებს კანონმდებლობას, რომელიც უზრუნველყოფს წინა რეჟიმის დროს ჩამორთმეული საკუთრების სრულ ან ნაწილობრივ აღდგენას, ამგვარი კანონმდებლობა შეიძლება ჩაითვალოს 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით

დაცული ახალი საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლად იმ პირებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის პირობებს. იგივე შეიძლება გავრცელდეს რესტიტუციის ან კომპენსაციის იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც დადგენილი იყო რატიფიკაციამდე მოქმედი კანონმდებლობით, თუ ეს კანონმდებლობა ძალაში დარჩა ხელშეშვრელი სახელმწიფოს მიერ 1-ლი დამატებითი ოქმის რატიფიკაციის შემდეგაც (*Maltzan and Others v. Germany* (dec.) [GC], § 74 (დ), და *Kopecký v. Slovakia* [GC], § 35 (დ)).

15. მოლოდინი იმისა, რომ აღიარებულ იქნება საკუთრების უფლება, რომლის ეფექტური განხორციელებაც შეუძლებელია, არ ითვლება “საკუთრებად” 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის გაგებით, იგივე ვრცელდება პირობით მოთხოვნაზე, რომელიც ძალას კარგავს პირობის შეუსრულებლობის შედეგად (*Malhous v. the Czech Republic* (dec.) [GC], და *Kopecký v. Slovakia* [GC], § 35 (ვ)).

16. რწმენა, რომ კანონი რომელიც ძალაში იყო ადრე, შეიცვლება განმცხადებლის სასარგებლოდ, არ შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერ მოლოდინად 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მიზნებისათვის. არსებობს განსხვავება რესტიტუციის უბრალო იმედსა, რაც არ უნდა გასაგები იყოს ამგვარი იმედის არსებობა, და მართლზომიერ მოლოდინს შორის, რომელიც ბუნებით უნდა იყოს უფრო კონკრეტული ვიდრე უბრალო იმედი და ემყარებოდეს სამართლებრივ ნორმებს ან ნორმატიულ აქტს, როგორცაა სასამართლო გადაწყვეტილება (*Gratzinger and Gratzingerova v. the Czech Republic* (dec.) [GC], § 73, და *Maltzan and Others v. Germany* (dec.) [GC], § 112).

#### ვ) მიუღებელი შემოსავალი

17. მომავალი შემოსავალი წარმოადგენს “საკუთრებას” მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი უკვე გამომუშავებულია ან სადაც აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს აღსრულებადი მოთხოვნა (*Ian Edgar (Liverpool) Ltd v. the United Kingdom* (dec.); *Wendenburg v. Germany* (dec.); *Levänen and Others v. Finland* (dec.); და *Anheuser-Busch Inc. v. Portugal* [GC], § 64).

#### ზ) პროფესიული კლიენტურა

18. 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის გამოყენება ვრცელდება პროფესიულ საქმიანობაზე და მათ კლიენტურაზე, რადგან ისინი არიან გარკვეული ღირებულების ობიექტები, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში კერძო უფლების ბუნება აქვთ, ამიტომ, 1-ლი მუხლის 1-ლი წინადადების მიზნებისათვის წარმოადგენენ აქტივებს და შესაბამისად, საკუთრებასაც (*Lederer v. Germany* (dec.); *Buzescu v. Romania*, § 81; *Wendenburg and Others v. Germany* (dec.); *Olbertz v. Germany* (dec.); *Döring v. Germany* (dec.); და *Van Marle and Others v. the Netherlands*, § 41).

#### თ) ლიცენზია საქმიანობის განხორციელებაზე

341. საქმიანობის განხორციელებაზე ლიცენზია წარმოადგენს საკუთრებას. მისი გაუქმება არის ჩარევა იმ უფლებაში, რომელიც გარანტირებულია 1-ლი დამატებითი მუხლის 1-ლი პარაგრაფით (*Megadat.com SRL v. Moldova*, §§ 62-63; *Bimer S.A. v. Moldova*, § 49; *Rosenzweig and Bonded Warehouses Ltd v. Poland*, § 49; *Capital Bank AD v. Bulgaria*, § 130; და *Tre Traktörer Aktiebolag v. Sweden*, § 53).

### ი) ინფლაცია

19. 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი არ აკისრებს სახელმწიფოებს ზოგად ვალდებულებას, შეინარჩუნონ საფინანსო დაწესებულებაში დეპონირებული თანხის მსყიდველობითი უნარი დანაზოგის სისტემატიური ინდექსაციით (*Rudzińska v. Poland* (dec.); *Gayduk and Others v. Ukraine* (dec.); და *Ryabykh v. Russia*, § 63).

აღნიშნული მუხლი არ ავალდებულებს სახელმწიფოებს შეინარჩუნონ მოთხოვნების ღირებულება ან კერძო მოთხოვნებზე გაავრცელონ ინფლაციის შესაბამისი სტანდარტული საპროცენტო განაკვეთი (*Todorov v. Bulgaria* (dec.)).

### კ) ინტელექტუალური საკუთრება

20. ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვრცელდება 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი (*Anheuser-Busch Inc. v. Portugal* [GC], § 72).

21. იგი ვრცელდება ასევე სავაჭრო ნიშნის რეგისტრაციის განაცხადზეც (*ibid.*, §78).

### ლ) კომპანიის წილი

22. კომპანიის ფინანსური ღირებულების მქონე წილი შესაძლოა განიხილებოდეს როგორც საკუთრება (*Olczak v. Poland* (dec.), § 60, და *Sovtransavto Holding v. Ukraine*, § 91).

### მ) სოციალური დაცვით მიღებული სარგებელი

23. 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მოქმედებისათვის, საფუძველს მოკლებულია განსხვავების გაკეთება თანამონაწილეობით და თანამონაწილების გარეშე მიღებულ სარგებელს შორის.

24. თუმცა, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი არ მოიცავს სოციალური დაცვის ნებისმიერი სახის ფულადი სარგებელის მიღების უფლებას, თუ ხელშემკვერელ სახელმწიფოს აქვს მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს გადახდას კეთილდღეობისათვის გაცემული სარგებლის უფლების სახით – მიუხედავად იმისა, დამოკიდებულია თუ არა ეს წინასწარ თანამონაწილეობაზე. აღნიშნული კანონმდებლობა, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, უნდა ჩაითვალოს მესაკუთრის ინტერესის წარმომშობად იმ პირებისათვის, ვინც აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს, (*Stec and Others v. the United Kingdom* (dec.) [GC], §§ 53-55; *Andrejeva v. Latvia* [GC], § 77; და *Moskal v. Poland*, § 38).

## III. დაუშვებლობა არსებითი ნაწილის საფუძველზე

### ა. აშკარად დაუსაბუთებელი

**35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი, ა) პუნქტი – დასაშვებობის წინაპირობები**

“3. სასამართლო დაუშვებლად აცხადებს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადს, თუ მიიჩნევს რომ:

ა) განაცხადი შეუსაბამოა კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების დებულებებთან, აშკარად დაუსაბუთებელია, ან სასამართლოსათვის მიმართვის უფლება არის ბოროტად გამოყენებული...“

## 1. ზოგადი შესავალი

25. მაშინაც კი, როდესაც განაცხადი შეესაბამება კონვენციას და დასაშვებობის ყველა ფორმალური წინაპირობა დაცულია, სასამართლოს მაინც შეუძლია გამოცხადოს ის დაუშვებლად იმ მიზეზებით, რომლებიც უკავშირდება არსებითი მხარის შემოწმებას. ყველაზე გავრცელებული მიზეზი არის შემთხვევა, როდესაც განაცხადი ითვლება აშკარად დაუსაბუთებლად. 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის “ა” პუნქტის ფარგლებში, ტერმინის “აშკარად გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაუგებრობა: თუ მოხდება მისი პირდაპირი მნიშვნელობით გაგება, შესაძლოა გაჩნდეს მოსაზრება, რომ განაცხადი მხოლოდ მაშინ გამოცხადდება დაუშვებლად ამ საფუძველით, თუ საშუალო მკითხველისათვის აშკარად ცხადია, რომ განაცხადი არარეალური და საფუძველს მოკლებულია. თუმცა, აშკარაა რომ კონვენციის ორგანოების (როგორცაა სასამართლო და, 1998 წლის 1 ნოემბრამდე, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია) არსებული და მდიდარი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ეს ტერმინი უფრო ფართოდ უნდა იქნას განმარტებული, საქმის საბოლოო შედეგის გათვალისწინებით. ფაქტობრივად, განაცხადი ჩაითვლება “აშკარად დაუსაბუთებლად” თუ მისი არსის წინასწარი განხილვის დროს არ გამოიკვეთება კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევა და თუ მისი დაუშვებლად ცნობა დასაწყისშივე შეიძლება, არსებითი მხარის ფორმალურად განხილვის გარეშე (რაც, როგორც წესი, დასრულდებოდა განჩინების გამოტანით).

26. ის ფაქტი, რომ სასამართლოს, განაცხადის აშკარად დაუსაბუთებლად ცნობისთვის, ზოგჯერ სჭირდება მხარეებისაგან მიმოხილვების გამოთხოვა და გადაწყვეტილების ვრცელი და დეტალური დასაბუთება, არ ცვლის განაცხადის “აშკარად” დაუსაბუთებელ ბუნებას (*Mentzen v. Latvia* (dec.)).

27. აშკარად დაუსაბუთებელი განაცხადების უმრავლესობის დაუშვებლად ცნობა ხდება *de plano* ერთი მოსამართლის ან სამი მოსამართლისაგან შემდგარი კომიტეტის მიერ (კონვენციის 27-ე და 28-3 მუხლები). თუმცა, ამ სახის ზოგიერთი განაცხადი განხილვა პალატის მიერ, ან გამონაკლის შემთხვევებში დიდი პალატის მიერაც (*Gratzinger and Gratzingerova v. the Czech Republic* (dec.) [GC], და *Demopoulos and Others v. Turkey* (dec.) [GC]).

28. ტერმინი “აშკარად დაუსაბუთებელი” შეიძლება გამოყენებულ იქნას მთელი განაცხადის ან საქმის ფართო კონტექსტის ფარგლებში კონკრეტული საჩივარის მიმართ.

შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში განაცხადის ერთი ნაწილი შეიძლება უარყოფილ იქნას, როგორც მეოთხე ინსტანციის ბუნების მქონე, ხოლო დანარჩენი გამოცხადდეს დასაშვებად და შესაძლებელია საქმე კონვენციის დარღვევის შესახებ განჩინების გამოტანითაც კი დასრულდეს. შესაბამისად, უფრო ზუსტი იქნება, რომ გამოყენებულ იქნას ტერმინი - “აშკარად დაუსაბუთებელი საჩივარი”.

352. იმისათვის, რომ განიმარტოს ცნება - “აშკარად დაუსაბუთებელი”, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ კონვენციის მთელი სისტემის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი არის **სუბსიდიარობის** პრინციპი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონტექსტში ეს ნიშნავს, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების იმპლემენტაციისა და

განხორციელების ამოცანა ეკისრებათ, პირველ რიგში, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს და შემდგომ სასამართლოს. მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც შიდასახელმწიფოებრივი სტრუქტურები არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, სასამართლოს შეუძლია რომ ჩაერიოს (*Scordino v. Italy (no. 1)* [GC], § 140).

შესაბამისად, უმჯობესია, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, საქმე გამოიძიებულ იქნას და საკითხები შემოწმდეს ევროვნულ დონეზე, რადგან შიდასახელმწიფოებრივ სტრუქტურებს, საკუთარ ქვეყნის სასიცოცხლო ძალებთან პირდაპირი და უწყვეტი კავშირის გამო, საუკეთესოდ ძალუძთ ამის გაკეთება და მათ შეუძლიათ კონვენციის სავარაუდო დარღვევების გამოსწორებაც (*Varnava and Others v. Turkey* [GC], § 164).

29. აშკარად დაუსაბუთებელი საჩივრები შესაძლოა გაიყოს ოთხ კატეგორიად: “მეოთხე ინსტანციის” საჩივრები, საჩივრები, სადაც ნათლად ან აშკარად არ იკვეთება დარღვევა, დაუსაბუთებელი საჩივრები, და ბოლოს, დამაბნეველი ან არარეალური საჩივრები.

## 2. “მეოთხე ინსტანცია”

30. საჩივრები რომლებიც ზოგადად „მეოთხე ინსტანციის” საჩივრებად მოიხსენიება სასამართლოში შეტანილი საჩივრების ერთ-ერთ კატეგორიას წარმოადგენს. აღნიშნული ტერმინი, რომელიც არ ფიგურირებს თვითონ კონვენციის ტექსტში და დამკვიდრდა კონვენციის ორგანოების პრეცედენტული სამართლით (*Kemmache v. France (no. 3)*, § 44) – პარადოქსულია, რადგან ხაზს უსვამს იმ ფუნქციას, რომელიც სტრასბურგის სასამართლოს არ გააჩნია: ის არ არის სააპელაციო სასამართლო ან სასამართლო, რომელსაც შეუძლია გააუქმოს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სასამართლოების გადაწყვეტილებები ან ხელახლა განიხილოს მათ მიერ განხილული საქმეები, მას არ შეუძლია ასევე გადასინჯოს საქმეები, როგორც უზენაესმა სასამართლომ. მეოთხე ინსტანციის განაცხადები მომდინარეობს სასამართლოს როლსა და კონვენციით დადგენილ სამართლებრივ სისტემაზე განმცხადებლების მცდარი შეხედულებიდან.

31. მისი განმასხვავებელი მახასიათებლების მიუხედავად, კონვენცია რჩება საერთაშორისო ხელშეკრულებად, რომელიც ემორჩილება იგივე წესებს, კერძოდ, საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ ვენის კონვენციით გათვალისწინებულ ნორმებს, როგორსაც სხვა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებები (*Demir and Baykara v. Turkey* [GC], § 65). სასამართლოს, შესაბამისად, არ შეუძლია გასცდეს იმ უფლებამოსილების საზღვრებს, რომელის დელეგირებაც ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა მათი სუვერენული ნების საფუძველზე მოახდინეს. აღნიშნული შეზღუდვები განსაზღვრულია კონვენციის მე-19 მუხლით, რომელიც განმარტავს, რომ:

“მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად იქმნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო...”

32. შესაბამისად, სასამართლოს უფლებამოსილება შემოფარგულულია ხელშემკვრელი სახელმწიფოების ქმედებების ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ იმ ვალდებულებებთან შესაბამისობის შემოწმებით, რომელიც მათ ეკისრებათ კონვენციითა (და მისი ოქმებით). გარდა ამისა, ხელშემკვრელი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემაში პირდაპირი ჩარევის უფლებამოსილების არარსებობის გათვალისწინებით, სასამართლომ პატივი

უნდა სცეს მათი სამართლებრივი სისტემების ავტონომიურობას. ეს ნიშნავს, რომ სასამართლოს ამოცანა არ არის განიხილოს ეროვნული სასამართლოების მიერ, ფაქტებსა ან კანონმდებლობასთან დაკავშირებით, სავარაუდოდ დაშვებული შეცდომები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ შეცდომებმა კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა გამოიწვიეს. სასამართლოს არ შეუძლია თვითონ შეაფასოს ფაქტები, რამაც განაპირობა ეროვნული სასამართლოს მიერ ერთი გადაწყვეტილების მიღება, ნაცვლად მეორისა. სხვანაირად რომ ყოფილიყო, სასამართლო იმოქმედებდა როგორც მესამე ან მეოთხე ინსტანციის სასამართლო, რითაც უგულებელყოფდა მის ქმედებებზე დაკისრებულ შეზღუდვებს (*García Ruiz v. Spain* [GC], § 28, და *Perlala v. Greece*, § 25).

33. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს, როგორც წესი, არ შეუძლია, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ეროვნული სასამართლოების მოსაზრებები და დასკვნები, რომლებიც უკავშირდება:

- საქმის გარემოებების დადგენას;
- ეროვნული სამართლის განმარტებასა და გამოყენებას;
- სასამართლო პროცესის დროს მტკიცებულებების დასაშვებობასა და შეფასებას;
- სამოქალაქო დავის შედეგის არსებით სამართლიანობას;
- სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულის ბრალს ან უდანაშაულობას.

34. ერთადერთი გარემოება, როდესაც სასამართლოს შეუძლია აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაუშვას და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ეროვნული სასამართლოს მოსაზრებები და დასკვნები, არის შემთხვევა, სადაც ეს უკანასკნელი განზრახ და აშკარად მიკერძოებულია, ისე რომ ეწინააღმდეგება სამართლიანობას და საღ აზროვნებას, და თავისთავად იწვევს კონვენციის დარღვევას (*Sisojeva and Others v. Latvia* (ამორიცხული) [GC], § 89).

35. მეოთხე ინსტანციის საჩივრები შეიძლება წარდგენილ იქნას კონვენციის ნებისმიერი ძირითადი დებულების ფარგლებში და მიუხედავად იმისა, თუ რომელ სამართლებრივ სფეროს განეკუთვნება სამართალწარმოება ეროვნულ დონეზე. მეოთხე ინსტანციის დოქტრინა გამოიყენება, მაგალითად, შემდეგ შემთხვევებში:

- სამოქალაქო საქმეებში (*García Ruiz v. Spain* [GC], § 28, და *Pla and Puncernau v. Andorra*, § 26);
- სისხლის სამართლის საქმეებში (*Perlala v. Greece*, § 25, და *Khan v. the United Kingdom*, § 34);
- საგადასახადო საქმეებში (*Dukmedjian v. France*, § 71);
- საქმეებში, რომლებიც ეხება სოციალურ საკითხებს (*Marion v. France*, § 22);
- ადმინისტრაციულ საქმეებში (*Agathos and Others v. Greece*, § 26);
- საქმეებში, რომლებიც ეხება ხმის მიცემის უფლებას (*Adamsons v. Latvia*, § 118);
- უცხოელთა ქვეყანაში შეშვების, ცხოვრების ან გაძევების შემთხვევებში (*Sisojeva and Others v. Latvia* (ამორიცხული) [GC]).

36. თუმცა, მეოთხე ინსტანციის განაცხადთა უმრავლესობა წარდგენილია, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად, სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოებისას საქმის “სამართლიანი განხილვის” უფლებასთან დაკავშირებით. გათვალისწინებული უნდა იქნას ერთი ფაქტორი,

რომელიც განმცხადებელთა მხრიდან გაუგებრობის ხშირი საფუძველია - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული “სამართლიანობა” არის არა “არსებითი” სამართლიანობა (ცნება, რომელიც ნაწილობრივ სამართლებრივი, ნაწილობრივ ეთიკურია და შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ სასამართლო პროცესის წარმართველი მოსამართლის მიერ), არამედ “პროცედურული” სამართლიანობა. აღნიშნული პრაქტიკულად გულისხმობს სამართალწარმოების შეჯიბრებითობას, როდესაც ხდება მხარეთა პოზიციების მოსმენა და მათი თანაბარი პირობებით უზრუნველყოფა სასამართლოს წინაშე (*Star Cate Epilekta Gevmata and Others v. Greece* (dec.)).

37. შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის საფუძველზე წარდგენილი მეოთხე ინსტანციის საჩივრები სასამართლოს მიერ არ მიიღება იმ საფუძველით, რომ განმცხადებელმა ისარგებლა შეჯიბრებითობის პრინციპით სამართალწარმოებისას; რომ მას ჰქონდა შესაძლებლობა, საქმისწარმოების სხვადასხვა ეტაპზე, წარედგინა არგუმენტები და მტკიცებულებები, რომელსაც იგი საქმისთვის რელევანტურად თვლიდა; რომ მას შეეძლო ეფექტურად შეკამათებოდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებას; რომ ყველა მისი არგუმენტი, რომელიც ობიექტურობიდან გამომდინარე, რელევანტური იყო საქმის გადაწყვეტისათვის, იყო სათანადოდ მოსმენილი და შემოწმებული სასამართლოების მიერ; რომ გაპროტესტებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი მიზეზები დაწვრილებით იყო ჩამოყალიბებული; და რომ, სამართალწარმოება, მთლიანობაში, იყო სამართლიანი (*García Ruiz v. Spain* [GC], და *Khan v. the United Kingdom*).

### 3. დარღვევის ნათელი და აშკარა არარსებობა

38. განმცხადებლის საჩივარი, შეიძლება გამოცხადებულ იქნას დაუშვებლად, მიუხედავად ფორმალური დასაშვებობის ყველა წინაპირობის დაკმაყოფილების, კონვენციასთან შესაბამისობისა და მეოთხე ინსტანციის საჩივრის პრობლემის არარსებობისა, თუ იგი არ ავლენს კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევას. ასეთ შემთხვევებში სასამართლოს მიდგომა გამოიხატება იმაში, რომ იგი განიხილავს საჩივრის არსებით მხარეს, დაადგენს, რომ არ იკვეთება დარღვევა და საჩივარს დაუშვებლად გამოაცხადებს, შემდგომი განხილვის გარეშე. შესაძლებელია, ერთმანეთისაგან განვასხვაოთ სამი სახის საჩივარი, რომელთაც მსგავსი მიდგომა მიესადაგება.

#### ა) სახეზე არ არის თვითნებობა ან უსამართლობა

39. სუბსიდიარობის პრინციპის თანახმად, კონვენციით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების დაცვა, პირველ რიგში, ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს. ამიტომ, როგორც წესი, საქმის ფაქტების დადგენა და ეროვნული კანონმდებლობის განმარტება არის მხოლოდ ეროვნული სასამართლოებისა და ხელისუფლების სხვა ორგანოთა ფუნქცია, რომელთა გადაწყვეტილებები და დასკვნები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სავალდებულოა სასამართლოსათვის. თუმცა, კონვენციის მთელი სისტემისათვის დამახასიათებელი უფლებათა ეფექტურობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ევროპულ სასამართლოს შეუძლია და უნდა დარწმუნდეს კიდევ, რომ განმცხადებლის მიერ სადავოდ ქცეული აქტის

მიღების პროცესი იყო სამართლიანი და არ ყოფილა თვითნებური (პროცესი, როგორც ასეთი, შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ან სასამართლო, ან ორივე, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე).

40. შესაბამისად, სასამართლომ შეიძლება აშკარად დაუსაბუთებლად გამოაცხადოს საჩივარი, რომელიც არსებითად განხილულ იქნა კომპეტენტური ეროვნული სასამართლოების მიერ იმ სამართალწარმოებისას, რომელმაც *a priori* დააკმაყოფილა შემდეგი პირობები (საპირისპიროს დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობისას):

- სამართალწარმოება წარიმართა იმ ორგანოების წინაშე, რომლებსაც ეროვნული კანონმდებლობის დებულებებით მინიჭებული ჰქონდათ ამგვარი უფლებამოსილება;
- სამართალწარმოება წარიმართა ეროვნული კანონმდებლობის პროცედურული მოთხოვნების შესაბამისად;
- დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა წარედგინა საკუთარი არგუმენტები და მტკიცებულებები, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ სათანადოდ იქნა განხილული;
- კომპეტენტურმა ორგანოებმა შეამოწმეს და გაითვალისწინეს ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი ელემენტი, რომელიც, ობიექტური შეფასებიდან გამომდინარე, რელევანტური იყო საქმის სამართლიანი გადაწყვეტისათვის;
- სამართალწარმოება დასრულდა საკმარისად დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

## ბ) პროპორციულობა მიზანსა და საშუალებას შორის

41. როდესაც კონვენციით გათვალისწინებული უფლება არ არის აბსოლიტური და მასთან მიმართებით არსებობს პირდაპირი (კონვენციით გათვალისწინებული) ან ნაგულისხმევი (სასამართლოს პრეცედენტული სამართლით განმარტებული) შეზღუდვები, სასამართლომ ჩვეულებრივ უნდა შეაფასოს თუ რამდენად იყო სადავო ჩარევა პროპორციული.

42. იმ დებულებათა ჯგუფში, რომლებიც პირდაპირ ადგენენ შეზღუდვებს, შეიძლება ოთხი ტიპის ქვეჯგუფის გამოყოფა შემდეგი მუხლების მიხედვით: მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა), მე-9 მუხლი (აზრის, რწმენისა და რელიგიის თავისუფლება), მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) და მე-11 მუხლი (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება). ყველა ამ მუხლს აქვს ერთი და იგივე სტრუქტურა: პირველი პარაგრაფი ადგენს არსებით უფლებას, მაშინ როდესაც მეორე განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს უფლების გამოყენება. მეორე პარაგრაფის ტექსტი არ არის ყველა შემთხვევაში იდენტური, მაგრამ სტრუქტურა ერთი და იგივეა. მაგალითად, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემასთან დაკავშირებით, მე-8 მუხლის მე-2 პარაგრაფი ადგენს:

“დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყესიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.”

მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი (გადაადგილების თავისუფლება), ასევე მიეკუთვნება ამ კატეგორიას, რადგან აღნიშნული მუხლის მე-3 პარაგრაფი მიჰყვება იგივე მოდელს.

43. როდესაც სასამართლოს უწევს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ერთ-ერთი ზემოაღნიშნული უფლებით სარგებლობაში განხორციელებული ჩარევის შემოწმება, იგი ყოველთვის აანალიზებს საკითხს სამ ეტაპად. იყო თუ არა “ჩარევა” სახელმწიფოს მხრიდან (და ეს განცალკავებული საკითხია, რომელიც თავდაპირველად უნდა იქნას განხილული, რადგან ყოველთვის არ არის აშკარა), სასამართლო რიგ-რიგობით ეძებს პასუხს სამ კითხვაზე:

- იყო თუ არა ჩარევა იმ “კანონის” შესაბამისი, რომელიც საკმარისად ხელმისაწვდომი და განჭვრეტადია?
- დადებითი პასუხის შემთხვევაში, ისახავდა თუ არა ეს ჩარევა, სულ მცირე, ერთ “კანონიერ მიზანს” იმ მიზანთაგან, რომელიც ამომწურავად არის ჩამოთვლილი (ჩამონათვალი იცვლება მუხლების მიხედვით)?
- არის თუ არა ეს ის შემთხვევა, როდესაც ჩარევა საჭირო იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში, რათა მიღწეულ ყოფილიყო მიზანი? სხვა სიტყვებით, იყო თუ არა პროპორციულობა მიზანსა და შეზღუდვას შორის?

44. მხოლოდ მაშინ, თუ პასუხი სამივე შეკითხვაზე დადებითია - სახეზეა ჩარევა, რომელიც შესაბამისია კონვენციასთან. საწინააღმდეგო შემთხვევაში დადგინდება დარღვევა. მესამე კითხვის განხილვისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სახელმწიფოთა შეფასების ზღვარი, ფარგლები რომელთა ცვლილებაც დამოკიდებულია საქმის გარემოებების, დაცული უფლების და ჩარევის ბუნებაზე (*Stoll v. Switzerland* [GC], § 105; *Demir and Baykara v. Turkey* [GC], § 119; *S. and Marper v. the United Kingdom* [GC], § 102; და *Mentzen v. Latvia* (dec.)).

45. იგივე პრინციპი ვრცელდება არა მხოლოდ ზემოხსენებულ მუხლებზე, არამედ, ასევე კონვენციის სხვა უმრავლეს დებულებაზე - და ნაგულისხმევ შეზღუდვებზე, რომელებიც არ არის კონკრეტულ მუხლში ჩამოყალიბებული. მაგალითად, მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული, სასამართლოსათვის მიმართვლის უფლება არ არის აბსოლიტური და შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს; ამგვარი შეზღუდვა ნებადართულია, რადგან სასამართლოსათვის მიმართვის უფლება თავისი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს მიერ რეგულირებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ფლობენ შეფასების გარკვეულ ზღვარს, თუმცა, კონვენციის მოთხოვნებზე ზედამხედველობის საბოლოო უფლებამოსილება სასამართლოს რჩება. იგი უნდა დარწმუნდეს, რომ გამოყენებული შეზღუდვები არ ბოჭავენ ან ამცირებენ ფიზიკური პირისათვის მინიჭებულ ხელმისაწვდომობას, იმგვარად ან იმ ხარისხით, რომ უფლების არსი დაზიანდეს. გარდა ამისა, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა არ იქნება კონვენციის მე-6 მუხლს 1-ლი ნაწილის შესაბამისი, თუ არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და არ არის გონივრული პროპორცია გამოყენებულ საშუალებასა და მისაღწევ მიზანს შორის (*Cudak v. Lithuania* [GC], § 55).

46. თუ წინასწარი განხილვის შემდეგ, სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი წინაპირობები დაკმაყოფილებულია და საქმის შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, სახეზე არ არის აშკარა არაპროპორციულობა სახელმწიფოს ჩარევით მისაღწევ მიზანსა და

გამოყენებულ საშუალებას შორის, ის ცნობს საჩივარს დაუშვებლად, როგორც აშკარად დაუსაბუთებელს. ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილებაში მოცემული დაუშვებლობის მიზეზები იქნება იდენტური ან მსგავსი იმ დასაბუთებისა, რომელსაც სასამართლო ასახავდა არსებით მხარეზე გამოტანილ იმ განჩინებაში, სადაც არ დადგინდა დარღვევა (*Mentzen v. Latvia* (dec.)).

**გ) არსებით მხარესთან დაკავშირებული სხვა, შედარებით ცხადი, საკითხები**

371. ზემოაღნიშნული სიტუაციების გარდა, სასამართლო ასევე აშკარად დაუსაბუთებლად მიიჩნევს საჩივარს, თუ ის დაასკვნის, რომ არსებით მხარესთან დაკავშირებული მიზეზების გამო, არ იკვეთება კონვენციის მითითებულ დებულებათა დარღვევა. არსებობს ორი სახე გარემოებებისა, როდესაც ადგილი აქვს ამგვარ შემთხვევას:

- როდესაც იდენტური ან მსგავსი შემთხვევების შესახებ არსებობს კარგად ჩამოყალიბებული და მდიდარი პრეცედენტული სამართალი, რის საფუძველზეც სასამართლოს შეუძლია დაასკვნას, რომ მოცემულ საქმეში კონვენციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია (*Galev and Others v. Bulgaria* (dec.));

- როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს წინარე გადაწყვეტილებები, რომლებიც უშუალოდ და კონკრეტულად არეგულირებს საკითხს, სასამართლოს შეუძლია, არსებული პრეცედენტული სამართლის საფუძველზე, დაასკვნას, რომ კონვენციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია (*Hartung v. France* (dec.)).

372. ორივე შემთხვევაში, სასამართლოს შესაძლოა მოუწიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და სხვა შესაბამისი ფაქტობრივი ელემენტების სრულყოფილად და სიღრმისეულად შესწავლა (*Collins and Akaziebie v. Sweden* (dec.)).

**4. დაუსაბუთებელი საჩივრები: მტკიცებულებათა ნაკლებობა**

47. სასამართლოში მიმდინარე საქმისწარმოება, თავისი ბუნებით, შეჯიბრებითია. შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებებისა (სასამართლოსათვის შესაბამისი ფაქტობრივი მტკიცებულებების მიწოდების გზით) და სამართლებრივი არგუმენტების (იმის ახსნით, თუ რატომ იქნა ან არ იქნა დარღვეული კონვენციის დებულება, რომელსაც ეყრდნობა განმცხადებელი) დასაბუთების მოვალეობა ეკისრებათ მხარეებს – ანუ, განმცხადებელსა და მოპასუხე მთავრობას.

374. სასამართლოს რეგლამენტის 47-ე წესი, რომელიც არეგულირებს ინდივიდუალური განაცხადის შინაარსს, შემდეგი სახით არის ფორმულირებული:

“1. კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისი ნებისმიერი განაცხადი შედგენილი უნდა იყოს სასამართლოს სამდივნოს მიერ უზრუნველყოფილი ფორმით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი სექციის პრეზიდენტი იღებს განსხვავებულ გადაწყვეტილებას. მასში მოცემული უნდა იყოს

....

დ. ფაქტების მოკლე აღწერილობა;

ე. კონვენციის სავარაუდო დარღვევის (დარღვევების) მოკლე აღწერილობა და შესაბამისი არგუმენტები;

....

ზ. განაცხადის საგანი;

და მასზე თანდართული უნდა იყოს

თ. ნებისმიერი შესაბამისი დოკუმენტისა და, განსაკუთრებით, (სასამართლო ან არასასამართლო) გადაწყვეტილებების ასლები, რომლებიც განაცხადის საგანს ეხება.

4. აღნიშნული წესის პირველ პარაგრაფში მოცემულ პირობებთან შეუსაბამობას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს სასამართლოს მიერ განაცხადის განუხილველად დატოვება.”

375. გარდა ამისა, სასამართლოს რეგლამენტის 44გ წესის 1-ლი პარაგრაფის თანახმად:

“თუ მხარე ვერ წარმოადგენს მტკიცებულებებს ან ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს სასამართლო ან თუ საკუთარი ინიციატივით არ გაამხელს შესაბამის ინფორმაციას, ან სხვაგვარად ვერ შეძლებს ეფექტური მონაწილეობა მიიღოს სამართალწარმოებაში, სასამართლოს შეუძლია გააკეთოს იმგვარი დასკვნები, როგორსაც იგი ჩათვლის საჭიროდ.”

376. თუ ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული, სასამართლო დაუშვებლად ცნობს განაცხადს, როგორც აშკარად დაუსაბუთებელს. არსებობს ორი სახე გარემოებებისა, როდესაც ადგილი აქვს ამგვარი შემთხვევას:

ა. თუ განმცხადებელი უბრალოდ ახდენს კონვენციის ერთი ან რამდენიმე დებულების ციტირებას, იმის ახსნის გარეშე, თუ რა სახით დაირღვა იგი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ცხადია საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე (*Trofimchuk v. Ukraine* (dec.), და *Baillard v. France* (dec.));

ბ. თუ განმცხადებელი, არ წარადგენს ან უარს ამბობს საკუთარი პრეტენზიების დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენაზე (განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება სასამართლოს ან სხვა შიდასახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებს), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს აღნიშნულის გამომწვევი განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც განმცხადებლის კონტროლს მიღმაა და ხელს უშლის მას ამ ვალდებულების განხორციელებაში (მაგალითად, თუ სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია უარს აცხადებს პატიმრის საქმის მასალებიდან რაიმე დოკუმენტის სასამართლოსათვის გადაგზავნაზე).

## 5. დამაბნეველი ან არარეალური საჩივრები

377. სასამართლო უკუაგდებს საჩივარს, როგორც აშკარად დაუსაბუთებელს, თუ საჩივარი ისეთი დამაბნეველია, რომ ობიექტურად შეუძლებელია განმცხადებლის მიერ გასაჩივრებული ფაქტებისა და მისი პრეტენზიების შესახებ დასკვნების გამოტანა. იგივე მიდგომა ვრცელდება არარეალურ საჩივრებზე, ანუ საჩივრებზე, რომლებიც ეხება ობიექტურად შეუძლებელ ფაქტებს, არის აშკარად გამოგონილი ან ცხადად ეწინააღმდეგება სად აზროვნებას. ასეთ შემთხვევებში, ფაქტი, რომ კონვენციის დარღვევა არ იკვეთება, აშკარაა ჩვეულებრივი დამკვირვებელისთვის, ანუ მისთვისაც კი ვისაც იურიდიული განათლება არ აქვს.

## ბ. მნიშვნელოვანი ზიანის არარსებობა

**35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი, ბ) პუნქტი**

“3. სასამართლო დაუშვებლად ცნობს 34-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადს, თუ ის მიიჩნევს, რომ

...ბ) განმცხადებელს არ განუცდია მნიშვნელოვანი ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების დაცვა მოითხოვს ამგვარი საჩივრის არსებითი მხარის განხილვას დ აიმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული საფუძველით ვერც ერთი ის საქმე ვერ იქნება უარყოფილი, რომელიც ეროვნული სასამართლოების მიერ სათანადოდ არ ყოფილა განხილული.”

**1. ინფორმაცია ახალი კრიტერიუმის შესახებ**

48. დასაშვებობის ახალი კრიტერიუმი კონვენციის 35-ე მუხლით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს 2010 წლის 1 ივნისს, მე-14 ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ დაემატა. ოქმის მე-20 მუხლის შესაბამისად, ახალი დებულება გავრცელდება ყველა მიმდინარე განაცხადზე, გარდა განაცხადებისა, რომლებიც უკვე დაშვებულად იქნა ცნობილი. დღევანდელი დღისათვის სასამართლომ დასაშვებობის ახალი კრიტერიუმი გამოიყენა დასაშვებობის შესახებ ცხრა გადაწყვეტილებაში, კერძოდ შემდეგ საქმეებში: *Ionescu v. Romania (dec.)*; *Korolev v. Russia (dec.)*; *Vasilchenko v. Russia*; *Rinck v. France (dec.)*; *Holub v. the Czech Republic (dec.)*; *Bratři Zátkové, A.S., v. the Czech Republic (dec.)*; *Gaftoniuc v. Romania (dec.)*; *Matoušek v. the Czech Republic (dec.)*; და *Čavajda v. the Czech Republic (dec.)*.

უფრო მეტიც, ორ განჩინებაში სასამართლომ უარი თქვა მთავრობის პროტესტის გათვალისწინებაზე, რომელიც მთავრობამ დაუშვებლობის ახალი კრიტერიუმის საფუძველზე წამოაყენა (*Gaglione and Others v. Italy*, §§ 14-19, და *Sancho Cruz and 14 other “Agrarian Reform” cases v. Portugal*, §§22-36).

ამ კრიტერიუმის შემოღება აუცილებელი გახდა სასამართლოში წარდგენილ საქმეთა რაოდენობის მუდმივი ზრდის გამო. ის უზრუნველყოფს სასამართლოს დამატებითი დამხარე საშუალებით, კონცენტრირება მოახდინოს საქმეებზე, რომელთა არსებითი მხარის განხილვა აუცილებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს უარი თქვას საქმეთა განხილვაზე, რომლებიც ჩაითვლება „ნაკლებად მნიშვნელოვნად“, იმ პრინციპის თანახმად, რომ მოსამართლეები არ უნდა განიხილავდნენ ამგვარ საქმეებს (“*de minimis non curat praetor*”).

379. მიუხედავად იმისა, რომ ცნება „*de minimis*“ ფორმალურად არ წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნაწილს 2010 წლის 1 ივნისამდე, იგი მოხსენიებული იყო კომისიისა (იხილეთ: *Eyoum-Priso v. France (dec.)*; *H.F. K.-F. v. Germany (dec.)*; და *Lechesne v. France (dec.)*) და სასამართლოს რამდენიმე განსაკუთრებულ განჩინებაში (მაგალითისათვის, იხილეთ *Dudgeon v. the United Kingdom*; *O’Halloran and Francis v. the United Kingdom [GC]*; და *Micallef v. Malta [GC]*), ასევე მთავრობების მიერ სასამართლოსათვის წარდგენილ მიმოხილვებში (მაგალითისათვის, იხილეთ *Koumoutsea and Others v. Greece (dec.)*).

**2. მოქმედების ფარგლები**

49. 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის ბ) პუნქტი შედგება სამი განსხვავებული ელემენტისაგან. პირველია თავად დასაშვებობის კრიტერიუმი: სასამართლოს შეუძლია დაუშვებლად გამოაცხადოს ნებისმიერი ინდივიდუალური განაცხადი,

როდესაც განმცხადებელს არ განუცდია მნიშვნელოვანი ზიანი. შემდეგ მოდის ორი დამცავი დებულება. პირველი – სასამართლოს შეუძლია არ ცნოს დაუშვებლად ამგვარი განაცხადი, თუ ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება მოითხოვს განაცხადის არსებითი მხარის განხილვას. მეორე – დაუშვებელია ახალი კრიტერიუმის გამოყენებით ისეთი საქმის უკუგდება, რომელიც სათანადოდ არ განუხილავს ეროვნული ხელისუფლების ორგანოს.

50. მხოლოდ სასამართლოს აქვს კომპეტენცია განმარტოს დასაშვებობის ახალი კრიტერიუმი და გადაწყვიტოს მისი გამოყენება. ძალაში შესვლის შემდგომ, პირველი ორი წლის განმავლობაში, აღნიშნული კრიტერიუმის გამოყენების უფლებამოსილება გააჩნიათ პალატებსა და დიდ პალატას (მე-14 ოქმის მე-20 მუხლის მე-2 პარაგრაფი), რომლებმაც, ამ კრიტერიუმის კონკრეტულ გარემოებებში გამოყენებისათვის, პრეცედენტული სამართლის ნათელი პრინციპები უნდა ჩამოაყალიბონ.

### 3. განიცადა თუ არა განმცხადებელმა მნიშვნელოვანი ზიანი

51. “მნიშვნელოვანი ზიანი” არის ტერმინი, რომელიც შესაძლებელია განმარტოს და მოითხოვს კიდევაც განმარტებას ობიექტური კრიტერიუმების ჩამოყალიბებით, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ეტაპობრივი განვითარების გზით. დასაშვებობის იმ კრიტერიუმებთან ერთად, რომლებიც უკვე გათვალისწინებული იყო კონვენციაში, ეს ტერმინი დამატებით ანიჭებს სასამართლოს მოქნილობის გარკვეულ ხარისხს (იხილეთ მე-14 ოქმის განმარტებითი ანგარიში, §§ 78 და 80). ახალი კრიტერიუმი ავითარებს იდეას, რომ უფლებადარღვევა, მიუხედავად იმისა, რომ რეალურია წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, უნდა აღწევდეს სიმძიმის მინიმალურ დონეს იმისათვის, რომ ექვემდებარებოდეს საერთაშორისო სასამართლოს მიერ განხილვას (*Korolev v. Russia* (dec.)).

52. კრიტერიუმი გულისხმობს განმცხადებლის მიერ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე უკვე განცდილ ზიანს. ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა იქნას გათვალისწინებული არის ფინანსური ზეგავლენა განმცხადებელზე, თუმცა არა ექსკლუზიურად (უახლესი მაგალითისათვის, რომელიც უკავშირდება საქმის დაუშვებლად ცნობას, სადავო თანხის ოდენობის სიმცირის გამო, იხილეთ *Bock v. Germany* (dec.)). საქმეში *Ionescu v. Romania* (dec.), სასამართლომ მიიჩნია, რომ ფინანსური საფრთხე განმცხადებლისათვის არ იყო სერიოზული, თანხა შეადგენდა რა 90 ევროს და არსებული ინფორმაციით, აღნიშნული თანხის დაკარგვა არ მოახდენდა რაიმე მნიშვნელოვან გავლენას განმცხადებლის პირად ცხოვრებაზე. საქმეში *Korolev v. Russia* (dec.), განმცხადებლის პრეტენზიები ეხებოდა მოპასუხე ხელისუფლების მიერ ერთ ევროზე ნაკლები თანხის გადაუხდელობას, რომლის გადახდაც შესაბამის ორგანოებს ეროვნულმა სასამართლომ დააკისრა. საქმეში *Vasilchenko v. Russia* განმცხადებელი ასაჩივრებდა 12 ევროს გადახდის შესახებ გადაწყვეტილების აღუსრულებლობას ხელისუფლების მიერ. საქმეში *Rinck v. France* (dec.) სადავო თანხა შეადგენდა 150 ევროს, გარდა ხარჯებისათვის განკუთვნილი 22 ევროსი და საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება, რომ აღნიშნული თანხა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა განმცხადებლის პირად ცხოვრებაზე. საქმეში *Gaftoniuc v. Romania* (dec.) განმცხადებელს უნდა მიეღო 25 ევრო. მიუხედავად ამისა, სასამართლო ყურადღებით ეკიდება იმ ფაქტს, რომ ქონებრივი დანაკარგის გავლენა არ უნდა იყოს აბსტრაქტულად შეფასებული; მოკრძალებული ქონებრივი ზიანიც

კი შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან ზიანად, პიროვნების სპეციფიური სიტუაციისა და იმ ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელშიც ის ცხოვრობს.

53. თუმცა, სასამართლო ამავდროულად ითვალისწინებს, რომ ქონებრივი ინტერესი არ არის ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იმის დასადგენად, განიცადა თუ არა განმცხადებელმა მნიშვნელოვანი ზიანი. უდავოდ, კონვენციის დარღვევა შეიძლება ეხებოდეს სერიოზულ პრინციპულ საკითხებს და ამგვარად იწვევდეს მნიშვნელოვან ზიანს ქონებრივი ინტერესებზე ზეგავლენის მოხდენის გარეშეც (*Korolev v. Russia (dec.)*). განმცხადებლის პირადი, სუბიექტური განცდა სავარაუდოდ დარღვევის ზეგავლენის შესახებ უნდა იყოს ობიექტური საფუძვლებით დადასტურებადი. აღნიშნული საკითხი დადგა დღის წესრიგში საქმეში *Rinck v. France (dec.)*, როდესაც სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ მართვის მოწმობის ერთი პუნქტის დაკარგვა არ გულისხმობდა იმას, რომ ამ ფაქტმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მის პირად მდგომარეობაზე მაშინაც კი, თუ განმცხადებელი ამას პრინციპის საკითხად მიიჩნევს.

საქმეებში *Holub v. the Czech Republic (dec.)*, *Matoušek v. the Czech Republic (dec.)*, and *Čavajda v. the Czech Republic*, სასამართლომ გადაწყვეტილებები დააფუძნა ფაქტს, რომ სხვა მხარეთა პრეტენზიები, რომლის გაცნობის შესაძლებლობა განმცხადებლებს არ მიეცათ, არ შეიცავდა საქმისათვის რაიმე ახალ გარემოებებს და შესაბამის საქმეებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ ეფუძნებოდა აღნიშნულ დოკუმენტებს; ამგვარად, განმცხადებლებს არ განუცდიათ მნიშვნელოვანი ზიანი 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის ბ) პუნქტის შესაბამისად.

საპირისპიროდ, სასამართლო არ დაეთანხმა მთავრობის მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლებს არ განუცდიათ მნიშვნელოვანი ზიანი საქმეში *Gaglione and Others v. Italy*, რადგან განაცხადთა 65% ეხებოდა კომპენსაციის გადახდის სულ მცირე ცხრამეტოვანი დაგვიანებას. ანალოგიურად, საქმეში *Sancho Cruz and 14 other "Agrarian Reform" cases v. Portugal*, სასამართლომ დაადგინა, რომ ორ საქმეში, სადაც მთავრობამ ახალ კრიტერიუმზე დაყრდნობით პროტესტი გამოხატა, განმცხადებლებს მიაღვათ მნიშვნელოვანი ზიანი, კომპენსაციის ოდენობების სიდიდის გათვალისწინებით.

#### 4. ორი დამცავი დებულება

**ა) მოითხოვს თუ არა ადამიანის უფლებათა დაცვა საქმის არსებით განხილვას**

54. მეორე ელემენტი არის დამცავი დებულება (იხილეთ მე-14 ოქმის განმარტებითი ანგარიში, §81), რომლის თანახმადაც განაცხადი არ იქნება ცნობილი დაუშვებლად, თუ კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა პატივისცემა მოითხოვს საქმის არსებითად განხილვას. ამ ელემენტის ფორმულირება გამომდინარეობს 37-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის მეორე წინადადებიდან, რომელიც ასრულებს ანალოგიურ ფუნქციას განაცხადების განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხვის კონტექსტში. იგივე ფორმულირება გამოიყენება 39-ე მუხლის 1-ლ პარაგრაფში, სადაც აღნიშნული დათქმა მხარეთათვის მეგობრული მორიგების უზრუნველყოფის საფუძველს წარმოადგენს.

55. კონვენციის ორგანოები ერთგვაროვნად განმარტავდნენ ამ დებულებებს, როგორც მათ მავალდებულებელ ნორმებს განეგრძოთ საქმის განხილვა მიუხედავად იმისა, მოგვარდა თუ არა საკითხი მხარეთა შეთანხმებით ან არსებობდა თუ არა სიიდან ამორიცხვის ნებისმიერი სხვა საფუძველი. შესაბამისად, საქმის შემდგომი შესწავლა საჭირო იყო მაშინ, როდესაც იგი ეხებოდა ზოგადი ხასიათის საკითხებს, რომლებიც კონვენციის შესრულებაზე ახდენდა გავლენას (*Tyrer v. the United Kingdom*, § 2).

56. ამგვარი ზოგადი ხასიათის საკითხები დღის წესრიგში დგება, მაგალითად, როდესაც არსებობს სახელმწიფოებისათვის კონვენციით გათვალისწინებული მოვალეობების დაკონკრეტების საჭიროება ან მოპასუხე სახელმწიფოს დარწმუნების აუცილებლობა გამოასწოროს სტრუქტურული ხარვეზი, რომელიც ზიანს აყენებს განმცხადებლის მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებსაც. აქედან გამომდინარე, სასამართლო, კონვენციის ძველი 37-ე და 38-ე მუხლების საფუძველზე, ხშირად ამოწმებდა, საქმეში არსებული ზოგადი პრობლემა იყო თუ არა გადაჭრილი ან ხორციელდებოდა თუ არა ღონისძიებები მის გადასაჭრელად, ასევე გადაწყვეტილი იყო თუ არა სასამართლოს მიერ მსგავსი სამართლებრივი საკითხები სხვა საქმეებში (იხილეთ, სხვა მრავალ საქმეს შორის, *Can v. Austria*, §§ 15-18, და *Léger v. France* (ამორიცხვა) [GC], § 51). მაგალითად, იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლოს უკვე გადაწყვეტილი აქვს ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ პროცედურული წესების გამოყენების საკითხი და საჩივარი მხოლოდ ისტორიულ ინტერესს უკავშირდება, ადამიანის უფლებათა პატივისცემა არ მოითხოვს იმავე საჩივრის შემდგომ განხილვას (*Ionescu v. Romania* (dec.)). საკითხი, რომელმაც წამოიწია საქმეში *Holub v. the Czech Republic* (dec.), ანუ ფაქტი, როდესაც განმცხადებელს არ ჰქონდა მიღებული სხვა მხარეების შეპასუხება საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების დროს, უკვე გადაჭრილი იყო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში (მაგალითად, იხილეთ *Milatová and Others v. the Czech Republic*; *Mareš v. the Czech Republic*; and *Vokoun v. the Czech Republic*). საქმეში *Korolev v. Russia* (dec.), სასამართლომ არ მიიჩნია, რომ არსებობდა რაიმე სერიოზული მიზეზი, რაც განაპირობებდა განაცხადის არსებით განხილვას, პირველ რიგში იმიტომ, რომ სასამართლოს არაერთხელ ჰქონდა უკვე გადაწყვეტილი ანალოგიური საკითხები; და მეორეც, რადგან ორივეს, სასამართლოს და მინისტრთა კომიტეტს, უკვე ჰქონდა განხილული რუსეთის ფედერაციაში ეროვნული სასამართლოების აღუსრულებლობის სისტემური პრობლემა.

**ბ) იყო თუ არა საქმე სათანადოდ განხილული ეროვნული სასამართლოს მიერ**

57. შეუძლებელია სასამართლომ უკუაგდოს განაცხადი მისი ტრივიალურობის გამო, თუ საქმე არ იყო სათანადოდ განხილული ეროვნული სასამართლოს მიერ. ეს დებულება ასახავს კონვენციის მე-13 მუხლში განმტკიცებულ სუბსიდიარობის პრინციპს, რომელიც მოითხოვს ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი საშუალების არსებობას (*Korolev v. Russia* (dec.)). საქმეში *Holub v. the Czech Republic* (dec.) სასამართლომ დააზუსტა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა

<sup>6</sup> კონვენციის ტექსტი N14 ოქმის ძალაში შესვლამდე

სათანადოდ უნდა განიხილონ “საქმე” (ფრანგულად “*l'affaire*”) ფართო გაგებით და არა სტრასბურგის სასამართლოში წარდგენილი “განაცხადი” (ფრანგულად “*la requête*”).

58. რაც შეეხება ტერმინის “სათანადო” განმარტებას, ახალი კრიტერიუმი არ იქნება ისევე მკაცრად განმარტებული, როგორც კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის კრიტერიუმები (*Ionescu v. Romania* (dec.)).